დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ თბილისის #159 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე

წევრები:

მედეა მაქაცარია - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი

თეა ელერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.

ნათელა ბასილია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი.

მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი.

მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.

ნინო ბერიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი.

ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი.

გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი.

ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქ. თბილისის #159 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**200042337**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, თემქის III მ/რ, V კვარტალი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, თემქის III მ/რ, V კვარტალი
საფოსტო ინდექსი	3516
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მოქმედი ვებგვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi159@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322647208

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0000561500 18.05.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 ივნისი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	თბილისი, თემქის III მ/რ, V კვარტალი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	თბილისი, თემქის III მ/რ, V კვარტალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	თბილისი, თემქის III მ/რ, V კვარტალი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის შეფასების პროცესი დაგეგმილი პროცედურების შესაბამისად წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა ორი სავიზიტო დღის განმავლობაში იმუშავა სკოლაში, დაათვალიერა და შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე ჩაატარა ინტერვიურება მასწავლებლებთან და მოიპოვა დამატებითი ინფორმაცია მეორე სტანდართან დაკავშირებით. ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერა სასწავლო გარემო და პირისპირ გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება
	☐ **მეტწილად შეესაბამება**
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება**
	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება
	☐ **მეტწილად შეესაბამება**
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება**
	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება**
	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება**
	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება**
	☐ მეტწილად შეესაბამება
	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
	☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **1350**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სრულ შესაბამისად შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრაქტრუქტურული მხარდაჭერა	*ბარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ბარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ბარვეზი*
სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)*	*ბარვეზი*
სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკული (საშუალო საფეხური)*	*ბარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი #		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრაქტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას -	სკოლას არ ჰქონდა ვიზიტის პერიოდში სრულყოფილი სახით ნაწარმოები საკონკურსო მასალები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.	რომლითაც დაგეგმა სათანადო ღონისძიებების განხორციელება 30.12.2023წლამდე და განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები. რეკომენდებულია სკოლამ სრულყოფილად აწარმოოს საკონკურსო მასალებ და ჩატარებული კონკურსების დოკუმენტაციაში ჰქონდეს კომისიის ოქმები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები, რასაც ითვალისწინებს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების“ შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #174/ნ 20.08.2019წ. მე-7 მუხლში.
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.	ვიზიტის პერიოდში ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესაბამისობის გეგმით სკოლამ ვალდებულება აიღო უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის მომსახურება 2023 წლის 30 დეკემბრამდე. რეკომენდებულია ექიმის სახელმწიფო სერთიფიკატი შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა დ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებშ	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 23.06.2023წ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმ. სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების და დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. შესაბამისობის გეგმით სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	ვალდებულებას იღებს მოიპოვოს აღნიშნული ცნობები 2024 წლის 5 ივნისამდე, სკოლამ წერილობით უკვე მიმართა შესაბამის უწყებებს. რეკომენდებულია სკოლას ჰქონდეს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.	სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #1/ჯ/112 „სკოლის ვებ-გვერდის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი განსაზღვრის შესახებ“. რეკომენდებულია სკოლას ჰქონდეს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ. სკოლა ვალდებულებას იღებს ვებ-გვერდის შექმნის მიზნით წარმართოს შესაბამისი კომუნიკაცია. ასევე უზრუნველყოს ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ატვირთვა.
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ-გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია.	რეკომენდებულია სკოლას ჰქონდეს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ, კერძოდ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. სკოლა შესაბამისობის გეგმით ვალდებულებას იღებს უზრუნველეყოს ინფორმაციის ატვირთვა 2023 წლის 30 ნოემბრამდე.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	(საბაზო საფეხური)	
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.2..	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.	მიზანშეწონილია სკოლამ შიდა და გარე პერიმეტრის სრულად ვიდეოკონტროლის განხორციელების მიზნით უზრუნველყოს ვიდეოკამერების დამატება.
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	მიზანშეწონილია სტრატეგიულ გეგმაში სკოლას დეტალურად ჰქონდეს გაწერილი მისიის შესაბამისი სტრატეგული მიზნები და შესაბამისი ამოცანები.
სტრატეგიული სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	1. მიზანშეწონილია სკოლის სტრუქტურის სქემატურ აღწერილობაში ცალ იყოს გამოყოფილი დირექცია, ადმინისტრაცია, როგორცაა გამოყოფილ პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი და სხვა. ასევე ნათლა იკვეთებოდეს ვინ შეადგენს დირექციას და ვინ ადმინისტრაციას კონკრეტული სკოლის შემთხვევაში. 2. მიზანშეწონილია სასკოლო დოკუმენტაციის (სასკოლო სასწავლო გეგმ შედგენისას სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტრუქტურული რგოლებ სიზუსტით აღწერას, რათა თავიდან აიცილოს უზუსტობები. კერძო სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში არის შვიდი საგნობრივ კათედრა, თუმცა ჩამონათვალში რეალურად მითითებულია რვა საგნობრივ კათედრა, მათ შორის ესთეტიკური აღზრდის კათედრა და სპორტის კათედრ ცალ-ცალკეა მოცემული, ასევე ცალკეა მითითებული დაწყებითი საფეხურ კათედრა.
ინდიკატორი 3.1.2.6.	პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას - სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	წარმოდგენილი მასალები არასაკმარისია იმის დასადგენად, ზუსტად აქვს თუ არა სკოლას წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. რეკომენდებულია სკოლას რაიმე ფორმით ჰქონდეს შემუშავებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები მაგალითად საგნობრივი კათედრის დონეზე.
ინდიკატორი 3.2.1.1.	სკოლას აქვს პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.	როდესაც სკოლის მასწავლებლები ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას და იღებენ უკუკავშირებს, მიზანშეწონილია შემუშავდეს გაკვეთილის ანგარიშის ისეთი ფორმები, რომლებიც კონკრეტულად ასახავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გაკვეთილის ვითარებას/კონტექსტს. კერძოდ, ანგარიშის ფორმაში სასურველია ჩანდეს ვის ესწრებოდნენ და კონკერტულად როდის, რა აქტივობები განახორციელა მასწავლებელმა. მიზანშეწონილია გაიწეროს საგაკვეთილო დაკვირვების საგნობრივი რუბრიკები კათედრებზე და გაკვეთილის შეფასების სქემები, თუ რას აკვირდებიან დამსწრეები გაკვეთილზე.
ინდიკატორი 3.2.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.	სასურველია სკოლას ჰქონდეს მარეგულირებელი დოკუმენტი ან/და სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა ახალგაზრდა დამწყები პედაგოგების/თანამშრომლების დახელოვნება-ხელშეწყობის მექანიზმები სკოლაში, ასევე განისაზღვრებოდა ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები (მაგ. კათედრის გამგის ან მენტორი/წამყვანი/ლიდერი მასწავლებლის სახით).
ინდიკატორი 3.2.1	.	
ინდიკატორი 3.3.1.		
ინდიკატორი 3.3.1.2	იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.	მიზანშეწონილია ცალკე დოკუმენტის სახით იყოს გაწერილი სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესი, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესები. ასევე მიზანშეწონილია საქმისწარმოების წესში დეტალურად იყოს გაწერილი თანამშრომლისა და მოსწავლის პირად საქმეში რა დოკუმენტები უნდა იყოს განთავსებული.
ინდიკატორი 3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.	მიზანშეწონილია საპრეტენზიო კომისია სკოლამ შექმნას ღია კონკურსის გამოცხადების ეტაპზე და არა საჭიროების დადგომის შემთხვევაში, რითაც უფრო მეტად გარანტირებული იქნება კონკურსის ობიექტურობა.
ინდიკატორი 3.4.1.1.		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.7.1.1.	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.	მიზანშეწონილია ბუღალტერმა სკოლასთან (დირექტორთან) პერიოდულად აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სამსახურებრივი ბარათების წარდგენის გზით სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციების განხორციელებისა და მისი მონიტორინგის პროცესში. ბუღალტრის სამსახურებრივი ბარათები განსახორციელებელი ან/და განხორციელბული შესყიდვების შესახებ უფრო მეტ გამჭვირვალობას შესძენს ფინანსების ხარჯვას და სკოლას მისცემს მეტი პრევენციის შესაძლებლობას ფინანსების განკარგვის კუთხით.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.	ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის მარეგულირებელი წესი დოკუმენტის სახით. მოსწავლის ჩარიცხვის და სტატუსის შეჩერების დროს სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა მიზანშეწონილია შეიმუშავოს კანონმდებლობის შესაბამისი შიდა მექანიზმი/რეგულაცია აღნიშნული მიმართულებით.
ინდიკატორი 4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.	მიზანშეწონილია სკოლამ გააფორმოს სხვადასხვა დაწესებულებებთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ უფრო მრავალფეროვანი მხარდაჭერა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, სასურველია მემორანდუმით/ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.1.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სასურველია სკოლამ სამომავლოდ უფრო მეტად უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესშ
ინდიკატორი 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	სასურველია სკოლამ წარმოადგინოს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური გეგმები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებები.
ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	**სასურველია** სკოლამ შეიმუშაოს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჩაიშალ თემების მიედვით.
ინდიკატორი 2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სასურველია სკოლამ დახვეწოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (მა სპორტის საგანში), რათა შეფასების სისტემა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალ სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
ინდიკატორი 2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	**სასურველია** სკოლამ დახვეწოს შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილ იქნება სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენიდან გამომდინარე.
იდიკატორი 2.3.1.2.	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	**სასურელია** სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მონიტორინგის და შეფასების სისტემა.
ინდიკატორი 2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	**სასურველია** სკოლამ შეიმუშაოს მონიტორინგის და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზასა და საშუალებაზე.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	(საშუალო საფეხური)	

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის მოქმედი მისია განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **სკოლის მისიაა** შექმნას მოზარდთა ინტელექტუალური და ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, აღზარდოს სახელმწიფოებრივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შემეცნებითად მოაზროვნე ახალგაზრდა, რომელიც მუდმივად იზრუნებს აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ხელს შეუწყობს პროექტული სწავლების დანერგვასა და ინკლუზიურ განათლებას.

სკოლის ხედვაა „7 წლის შემდეგ სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ შეძლოს თავის დამკვიდრება და პიროვნული, თუ ფინანსური დამოუკიდებლობა. იყვნენ მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და აქტიური მოქალაქეები“ (ამონარიდი ხედვიდან).

სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აცნობიერებენ განათლებაში მიმდინარე რეფორმებისა და საერთაშორისო გამოწვევების ფაქტორს, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისამდე მიზნობრივი კვლევის სახით შეიმუშავებს სკოლის იდენტობის გამომხატველ ახალ მისიასა და ხედვას, რომელიც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს სკოლის ინდივიდუალურობას და თავისებურებას.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა „სსიპ - ქალაქ თბილისის 159-ე საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და მისი რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ 2023 წლის 5 ივნისის 1/კ-80 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების თანახმად განსაზღვრულია, რომ სამუშაო ჯგუფს დაევალა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის მიხედვით უზრუნველყონ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია და რეკომენდაციების სკოლის დირექტორისთვის წარდგენა 2023 წლის 01 ივლისისთვის.

სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა ინტერიუს დროს აღნიშნა, რომ ახალი მისიის შემუშავების მიზნით, სოციალური ქსელის მეშვეობით გამოკითხულ იქნა სკოლის საზოგადება, დაინტერესებული მხარეები, მშობლები, მოსწავლეები. წარმოდგენილი კვლევის ანალიზის თანახმად, მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ მშობლები (70%), შემდეგ მოსწავლეები (16%) და პედაგოგები (11 %). ჩატარებული კვლევის ანლიზის თანახმად, კითხვაზე: „გაქვთ თუ არა წარმოდგენა სკოლის მისიასა და ხედვაზე“ თითქმის რესპოდენტთა 90% პროცენტმა განაცხადა „დიახ“, რაც მონაწილეთა უმეტესობას შეადგენს. მიუხედავად ამისა, რესპოდენტთა ნაწილი თვლის, რომ არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, სკოლას აძლევს იმის საფუძველს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აამაღლოთ ცნობადობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან სკოლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მოსწავლეთა ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების ხელშეწყობა და უზრუნველყოფაა, ამ მხრივ საინტერესო იყო თავად მოსწავლეთა და მშობელთა აზრი. კითხვაზე „ დაცულია თუ არა სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება“? მონაწილეთა უმრავლესობა (88%) თვლის, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოება მაქსიმალურად დაცულია.

სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია ხარისხიან განათლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. რესპოტენტთა უმეტესობა (60%) მიიჩნევს, რომ მოსწავლე უზრუნველყოფილია ხარისხიანი განათლებითა და ყველა იმ უნარით, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებსა და გამოწვევებს. რესპოდენტთა 20% თვლის, რომ სკოლამ მეტად უნდა იზრუნოს და კონცენტრირდეს თანამედროვე უნარების განვითარებაზე, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ ახალი სასწავლო წლიდან, კიდევ ერთხელ გადახედოს მიდგომებს და საგნობრივი კურიკულუმები უფრო მეტად ფოკუსირდეს მოსწავლებში პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

რესპოდენტთა ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე, გამოიყო ის საერთო და ძირითადი ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის პიროვნებად ფორმირების პროცესში და რომელთაც უნდა ეფუძნებოდეს სკოლის მისია და ხედვა. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ახალი მისიის შემუშავების მიზით კვლევა გრძელდება მიმდინარე ეტაპზეც და 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის შემუშავდება და დამტკიცდება ახალი მისია და ხედვა.

სკოლის ამჟამინდელი მისია და ხედვის ანალიზის თანახმად დგინდება, რომ ის შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია, რათა სკოლა იყოს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცე. მისიაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ სკოლის მიზანია შექმნას მოზარდთა ინტელექტუალური და ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების თანახმად, სკოლა წარმოადგენს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. აღნიშნულს უზრუნველყოფს სკოლაში შექმნილი მართვის სისტემა. სკოლას აქვს დირექტორის მიერ წარდგენილი და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთიანი დოკუმენტი **შინაგანაწესი,** სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადების წესი და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წესი, ამასთანავე, თანამშრომელთა წახალისების წესი. ასევე, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. ასევე, მოცემულია სკოლის მანდატურის მიერ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, ამასთანავე, ჩაცმის წესი.

სკოლა სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მიზნით **თანამშრომლობს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან.** სკოლაში დასაქმებულია 3 მანდატური, 4 დარაჯი, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობის გზით უზრუნველყოფენ სკოლაში მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში დამონტაჟებულია **ვიდეო კამერები,** რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

სკოლაში დამკვიდრებული წესის თანახმად, შესვენებების დროს **დაწესებულია მორიგეობა,** რა დროსაც სკოლის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მხრიდან ხდება სკოლაში უსაფრთხოების დაცვა. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს **მრჩეველთა საბჭო,** რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. აწარმოებს სკოლაში მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ.

სკოლა წარმოადგენს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, **ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,** საგნობრივი კათედრები, რომლებიც ზრუნავენ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. უზრუნველყოფენ სკოლაში მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზებას, დაგეგმვას და მასში მასწავლებელთა ჩართულობას. სკოლაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე ფუნქციონირებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა,** რომლებიც კანონის მოთხოვნების შესაბამისად არის არჩეული. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა განვითარებას. ამ მიზნით თვითმმართველობები უზრუნველყოფენ კლუბების შექმნას.

დღესდღეობით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ლიტერატურული კლუბი „ნეკერჩხალი“, რომლის ისტორია უკვე თითქმის 3 ათეულ წელს მოიცავს; „ქიმიის მოყვარულთა კლუბი“; „სამოქალაქო განათლების კლუბი“ ; უნდა აღინიშნოს , რომ კლუბის წევრები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და არა ერთ პროექტს ახორციელებენ, არსებობს ამის დამადასტურებელი აუდიო-ფოტო მასალა. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან მოხდება საჭირო დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა (კლუბის დებულებისა და სამოქმედო გეგმის გაწერა და დამტკიცება, ცალკე სოციალური გვერდის შექმნა და ა.შ).

აღსანიშნავია, რომ სკოლაში დამრიგებლების მიერ შექმნილია **სადამრიგებლო პროგრამები,** რომლებში აღწერილია მათი სამოქმედო გეგმა, დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, სასაუბრო თემები, და ა.შ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი,** ასევე, შემუშავებული აქვს **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა.** კანონმდებლობის დაცვის შესაბამისად, სკოლაში განთავსებულია **სავაკუაციო გეგმა, ცეცხლმაქრები და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი.** სკოლაში განთავსებულია სანიტაიზერები.

სკოლა უსაფრთხო გარემოს წარმოადგენს სსსმ მოსწავლეებისათვის. შექმნილია მათზე მორგებული ადაპტირებული გარემო: რესურსოთახი, ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი (სკოლის ცენტრალურ შესასვლელთან) რესურსები და ა.შ.

სკოლის ვიზუალური დატვალიერების, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაფოლიბეულია.

3. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლის მოქმედი მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების დროს საზოგადოების ჩართულობა არ იყო განსაზღვრული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს ახალი მისიის შემუშავება. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით, სკოლას აქვს განხორციელებული გარკვეული რეაგირებები, კერძოდ: 2023 წლის 5 ივნისის 1/კ - 83 ბრძანებით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ბრძანების თანახმად დგინდება, რომ ჯგუფს დაევალა სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის მიხედვით უზრუნველყონ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია და რეკომენდაციების სკოლის დირექტორისთვის წარდგენა 2023 წლის 01 ივლისისთვის. ასევე, სკოლამ ახალი მისიის შემუშავების პროცესში უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ კვლევაში ჩართული არიან მასწავლებლები/სხვა დასაქმებული პერსონალი, მოსწავლეები, დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით სკოლამ წარმოადგინა კვლევის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია შემუშავებაში ჩართული პირები და კვლევის ანალიზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების დროს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.** სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის განთავსება ხდება ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (მაგ. სკოლის ფოიე), სადაც სასკოლო საზოგადოებას შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მას. ასევე, სკოლის დირექცია ღიაა შენიშვნების, რეკომენდაციების გაზიარებისა და მათი გათვალისწინებისათვის, რისთვისაც იმართება ინდივიდუალური შეხვედრები. ამასთანავე, სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს შეხვედრას სასკოლო საზოგადოებასთან და აცნობს მას მისიას, ხედვას, სასკოლო გეგმას, იზიარებს მათ შეხედულებებს. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლა წარმოადგინა **მშობლებთან შეხვედრის ოქმი. სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლას გაზიარებულია აქვს მისია საჯაროდ.** ასევე, სკოლის ფოიეში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა.

თითოეული კლასის დამრიგებელი გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სასკოლო გეგმას, იზიარებს მათ შეხედულებებს.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.** სკოლის ფოიეში საჯაროდაა განთავსებული სკოლის მისია და ხედვა, რაც უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოებისთვის და სკოლაში ვიზიტორებისთვის მისიის და ხედვის საჯაროობას. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია,რომ სკოლას, აქვს სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია სკოლის მოქმედი მისია https://www.facebook.com/photo/?fbid=636945141791728&set=a.448941613925416. აღნიშნული უზრუნველყოფს სკოლის მისიის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. ***სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ვებ - გვერდი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ინფორმაციის/დოკუმენტაციის მათ შორის მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროდ განთავსების უზრუნველყოფა. თუმცა უნდა აღინიშნოს, სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაზე დაყრდნობით და ასევე, სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს ვებ - გვერდის შექმნას უახლოესი სამი წლის პერიოდში.***

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.** სკოლის სახელწოდებაა - სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. **სკოლას დაწყებული აქვს სკოლისათვის სახელის მინიჭების პროცედურა და სურვილი აქვს იწოდებოდეს რევაზ ინანაშვილის სახელობის სკოლად.**

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის **სასკოლო სასწავლო გეგმა;**

2. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო **სკოლის შინაგანაწესი;**

3. „სსიპ - ქალაქ თბლისის № 159 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და მისი რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ **სკოლის დირექტორის მ/შ - ის 2023 წლის 5 ივნისის №1/კ-80 ბრძანება;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მისია და ხედვის **შემუშავების ანალიზი;**

5. მასწავლებელთა **მორიგეობის განრიგი;**

6. სადამრიგებლო პროგრამები;

7. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;

8. მრჩეველთა საბჭოს შექმნის/ცვლილების ბრძანება;

9. საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება;

10. რეფერირების პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;

11. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

12. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;

13. წრეების შექმნის ბრძანება;

14. ხელშეკრულება წრის ხელმძღვანელ მასწავლებელთან;

15. მასწავლებელთა განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;

16. მაწავლებელთა დასწრების განრიგი;

17. ხარისხის განვითარებისა და პროფ. მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;

18. მშობელთა კრების ოქმი - 19.9.2022 წელი;

19. მშობელთა კრების ოქმი - 21.9.2022 წელი;

20. მშობელთა კრების ოქმი - 10.10.2022 წელი;

21. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022 წლის 07 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

22. მრჩეველთა საბჭოს ოქმი 2.6.2023 წელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

23. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი 10.10.2022;

24. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022 წლის 07 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი;

25. უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;

26. მისიის საჯაროობის ამსახველი ფოტო.

27. სკოლის პესონალთან ინტერვიუ;

28. სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

29. სკოლის სოციალური ქსელი - https://www.facebook.com/photo/?fbid=636945141791728&set=a.448941613925416;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,** რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 5 ივნისის №4 ოქმით. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, სკოლამ შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად განისაზღვრა მაქსიმალური ჩართულობა.

დოკუმენტის თანახმად, **სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:** ინფორმაციის შეგროვება ანალიზი, მისიის ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, კერძოდ:

სტრატეგიული **დაგეგმვის პირველი ეტაპი** მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარების (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ. ამ ეტაპზე ხდება ასევე სკოლის შიდა დოკუმენტაციისა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება. ინფორმაციის შეგროვებისათვის, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კვლევის მეთოდები.

ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და სამეურვეო საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტში ასახვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დადგეგმვის მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

იდიკატორტი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება დაგეგმილი ჰქონდა 2023 – 2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.** სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. გრძელვადიანი სტარატეგიული განვითარების გეგმაში მიეთითება სკოლის მიერ დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/ორგანოები და შესრულების ვადები.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან იქნება გამომდინარე და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას დაისახავს მიზნად. ახალი მისიის შემუშავებაზე მიმდინარეობდა მუშაობა და გამომდინარე მისიიდან კონკრეტული ამოცანის გადაჭრას დაისახავდა მიზნად შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა. ინტერვიუს დროს სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ შვიდწლიანი განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს სკოლისთვის პრიორიტეტულ შემდეგ საკითხებს: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის გაუმჯობესება, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა/შენარჩუნება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის მ/შ -ის 2023 წლის 5 ივნისის 1/კ-81 ბრძანებით შექმნილი არის სსიპ - ქალაქ თბილსის N159 საჯარო სკოლის შვიდწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით **სამუშაო ჯგუფი.** აღნიშნული ბრძანების თანახმად, სამუშაო ჯგუფს დაევალა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის 2023 წლის 1 ივლისამდე შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა.

ზემოთ აღნიშნულის თანახმად, სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად არც სტრატეგიული მიზნები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის №7 სხდომის ოქმით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული აქვს **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,** რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 სექტემბრის №3 ოქმით. ერთ წლიანი გეგმის თანახმად, გეგმის შედგენისას სკოლამ იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რეფლექსიით. გარდა ამისა, გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისთვის გამოყო შემდეგი 5 ძირითადი მიმართულება:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა;
- მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

სკოლის ერთწლიანი (2022-2023 სასწავლო წელი) სამოქმედო გეგმის თანახმად, განსაზღვრულია ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები პასუხისმგებელი პირი/პირები.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა სკოლას არ ჰქონია, რის საფუძველზეც შეიმუშავებდა ერთ წლიან სამოქმედო გეგმას. ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სკოლის ერთ წლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას, წინა წლის სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის ანალიზს. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, სკოლის ერთ წლიან სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, კერძოდ: სტრუქტურული ერთეულების/გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიური ორგანოების/ თანამდებობის პირების მიერ ხდება შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა, საბოლო სახით შემუშავებულ ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა განიხილება და მტკიცდება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ.

სკოლას ვიზიტის პერიოდისათვის არ ჰქონია შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, შესაბამისად ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიულ გეგმას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.3. შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგილი გეგმიდან და თვითშეფასებიდან, შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. ***ადმინისტრაციული პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სკოლის ერთ წლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას და წინა წლის სამოქმედო გეგმის ანალიზს.*** სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა სკოლას არ ჰქონია, შესაბამისად ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სკოლის თვითშეფასებიდან, სკოლის წინა წლის ანგარიშის შედეგებიდან.

სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის პერსონალი იზიარებს განსახორციელებელ აქტივობებს, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციითაც. **სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია,** რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მიეთითება სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/ორგანოები, შესრულების ვადები და ინდიკატორები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, იმ ძირითადი საკითხებისა და აქტივობების შესახებ, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო და ორგანიზაციული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა, ორგანიზაციული განვითარება, სკოლის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვა საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს არ ჰქონდა განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ასევე არ იყო რეალისტური/კონკრეტული ვადები, რაც მისცემდა სკოლას საშუალებას პერიოდულად, უფრო ეფექტურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. აღნიშნული ღონისძიება სკოლას ხელს შეუწყობს, პერიოდული მონიტორინგის საფუძველზე ეფექტიანად დაგეგმოს განსახორციელებელი ღონისძიებები. *ინდიკატორი 1.2.1.4. შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს სკოლამ წარმოადგინა 2023 – 2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის სამეორვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 5 ივნისის №4 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;**
2. სსიპ - ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;**
3. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022 წლის 07 სექტემბრის პედ. საბჭოს ოქმი;
4. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ -ის 2023 წლის 5 ივნისის 1/კ-80 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და მისი რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
5. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ -ის 2023 წლის 5 ივნისის 1/კ-81 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლაში შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
6. მისია და ხედვის შემუშავების ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სამეურვეო საბჭოს ოქმი (სამოქმედო გეგმის დამტკიცება) 7.9.2022;

8. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინური პროცესია. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური სისტემა სკოლის დირექციის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაა. ის ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირის სათანადო მოტივაციასა და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის. დოკუმენტის თანახმად, **მონიტორინგი განხილულია,** როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანის მიმართ პროგრესის შემოწმების განგრძობადი პროცესი. **შეფასება კი წარმოადგენს** სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის პროცესის გავლენის მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემურ გადამოწმებას. ინდიკატორებზე დაკვირვება მთლიანად სკოლის, მისი რომელიმე ერთეულის თუ კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია. შესრულების ინდიკატორის დროული და სწორი რეალიზება გარანტიაა, იმის რომ დასახული გეგმა წარმატებით შესრულდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ***ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების **შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.** გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობის შესრულების უზრუნველყოფიის მიზნით, შესაძლებელია შემსრულებელ პირზე/სტრუქტურულ ერთეულზე მოხდეს სხვადასხვა უფლებამოსილებების დელეგირება. უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, აუცილებელია შემსრულებელ პირს/ორგანოს გადაეცეს სათანადო რესურსები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი აქტივობის შესასრულებლად. **ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო**. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით.

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ სკოლაში არსებული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად, წელიწადში ორჯერ პედაგოგიური საბჭოს ფორმატში, აგრეთვე კალენდარული წლის ბოლოს დირექტორის ანგარიშში სასწავლო და ფინანსური საქმიანობის შესახებ, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების, დამრიგებელთა და მასწავლებელთა ანგარიშებში.

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. **რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს, სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონია შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიანი გეგმა, შესაბამისად მასზე მონიტორინგის პროცედურა არ განხორციელებულა. სკოლა მუშაობს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრძელვადიანი გეგმის შემუშავების პროცესზე, რაზეც მუშაობას დაასრულებს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე ეტაპზე ვერ ფასდება სკოლის მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

3. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების დოკუმენტირებული ფორმატით გასაჯაროების გამოცდილება სკოლას ჯერჯერობით არ აქვს, რადგან სკოლაში ვიზიტის პერიოდისთვის არ იყო განხორციელებული ***სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება***. გასაჯაროება ეხებოდა მხოლოდ სხვადასხვა აქტივობების შინაარსობრივ მხარეს, მიზნებს და შედეგებს, აგრეთვე აუდიო-ფოტო მასალას (მშობელთა თანხმობის საფუძველზე). სკოლის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავს დოკუმენტ-ანგარიშების საჯაროდ განთავსებას. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, ადმინისტრაციული პერსონალის განმარტებით სკოლა უზრუნველყოფს 2023-2024 სასწავლო წლიდან სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედეგების საჯაროობას. ასევე, სკოლის შენობაში შესაძლებელია სკოლის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედეგები. ***აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე ეტაპზე ვერ ფასდება სკოლის მიერ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა.***

4. სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის ადმინისტრაციმ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი, მნიშვნელოვანია როგორც განვლილი პერიოდის პროცესების შეფასება-გაანალიზებაში, აგრეთვე სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, შედეგების საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაზე, რომელიც სკოლას მისცემს საშუალებას უფრო ეფექტური გახადოს სასწავლო პროცესი, თუ მისი თანმხლები პროცესები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზით განისაზღვრება სკოლის ოთხი ძირითადი მიმართულება: ა) ძლიერი მხარეები; ბ) სუსტი მხარეები; გ) შესაძლებლობები; დ) საფრთხეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

SWOT ანალიზის საფუძველზე ხორცელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში, მიმდინარეობდა სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა, შესაბამისად არ იყო განხორციელებული მონიტორინგი და არ იყო ცნობილი შეფასების შედეგები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ ფასდება 1.2.2.4 ინდიკატორი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 5 ივნისის №4 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ -ის 2023 წლის 5 ივნისის 1/კ-81 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლაში შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
4. სსიპ -ქალაქ თბილისის № 159 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ანგარიში 2021-2022 სასავლო წლის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით;
5. სსიპ -ქალაქ თბილისის № 159 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის 3 ივნისის №2 სხდომის ოქმი;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შეჯამება;
7. სსიპ -ქალაქ თბილისის № 159 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 4 ივლისის სხდომის ოქმი № 9;
8. მათემატიკის კათედრის ოქმი;
9. საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიში წლის ბოლოს;
10. დაწყებითი კათედრის ანგარიში წლის ბოლოს;

ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მართვა ხორციელდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სკოლაში შემუშავებული მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს. სტრუქტურის შემადგენელი ერთეულების ფუნქციები და ურთიერთმიმართება მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და ჩაშლილია მათ ცალკეულ მუხლებში. კერძოდ, სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, თანამდებობრივი ინსტრუქციები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის მოადგილის, დამრიგებლის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, მტუკ-ის, ბიბლიოთეკარის. მიზანშეწონილია სტრუქტურის სქემაში ცალკე იყოს გამოყოფილი დირექცია და ადმინისტრაცია.

პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებები/მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია სკოლის წესდებით. **სკოლის პედაგოგიური საბჭო** თავის საქმიანობას წარმართავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, საჯარო სკოლის წესდების, შინაგანაწესის და პედსაბჭოს დებულების შესაბამისად.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია **თანამდებობრივი ინსტრუქციებით. დამტკიცებულია** - სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-70 5 ივნისი 2023წ.
სკოლის მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელიც წარმოადგენს სკოლას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს და სასწავლო-აღმზრდელობით სფეროს, კათედრების მუშაობას და მონიტორინგს უწევს კათედრების სამოქმედო გეგმების შესრულებას და სემესტრულ ანგარიშებს წარუდგენს სკოლის დირექტორსა და პედსაბჭოს. ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე. **ხელმძღვანელობს ხარისხის მართვას.** დ/მოადგილე ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

დირექციის წევრია ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. ბუღალტერი ანგარიშვალდებულია დირექციის წინაშე. ბუღალტრის უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია - სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-70 5 ივნისი 2023წ.

ადმინისტრაციაში შედის 4 პირი - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი და ბიბლიოთეკარი. მათი უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომლებიც დამტკიცებულია - სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-70 5 ივნისი 2023წ.

პედაგოგიური პერსონალი შედგება - 73 მასწავლებლისაგან.

სკოლას ჰყავს შტატგარეშე პერსონალი, რომელსაც საშტატო განრიგის მიხედვით განეკუთვნება ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი - სკოლის ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები - ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სსმ პირის ასისტენტი (6 შტატი), 3 დარაჯი, 5 დამლაგებელი და 1 ცეცხლფარეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 ს/წ **საშტატო განრიგი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან #3516-22-05-5258,** საშტატო განრიგი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-10 2023წ. 07 თებერვალი საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 80 საშტატო ერთეული და 18 შტატგარეშე ერთეული.

კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები მოცემულია დამრიგებლის თანამდებობრივ ინსტრუქციაში.

სკოლაში მოქმედი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, სტრუქტურული რგოლია ასევე მრჩეველთა საბჭო.

სკოლაში ფუქნციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც არჩეულია 2022 წლის 20 ივნისს. საბჭო შედგება 12 წევრისაგან - პედსაბჭოს 6 წარმომადგენლისა და სამივე საფეხურის მშობელთა 6 წარმომადგენლისაგან.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: სახელმწიფო ენის/ ქართული ენის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის, სპორტის. **კათედრების საქმიანობას არეგულირებს კათედრის დებულება,** რომელსაც შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი. კათედრა იკრიბება სასწავლო წლის მანძილზე მინიმუმ ოთხჯერ (სემესტრში ორჯერ). კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კათედრის ოქმები, მათ შორის ოქმები სასწავლო წლის დასაწყისში. თუმცა კათედრების ჩამონათვალი წარმოდგენილ დოკუმენტებში არასწორადაა მოცემული. კერძოდ, სკოლის სტრუქტურის სქემაში მოცემულია 6 კათედრა (ქართული ენის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის), არ არის მოცემული დაწყებითი საფეხურის კათედრა. **სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში არის შვიდი საგნობრივი კათედრა, თუმცა ჩამონათვალში რეალურად მითითებულია რვა საგნობრივი კათედრა, მათ შორის ესთეტიკური აღზრდის კათედრა და სპორტის კათედრა ცალ-ცალკეა მოცემული, ასევე ცალკეა მითითებული დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის არსებობა სკოლაში დასტურდება დაწყებითი კათედრის სხდომების ოქმებით. მიზანშეწონილია სასკოლო დოკუმენტაციის (სასკოლო სასწავლო გეგმა) შედგენისას სკოლამ მეტი ყურადღება დაუთმოს სტრუქტურული რგოლების სიზუსტით აღწერას და გაითვალისწინოს აღნიშნული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. დებულებით გაწერილია თვითმმართველობის ფუნქციები და საქმიანობის წესი. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები ნიმუშის სახით, საიდანაც დასტურდება თავმჯდომარის არჩევა, ასევე სასკოლო კლუბების ჩამოყალიბება.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის ჯგუფის დებულებით. ჯგუფი შედგება 9 წევრისაგან (დირექტორი, დ/მოადგილე და კათედრებიდან წარმოდგენილი 6 მასწავლებელი). ჯგუფის ხელმძღვანელია სკოლის დირექტორი. ჯგუფის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტადარტის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა. ასევე მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება; **დამტკიცებულია - სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-75 05 ივნისი 2023წ.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების დებულებებში (პედსაბჭოს, კათედრის, თვითმმართველობის) და თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების მიზნით სკოლაში შემუშავებულია არა ერთი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული სტრუქტურული ერთული/პირი ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N06 ბრძანების, N 167 ბრძანების, ასევე, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების და ანგარიშვალდებულების სასკოლო პრაქტიკა ასეთია: დირექტორი ანაწილებს ფუნქციურ მოვალეობებს მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს; სკოლის დირექტორის მოადგილე ასრულებს დირექტორის მოვალეობას სკოლაში დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში (დირექტორის ბრძანება #1/კ-78 11.09.2020წ.). **დ/მოადგილე აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს** სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. **წარმოდგენილია ნიმუში დ/მოადგილის ანგარიში** 2021-2022 ს/წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის შეჯამების შესახებ. ახორციელებს კონტროლს საშემსრულებლო დისციპლინის დაცვაზე. სასწავლო პროცესის გარდა ხელმძღვანელობას და **კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს.** ორგანიზებას უწევს მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებას. ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს. აკონტროლებს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის დირექტორს. სემესტრის ბოლოს ატარებს კლასის დამრიგებელთა მუშაობის მონიტორინგს და შედეგებს წარუდგენს პედსაბჭოს.

სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს **უწყობს** საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დ/მოადგილის ანგარიში 2021-2022 ს/წ სასწავლო პროცესის შეჯამების შესახებ.
2. შინაგანაწესი.
3. თანამდებობრივი ინსტრუქციები.
4. კათედრის დებულება.
5. პედსაბჭოს დებულება.
6. საშტატო განრიგი.
7. ხარისხის მართვის (პროფესიული მხარდაჭერის) დებულება.
8. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. თვითმმართველობის ოქმი.
9. დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ.
10. თანამშრომლებსა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. სამეურვეო საბჭოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი,

12. სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფით და პერსონალის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა განხორციელებით.

წარმოდგენილი მასალების და ადგილზე ვიზიტის მიხედვით, **სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი,** ცალკეული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების მიზნით დირექტორს ცალკეული უფლებამოსილებები განაწილებული აქვს მოადგილისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კოლეგიური ორგანოებისათვის. **კანონმდებლობის დაცვით იქმნება სხვადასხვა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეგიური ორგანო, რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას. მაგ. მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

სკოლის შინაგანაწესის მე-2 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის ქცევის მარეგულიერებლი წესები, კერძოდ სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი.

ერთ-ერთი მუხლი აწესრიგებს **პერსონალური მონაცემების დამუშავებას,** გამოყენებას და გავრცელებას.

შინაგანაწესის მე-6-7-8 მუხლები აწესრიგებს სკოლის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხებს და პირობებს: გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობლიარობის და ბავშვის მოვლის გამო.

ის რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დასტურდება სკოლის მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესითაც. კერძოდ: სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება **კონკურსის წესით.** გათვალისწინებულია შიდა კონკურსი და ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში ღია კონკურსის გამოცხადება. განსაზღვრულია შიდა და ღია კონკურსის დროს ინფორმაციის განთავსების წესი/პირობები. ასევე კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

შინაგანაწესი (მე-10 მუხლი) ითვალისწინებს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესს. მე-9 მუხლი ითვალისწინებს შრომის პირობების დაცვის უსაფრთხოების ინსტრუქციას. 21-ე მუხლი არეგულირებს დასაქმებულის მატერიალურ პასუხისმგებლობას. მე-12 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომლების დისციპლინურ გადაცდომებს და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელებს. ასევე დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს და დისციპლინური წარმოების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. 25-ე მუხლით დარეგულირებულია **შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა.**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის მექანიზმებს. განსაზღვრავს, თუ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვა. კერძოდ, **განსაზღვრულია სწავლის ხარისხის მონიტორინგის ფორმები** - სასწავლო პროგრამების/სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, სასკოლო სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების დაგეგმვა დირექციისა და კათედრის ხელმძღვანელების ერთობლივი მონაწილეობით. მასწავლებელთა პროფესული საჭიროებების დადგენა, მისი ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. კერძოდ, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის შეფასება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, რომლის საქმიანობა რეგულირდება **შესაბამისი დებულებით.** სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული ჯგუფი - ასეთი ჯგუფი სკოლაში არის **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.** (დირექტორის ბრძანება #1/ჯ-126 30.11.2020წ.) ჯგუფი შედგება 9 წევრისაგან და ევალება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შესაბამისად მოქმედება. კერძოდ მასწავლებელთა შიდა შეფასება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენისა და შეფასების მიზნით. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი მასალების გაცნობით ირკვევა, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც გამოიხატება შემდეგში: **სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,** რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლა დასახული მიზნების მიღწევისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივ მონიტორინგს, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს.

პერსონალის განსაზღვრა ხდება საჭიროებების მიხედვით. ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის მართვის პოლიტიკა ეხმარება სკოლას საკუთარი პერსონალის პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენებაში, მოსწავლეების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილების დონის გაზრდაში, მის შენარჩუნებასა და განვითარებაში. სკოლა პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, შემუშავებულია **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა**, განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #1/კ-79 05.06.2023წ.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით, სკოლას წარმოდგენილი აქვს **ჯგუფის ანგარიშის რამდენიმე ფორმა,** საიდანაც ჩანს საგაკვეთილო დასწრების საკითხები და გაცემული უკუკავშირები და რეკომენდაციები. **ხარისხის** მართვის მენეჯმენტს ხელმძღვანელობსას **სკოლის დირექტორის მოადგილე, რომელიც** ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე. ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს.

სასურველია სკოლამ ჩაატაროს მიზნობრივი კვლევები (მაგ. სპეციალური კითხვარების გამოყენებით) თანამშრომელთა საჭიროებების დასადგენად, რათა შემდეგ დასახოს მიზნები და გზები გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

3. სკოლას **მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად** შემუშავებული აქვს **კონკურსის ჩატარების წესი** (დირექტორის ბრძანება #1/კ-38 20.04.2019წ.), რომელიც ემყარება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის წესით. ვაკანსიის შევსებისათვის გათვალისწინებულია შიდა და ღია კონკურსის ჩატარება.

სკოლას ჩატარებული აქვს რამდენიმე ღია კონკურსი უკანასკნელ წლებში, რომელთა დოკუმენტაცია შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს. მაგ. სკოლას გამოცხადებული აქვს რამდენიმე ვაკანსია სსსმ პირის ასისტენტის შტატზე: 2022 წლის 7 სექტემბერს 17 სექტემბრის ჩათვლით - **ბრძანება** #1/კ-81 7.09.2022წ. ცალკე **ბრძანებით** #1/კ-80 07.09.2022წ. განსაზღვრულია ასისტენტის კონკურსის ჩატარების წესი. აღნიშნულ ბრძანებას არ ახლავს დანართი, რის გამოც რთულია იმის შეფასება თუ რა პირობებს ითვალისწინებს ასისტენტის კონკურსი და რით არის განსხვავებული ეს წესი სხვა კონკურსის წესებისაგან. **ბრძანება** #1/კ-01 10.01.2023წ. ადგენს კონკურსის ჩატარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადებს სსსმ პირის ასისტენტისათვის 2023 წლის 10 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით. **ბრძანება** #1/კ-02 შექმნილია საკონკურსო კომისია ასისტენტის შესარჩევად.

ასევე სკოლას ჩატარებული აქვს კონკურსი ექიმის შესარჩევად - **ბრძანება** #1/კ-126 01.12.2021წ. აწესრიგებს ექიმის კონკურსის ჩატარების წესს. ბრძანებას თან ერთვის დანართი სკოლაში ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ. **ბრძანება** #1/კ-127 01.12.2021წ. შექმნილია საკონკურსო კომისია.

სკოლას წარმოდგენილი აქვს **ფსიქოლოგის შესარჩევი კონკურსის** გამოცხადების ბრძანება #1/კ-03 10.01.2023წ. რომელიც ეხება სსსმ მოსწავლეების ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის - ფსიქოლოგის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების განსაზღვრას. **ბრძანება** #1/კ-04 10.01.2023წ. ეხება ფსიქოლოგის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნას.

ადგილზე ვიზიტის დროს teachers.jobs.ge-ზე ექსპერტთა ჯგუფმა ნახა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის რამდენიმე განაცხადი (ფსიქოლოგის, ასისტენტის), რომლითაც დადასტურდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლებით. განაცხადებში დაცულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნები. ასევე ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ თანამშრომელთა დანიშვნის ბრძანებები, რომლებიც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

სკოლის განცხადებით, სკოლის საქმიანობა მიმართულია იმისაკენ, რათა პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფდეს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. მართალია სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით, **თუმცა ჩატარებული კონკურსების ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში სკოლას არ წარმოუდგენია დირექტორის ბრძანებების გარდა სხვა საკონკურსო მასალები (კომისიის ოქმები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები). რასაც ითვალისწინებს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების“ შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #174/ნ 20.08.2019წ. მე-7 მუხლი.**

საკონკურსო მასალის არასრული სახით წარმოდგენა ხელს უშლის ნათელი წარმოდგენის შექმნას იმის შესახებ, თუ რამდენად ობიექტურად ატარებს სკოლა აღნიშნულ კონკურსებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა „არ შეესაბამება“, თუმცა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სკოლამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრა შესრულების ვადები, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ: ინდიკატორი *3.1.2.3.* მეტწილ შესაბამისობაშია.

4. სკოლა მასწავლებლების შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, სკოლის ექიმის შერჩევის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულია 98 თანამშრომელი, ამათგან 73 მასწავლებელი, დირექციის 3 წევრი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), ადმინისტრაციის 4 წევრი (საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მტუკ-ი და ბიბლიოთეკარი), 18 შტატგარეშე თანამშრომელი (სკოლის ექიმი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, 6 სსსმ პირის ასისტენტი, 3 დარაჯი, 5 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში). **73-დან 10 წამყვანი მასწავლებელია,** ერთი შემცვლელი მასწავლებელია, ერთი მოწვეული მასწავლებელია, დანარჩენი - უფროსი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია **თანამშრომელთა პირადი საქმეები.** მაგ. ექიმის, საგნის მასწავლებლების. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, მათ შორის შრომით ხელშეკრულებები. უფროს და წამყვან მასწავლებლებთან სკოლას გაფორმებული აქვს განსხვავებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულებაში მითითებულია წამყვან მასწავლებლეთანაა გაფორმებული თუ უფროსთან, შესაბამისად ასახულია განსხვავებული მოთხოვნები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **ინგლისური ენის უფროსი მასწავლებლის და ფრანგული ენის უფროსი მასწავლებლის დოკუმენტაცია**. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის პერსონალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების პირობები. ასევე წარმოდგენილია ხელშეკრულება #5-04 05.03.2021წ. **დამლაგებელთან.**

სკოლამ წარმოადგინა ექიმის პირადი საქმე, რომელშიც დევს ცნობა ნასამართლობის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, სპეციალობის დამადასტურებელი ექიმის სერტიფიკატი. **სკოლის ექიმს აქვს სახელმწიფო სერთიფიკატი მეანობა გინეკოლოგიაში.** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების თანახმად (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი)

სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) პედიატრია, ბ) საოჯახო მედიცინა, გ) ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი.
სკოლის ექიმს აქვს სახელმწიფო სერთიფიკატი მეანობა გინეკოლოგიაში, შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერსონალის კვალიფიკაცია ზოგიერთ (ექიმის) შემთხვევაში არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ინდიკატორი 3.1.2.4. არ იყო დაკმაყოფილებული, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა შესრულების ვადის მითითებით. შესაბამისად ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა განმარტავს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანო პედსაბჭო. სკოლას შემუშავებული აქვს პედაგოგიური საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც პედსაბჭო შეიმუშავებს სასკოლო დოკუმენტებს. დებულებით განსაზღვრულია, რომ პედაგოგიური საბჭო მუშაობს მის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმით. **კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობენ მასწავლებლები,** კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი პედსაბჭოს ოქმებით დასტურდება მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, აკადემიური მოსწრების შედეგების განხილვა და სხვა. **პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით.** მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმი #1 11.01.2023წ. პედაგოგიური საბჭოს ოქმი #9 04.07.2022წ. სადაც მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგიურ კოლექტივში გუნდურობა გამოვლინდა ადგილზე ვიზიტის დროს დირექციის წევრებთან და საგნის მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებისას.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრების დებულება, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. საილუსტრაციო მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს **დაწყებითი საფეხურის კათედრის 2022-2023 ს/წ სემესტრული ანგარიში,** ასევე **საბუნებმისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი** #2 15.06.2022წ. სადაც დღის წესრიგში მოცემულია მე-2 სემესტრის შეჯამება და ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ასევე წარმოდგენილია 2022-2023 ს/წ სასკოლო პროექტის მართვის გუნდის ანგარიში. მტკიცებულების სახით ასევე წარმოდგენილია **დაწყებითების კათედრების სხდომის ოქმები,** სადაც საუბარია მასწავლებელთა ურთიერთდასწრებაზე, სამოქმედო გეგმის დამტკიცებასა და სხვა საკითხებზე ერთობლივად მუშაობაზე.

გარდა ამისა, მონაწილეობა და გუნდურობა დასტურდება სკოლაში მოქმედი **სამეურვეო საბჭოს** წარმოდგენილი ოქმებით #3 07.09.2023წ. ხარისხის განვითარების, ასევე **პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის** ოქმით #2 10.09.2022წ. სადაც მოცემულია 2022-2023 ს/წ განმავლობაში ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის საკითხი. **მრჩეველთა საბჭოს მასალებით** - მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 03.06.2022წ. დირექტორის ანგარიში 2021-2022 ს/წ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ოქმი #3 24.10.2022წ. 2022-2023 ს/წ განმავლობაში საბჭოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვის შესახებ.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა მონაწილეობითი და გუნდურად მიღების პრინციპი.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა აფასებს თანამშრომელთა და მასწავლებელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს როგორიცაა ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა, მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ. სკოლას წარმოდგენილი აქვს თანამშრომელთათვის/მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის შესახებ **დირექტორის ბრძანება.**

ამასთანავე, **სკოლას აქვს სოციალური ქსელი,** სადაც მუდმივად ხდება მონაცემების განახლება, სკოლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება. აღსანიშნავია, რომ სკოლა ვაკანტური ადგილის შესავსებად უპირატესობას ანიჭებს ახალგაზრდა და კვალიფიციურ კადრს, ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით სკოლის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. განიხილავს დამწყები კადრების (მასწავლებლობის მაძიებლების) მიღების საკითხს და მათთვის გამოცდილების გაზიარებას, პროფესიაში შესვლაში დახმარებას.

თუმცა სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისების ღონისძიებები არ არის წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმი. სკოლის **წარმოდგენილი მასალები არასაკმარისია იმის დასადგენად, ზუსტად აქვს თუ არა სკოლას წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი ან პრაქტიკა. რეკომენდებულია სკოლას რაიმე ფორმით ჰქონდეს შემუშავებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები მაგალითად საგნობრივი კათედრის დონეზე.**

ინდიკატორი 3.1.2.6. არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი

2. საშტატო განრიგი

3. დირექტორის ბრძანება მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ #1/კ-38 20.04.2019წ.

4. დირექტორის ბრძანება #1/კ-03 10.01.2023წ. ფსიქოლოგის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

5. დირექტორის ბრძანება #1/კ-01 10.01.2023წ. სსსმ პირის ასისტენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ, ბრძანება #1/კ-02 შექმნილია საკონკურსო კომისია ასისტენტის შესარჩევად.

6. დირექტორის ბრძანება #1/კ-80 07.09.2022წ. ასისტენტის კონკურსის ჩატარების წესის შესახებ.

7. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #1 11.01.2023წ. 2022-2023 ს/წ I სემესტრის შეჯამება.

8. პედაგოგიური საბჭოს ოქმი #9 04.07.2022წ. 2022-2023 ს/წ I სემესტრის შეჯამება.

9. დირექტორის ანგარიში მრჩეველთა საბჭოს წინაშე 2021-2022 ს/წ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების განვითარების პროგრამა 2022-2023 ს/წ.

11. დირექტორის ბრძანება #1/კ-79 05.06.2023წ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

12. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები.

13. დაწყებითი საფეხურის კათედრის 2022-2023 ს/წ სემესტრული ანგარიში.

14. საბუნებმისმეტყევლო კათედრის სხდომის ოქმი #2 15.06.2022წ.

15. მრჩეველთა საბჭოს ოქმი #3 24.10.2022წ. 2022-2023 ს/წ განმავლობაში საბჭოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვის შესახებ.

16. მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 03.06.2022წ. დირექტორის ანგარიში 2021-2022 ს/წ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

16. **პერსონალის პირადი საქმეები.** ექიმის პირადი საქმე, პირადი განცხადებები, დანიშვნის ბრძანებები.

17. ხელშეკრულება #5-17 15.09.2023წ. ფრანგული ენის უფროს მასწავლებელთან.

18. ხელშეკრულება #5-04 05.03.2021წ. დამლაგებელთან.

19. ხელშეკრულებები ექიმთან, საინფორამციო მენეჯერთან, საქმისმწარმოებელთან, ბუღალტერთან, დარაჯთან.

20. ბრძანება ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ
21. თანამშრომელთათვის/მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის ბრძანება #1/კ-41 24.06.2021წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლამ შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის **სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა.** სკოლა ეტაპობრივად ახროციელებს დოკუმენტით გათალისწინებული დებულებების სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებას და გამოყენებას. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის გათვალისწინებულია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

სკოლის განმარტებით, სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობა, დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ღონისძიები, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები. კვალიფიკაციის ამაღლება დასტურდება სპეციალურ მასწავლებელთან და ფსიქოლოგთან გასაუბრებით, რომელთაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგები სკოლის შეთავაზებით. ასევე საგნის მასწავლებლის ცნობა ტრენინგის გავლის შესახებ - მასწავლების პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ცნობა 18-01.2023წ.

სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. კერძოდ, თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით დირექტორის მოადგილე ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ხელმძღვანელობს საკურატორო კათედრების მუშაობას, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, გამოიკვლევს პედაგოგთა პროფესიული განვითარების რეალურ მდგომარეობას, ადგენს პედაგოგთა პროფესიული საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოს მათი გეგმაზომიერად განხორციელება, იბარებს ანგარიშს და აწვდის დირექტორს.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელთა შეფასებისას ხდება აკადემური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის დადგენა დადგენილი კრიტერიუმების მეშვეობით. დოკუმენტით გათვალისწინებულია სკოლის მიერ მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება და მათი პროფესიული განვითარება თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით.
სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა უნდა განახორციელოს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც დაეხმარება შეკითხვები, რომლებიც გამოვლენს თანამშრომლების ძლიერ და სუსტ მხარეებს, არსებულ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების განვითარებაზე.

საჭიროებების დადგენის ერთ-ერთი მექანიზმად სკოლას გათვალისწინებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, რომლის მიზანია ასევე მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება. ჯგუფს გაწერილი აქვს მასწავლებელთა დასწრებების წლიური განრიგი. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის **ჯგუფის სხდომის ოქმი #2 10.09.2022წ.** რომლითაც გაწერილია 2022-2023 ს/წ განმავლობაში ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა. ასევე **ხარისხის ჯგუფის ორი ანგარიში საგაკვეთილო დაკვირვების შესახებ** შესაბამისი უკუკავშირებით. მოცემულია კრიტიკული უკუკავშირებიც და რეკომენდაციები მასწავლებლის მიმართ. სკოლის განმარტებით, სკოლის მასწავლებლები ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას, იღებენ უკუკავშირებს და აუმჯობესებენ მათ შემდგომ საქმიანობას.
მიზანშეწონილია გაკვეთილის ანგარიშის ეს ფორმები არ იყოს ასეთი შაბლონური და უფრო კონკრეტულად ასახავდეს გაკვეთილის ვითარებას. კერძოდ, ანგარიშის ფორმაში სასურველია ჩანდეს ვის ესწრებოდნენ და კონკერტულად როდის, რა აქტივობები განახორციელა მასწავლებელმა. ასევე მიზანშეწონილია გაწერილი იყოს საგაკვეთილო დაკვირვების საგნობრივი რუბრიკები და გაკვეთილის შეფასების სქემები, თუ რას აკვირდებიან დამსწრეები გაკვეთილზე.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის **თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანაა** სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ **ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა, ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება, ანალიზის შედეგად საჭიროების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების დასახვა და განხორციელება.

პერსონალის განვითარების მიზნით, **დირექტორისა და მოადგილეების აქტიური ჩართულობით ხორციელდება ღონისძიებების დაგეგმვა,** ტრენინგებისა თუ სემინარების შეთავაზება, ინფორმაციის მიწოდება. მასწავლებლები აქტიურად ესწრებიან მასწავლებელთა სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგ კურსებს. ასევე, ურთიერთდასწრების ფარგლებში ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და უზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხარდაჭერას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგ კურსების შესახებ და ხელს უწყობს მათზე დასწრებას. სკოლის დირექციის მიერ ასევე, მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარებაც. მუდმივად მიეწოდებათ მათთვის პრიორიტეტული ტრენინგებისა თუ სემინარების შესახებ ინფორმაცია. მაგ: სკოლის ბუღალტერი ესწრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებულ ტრენინგებს.
ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანური რესურების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მუდმივად ეცნობა სიახლეებს და ახდენს დასაქმებულთა ინფორმირებას და უზრუნველყოფს ახალი სისტემის დანერგვას, კანონმდებლობის ცვლილებების გათვალისწინებით.
სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, მასწავლებლები გადიან მასწავლებლის სახლის ტრენინგებს, თუმცა ეს მიმდინარე პროცესია და ჯერ დამადასტურეელი სერტიფიკატები არ წარმოუდგენიათ. დირექტორის მოადგილე ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე; ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო **სამუშაო შეხვედრებს**.
ინდიკატორი 3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად. ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლაში მაქსიმალურად ხელს უწყობენ დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებად, ქმნიან თანამშრომლობით გარემოს. მასწავლებლობაში ინტერგრაციაში სკოლაში მნიშვნელოვანი როლს ასრულებს საგნობრივი კათედრის წევრები და სკოლის დირექცია. ახლად შემოერთებული დასაქმებულის შემთხვევაში, პირველ რიგში, მასწავლებლის გაცნობა თანამშრომლებისთის ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის გასვლითი ღონისძიებები, სადაც უფრო კარგად ხდება თანამშრომელთა გაცნობა და დაახლოება.

ადგილზე სასკოლო კულტურის შესწავლით ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან (ახალიმიღებული სსსმ პირის ასისტენტების და ფსიქოლოგის ჩართვა სასკოლო პროცესებში), თუმცა მიმდინარე ს/წელს მსგავსი პრაქტიკის არსებობა რაიმე კონკრეტული მასალებით არ დასტურდება. **სკოლის დირექციაში და მასწავლებლებში ჩანს მიმღებლობა და მზაობა დანერგონ ინტეგრაციის მექანიზმები, აქვთ ხედვები ამასთან დაკავშირებით. სასურველია სკოლას ჰქონდეს მარეგულირებელი დოკუმენტი ან/და სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა ახალგაზრდა დამწყები პედაგოგების/თანამშრომლების დახელოვნება-ხელშეწყობის მექანიზმები სკოლაში, ასევე განისაზღვრებოდა ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები (მაგ. კათედრის გამგის ან მენტორი/წამყვანი/ლიდერი მასწავლებლის სახით).**

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით (მატერიალური რესურსი, სათანადო სივრცის შექმნა). სკოლის განმარტებით, საგნობრივი კათედრების მასწავლებლების ორგანიზებით და ძალისხმევით განხორციელდა რამდენიმე სასწავლო და სოციალური პროექტი. პროექტების მიზნები გამომდინარეობდა ზოგადი განათლების მიზნებიდან და ხელს უწყობდა მოსწავლეების სოციალურ და ინტელექტუალურ განვითარებას, მდგრადი განვითარების პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას.

მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 ს/წ განხორციელებული **სასკოლო პროექტის ანგარიში,** რომელიც ეხებოდა სკოლისათვის პრიორიტეტულ თემას გარემოს დაცვის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა სხვადასხვა კათედრაზე. წარმოდგენილი მასალებით ჩანს, რომ სხვადასხვა კათედრების წარმომადგენლები ერთობლივად შეიმუშავებენ წინადადებებს სასკოლო პროექტის განცხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე მასწავლებლების ინიციატივით შეიქმნა კედლის გაზეთები, მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები, დაიგეგმა სხვადასხვა სკოლის მასწავლებლების მიერ ინტეგრირებული გაკვეთილები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება ელ. ჟურნალის შექმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა წამყვანი მასწავლებლის სტატუსზე წარდგენილი ერთ-ერთი პედაგოგის პორტფოლიო, სადაც მოცემულია მის მიერ განხორციელებული პროექტის აღწერა სახელწოდებით „ერთად სკოლის კეთილდღეობისათვის“. აღნიშნული პროექტით სკოლამ მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ მიერ გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში, გაიმარჯვა და მოიპოვა USAID-ის და PH international-ის ფინანსური მხარდაჭერა.
წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

2. მასწავლების პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ცნობა 18-01.2023წ. ტრენინგის გავლის შესახებ

3. კითხვარი თანამშრომელთა საჭიროებების კვლევაზე.

4. მასწავლებელთა დასწრებების წლიური განრიგი.

5. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი #2 10.09.2022წ.

6. საბუნებისმეტყველო კათედრის 2022-2023 ს/წ სამოქმედო გეგმა.

7. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი. ურთიერთდასწრების მასალები.

8. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ჩართულობა ევროსაბჭოს პროექტში.
9. წამყვანი მასწავლებლის სტატუსზე წარდგენილი პედაგოგის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ის ნერგავს დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმებს,** რისთვისაც სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი - **ხარისხის უზრუნველყოფის წესი,** რომელიც მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას და განვითარებას. სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. ამ ეტაპზე სკოლას არასაკმარისადა აქვს წარმოდგენილი მასალები, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგვენახა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული სურათი, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის წესისა და შესაბამისი პრაქტიკის არსებობა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ **ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები. კერძოდ, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგისა შეფასების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პედაგოგიური საბჭო, დირექცია, საგნობრივი კათედრები და სამეურვეო საბჭო. მათ შორის, პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეჯერებული საქმიანობა ასახულია სასკოლო კურიკულუმში. სკოლის განმარტებით, 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმში მეტი აქცენტები გაკეთდება კურიკულუმის და სკოლის განახლებული მისიის მეტ კორელაციაზე.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული **მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე** პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) **იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და ცალკეულ მარეგულირებელ წესებში.**

მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები) ასახულია სტრუქტურული ერთეულების დებულებებში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში. წარმოდგენილი მასალებითა და სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელებული მონიტორინგით გამოიკვეთა, რომ **სწავლა-სწავლების პროცესში მთავარ როლს ასრულებს დირექტორი და დირექტორის მოადგილე,** რომლის ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესში გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ადგილზე ვიზიტის დროს ელექტრონულ ბაზაში დავათვალიერეთ სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი იყო დირექტორის მოადგილის მოხსნენებითი ბარათი, ასევე კლასის დამრიგებლის მოხსენება მოსწავლის 45 დღეზე მეტი გაცდენების შესახებ. **მიზანშეწონილია ცალკე იყოს გაწერილი სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესი, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესები.**

შინაგანაწესის მე-12 მუხლი არეგულირებს დისციპლინურ დევნას. განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისგებლობის სახეები. მე-14 მუხლი განსაზღვრავს დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლებისა) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს და ადგენს დისციპლინური წარმოების წესს. მასწავლებლის დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოების წესი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. **შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი.** სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები.

დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვა დოკუმენტებში, მაგალითად საქმისწარმოების წესში. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესები, რომლითაც მოწესრიგებულია შემოსული და გასული დოკუმენტაციის ბრუნვა და წარმოების წესები, განსაზღვრულია სარეგისტრაციო ჟურნალები, დადგენილია დოკუმენტაციის დამუშავების წესები. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საერთო ბრძანებებისა და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები. ასევე შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელთა წარმოება შეესაბამება საქმისწარმოებით დადგენილ ნორმებს. საქმისწარმოების წესი ასევე არეგულირებს **მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესს.** მოსწავლის პირადი საქმეების წარმოება ხორციელდებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს #113/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის ფორმის ადა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“ შესაბამისად. ვიზიტის დროს დავათვალიერეთ მოსწავლეებისა და მასწავლებლების პირადი საქმეები, რომელთა წარმოებისას დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები. ***მიზანშეწონილია საქმისწარმოების წესში დეტალურად იყოს გაწერილი თანამშრომლისა და მოსწავლის პირად საქმეში რა დოკუმენტები უნდა იყოს განთავსებული.***

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მექანიზმებით.
ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ **ელექტრონული ჟურნალი,** რომლის სარგებლობის წესი შეესაბამება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ რეგულაციებს. კერძოდ, სკოლა მოსწავლეებს უფიქსირებს განმსაზღვრელ შეფასების გარდა განმავითარებელ შეფასებას სემესტრის ბოლოს სათანადო გრაფაში, აფიქსირებს არებს მოსწავლის გაცდენის შემთხვევაში.

შინაგანაწესით მოწესრიგებულია საკადრო საკითხები: შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

3. **სკოლაში არსებობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საჩივრის განხილვის წესი.**

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების და საჩივრების განხილვის დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები.

ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს **სკოლის დისციპლინური კომიტეტი,** რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.

სკოლის დირექტორი აქტიურადაა ჩართული საჩივრების განხილვის პროცესში იმ შემთხვევებში, რომელთა განხილვაც არ განეკუთვნება დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას. დირექტორი განიხილავს და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ გასაჩივრების სისტემა არის გამჭირვალე. საჩივრის განმხილველი ორგანოები მოქმედებენ ობიექტურად, გადაწყვეტილებებს იღებენ წარმოების პროცესში მოპოვებული საქმის მასალების სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე. ამასთანავე, დისციპლინური სახდელის ადრესატს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის დაკისრებული სახდელი სამეურვეო საბჭოში, ხოლო შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში. გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოში ასევე დირექტორის მიერ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებაც. გასაჩივრებას ასევე ექვემდებარება კონკურსის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც განიხილავს კონკურსის შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში სკოლაში იქმნება შესაბამისი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებას. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, **მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში რაიმე ტიპის საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებას ადგილი არ ჰქონია, არც დისციპლინური კომიტეტის შეკრების საჭიროება დამდგარა. მიზანშეწონილია საპრეტენზიო კომისია სკოლამ შექმნას ღია კონკურსის გამოცხადების ეტაპზე და არა საჭიროების დადგომის შემთხვევაში, რითაც უფრო მეტად გარანტირებული იქნება კონკურსის ობიექტურობა.**

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლაში მოქმედი პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ამ მიზნით თანამშრომლობს **სსიპ მანდატურის სამსახურთან,** რომლის უპირველეს მიზანს წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოებისა და მოსწავლეებისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. გარდა ამისა, **სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები.** სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული **ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.** აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლაში დასაქმებული მანდატური. **სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო კამერები,** რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლაში **ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო,** რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. **გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი** და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები.

სკოლას შემუშავებული აქვს **მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელიც აწესრიგებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.** მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები დეტალურად გაწერს იმ მექანიზმებს, რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაციისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირების მიზნით. გაწერილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. განსაზღვრულია **მშობლის ინფორმირების წესი,** მოწესრიგებულია მშობლის უფლებები და ვალდებულებები.

პერსონალური მონაცემების დაცას აწესრიგებს სკოლის მიერ შემუშავებული **პერსონალური მონაცემების დაცვის წესი** და მონიტორინგის მექანიზმები. წესი აწესრიგებს მონაცემების დამუშავების, გამოყენების და გავრცელების პირობებს.

დამრიგებლის საქმიანობა მოწესრიგებულია დამრიგებლსი დებულებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს **სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში,** რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლი ურთიერთვალდებულებები, მშობლის გაფრთხილების წესი და სხვა, რაც უზრუნველყოფს მშობლის უფლებების დაცვას. ხელშეკრულების წარმოადგენილ ნიმუში არ არის ხელმოწერილი, თუმცა პერსონიფიცირებულია კონკრეტული მოსწავლის მშობელზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დისციპლინური კომიტეტის ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის.
3. პერსონალურ მონაცემების დაცვის წესი.
4. ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა სასკოლო ინსტრუქცია.
5. დამრიგებლის საქმიანობის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის განმარტებით, სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული დასტურდება ამ მიზნით სკოლაში შექმნილი **სოციალური ქსელით,** სადაც ხდება სკოლის სიახლეებს შესახებ ინფორმაციების განთავსება და გაცნობა. ამასთანავე, სოციალური ქსელის ფარგლებში თითოეული კლასის დონეზე დამრიგებლებს შექმნილი აქვთ შიდა ჯგუფები, სადაც გაერთიანებული არიან აღნიშნული კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექციის წევრები. აღნიშნული ცალკეული ჯგუფები ხელს უწყობს ინფორმაციის მიწოდებას სწრაფად და ეფექტიანად. გარდა ამისა, **მშობლები ინფორმაციას შვილების აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ იღებენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.** ამასთანავე დამრიგებლები აწვდიან მშობლებს ინფორმაციას კლასებში არსებულ სიტუაციაზე. აღნიშნული დასტურდება ადგილზე ვიზიტის დროს ელექტრონული ჟურნალის დათვალიერებით, საიდანაც ჩანს მოსწავლის დასწრებისა და მოსწრების შესახებ ინფორმაციების ასახვა. ასევე **სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმები,** კერძოდ მე-6 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 19.09.2022წ. რომლის დღის წესრიგიც მოიცავს სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის, სადამრიგებლო პროგრამის და სხვა ინფორმაციების გაცნობას მშობლებისათვის. ასევე მშობელთა საკონტაქტო მონაცემების დაზუსტებას. ოქმს ახლავს დამსწრე 20 მშობლის ხელმოწერა. ასევე წარმოდგენილია მე-2 კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობელთა კრების ოქმი #1 10.10.2022წ. დღის წესრიგით გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო პროგრამების, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების საკითხი და ინგლისურის მასწავლებელთან შეხვედრა. ოქმს თან ერთვის მშობელთა ხელმოწერები.

სკოლას შემუშავებული აქვს და მოქმედებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების და მშობელთან ურთიერთობის დებულება. დებულება ითვალისწინებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის ინდივიდუალური და ჯგუფური პირისპირი შეხვედრების შესაძლებლობას, ელექტრონული ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას და სხვა.

ასევე სკოლას აქვს **დამრიგებლის მუშაობის დებულება,** რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის მოვალეობებს მშობლებთან კომუნიკაციის, მათი ინფორმირებისა და უკუკავშირების მიღების მიმართულებით. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სადამრიგებლო პროგრამას.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. თუმცა მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს ვებ-გვერდი, რომელიც გააუმჯობესებს აღნიშნულ კომუნიკაციას. სკოლის განცხადებით, დაგეგმილია ვებ-გვერდის გაკეთება. **ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. **სამეურვეო საბჭოში** შედის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით 6 მშობელი, 6 მასწავლებელი და საშუალო საფეხურის თავმჯდომარე. **დისციპლინური კომიტეტის** შემადგენლობაში შედის თანაბარი პროპორციით 2-2 მშობელი, მასწავლებელი და საშუალო საფეხურის 2 მოსწავლე. სკოლაში შექმნილია **ისგ ჯგუფები,** რომელთა საქმიანობაში მონაწილეობას იღებს მშობელი. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებებში: მაგ. სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიების და სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა-მომზადებაში.

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება,** რომელიც არეგულირებს თვითმმართველობის საქმიანობას. ასევე **დისციპლინური კომიტეტის ოქმი** #1 18.10.2022წ. რომელიც ეხება კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ დისციპლინური კომიტეტის შეკრების საჭიროება მიმდინარე წელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არ დამდგარა დისციპლინური გადაცდომის გამო, რადგან დირექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აწესრიგებს დისციპლინის საკითხებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს ოქმები, საიდანაც დასტურდება კოლეგიურ ორგანოებში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა. კერძოდ, მონაწილეობა სასკოლო სასწავლო გეგმის მიღებაში, დისციპლინური კომიტეტის ფორმირებაში და სხვა.

წარმოდგენილი მასალებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში, მართვის კოლეგიურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა. **ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობელთა ინფორმირების წესი და მშობელთან ურთიერთობის დებულება.
2. მე-6 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 19.09.2022წ.
3. მე-2 კლასის მშობელთა კრების ოქმი #1 10.10.2022წ.
4. დამრიგებლის მუშაობის დებულება.
5. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
6. დისციპლინური კომიტეტის ოქმი #1 18.10.2022წ.
7. სამეურვეო საბჭოს ოქმი #3 07.09.2022წ.
8. პედსაბჭოს ოქმი #10 07.09.2022წ. – 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა.
9. პედსაბჭოს ოქმი #1 11.01.2023წ. – 2022-2023 ს/წ I სემესტრის შეჯამება.
10. პედსაბჭოს ოქმი #9 04.07.2022წ. – 2021-2022 ს/წ შეჯამება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობა აშენებულია 1974 წელს, 4 სართულიანია და შედგება ორი ნაწილისა და მათი დამაკავშირებელი ფლიგელისაგან. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი შეადგენს 5310.52 კვ.მ. სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით ჰყავს მანდატურები და 3 დარაჯი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას. ამასთანავე, სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 20 ვიდეო სათვალთვალო კამერა, მათ შორის 14 შიდა პერიმეტრზე (თითოეულ სართულზე 2-2 კამერა - დერეფნის თავსა და ბოლოში), ხოლო 6 კამერა - გარე პერიმეტრზე.

უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს **სიგნალიზაციის სისტემა კომპიუტერულ ლაბორატორიაში.** სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხელშკრულება #31 12.12.2022წ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან. სკოლის ეზოში შესვლა-გამოსვლა და გადაადგილება უსაფრთხოა, სკოლის მთელი პერიმეტრი შემოღობილია კაპიტალური ღობით.

ელექტროგაყვანილობის სისტემა გამართულია, თუმცა მოძველებულია. საკლასო ოთახებში კედლებზე დამონტაჟებულია დამატებითი ნათურები ფოკუსირებული განათების მიზნით. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება **შრომის პირობების დაცვის წესები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შენობის დათვალიერებისას რამდენიმე წერტილში დაფიქსირდა დაზიანებული ელექტრო გაყვანილობა, რაც ქმნის გარკვეულ საფრთხეებს და საჭიროებს მოწესრიგებას. ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირია მტუკ-ი.

რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი,** რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო საშუალებებით. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით ექიმი მუდმივ რეჟიმში დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. აღნიშნული დასტურდება ექიმის მიერ წარმოებული ჟურნალით, სადაც დაფიქსირებულია რა საჩივრით მიმართა მოსწავლემ ექიმს, როდის და რა რეაგირება მოახდინა ამაზე ექიმმა, რა მედიკამენტი გასცა. საჭიროების შემთხვევაში ფიქსირდება სასწრაფოს გამოძახების შემთხვევები.

სკოლის დირექტორის 2016 წლის 4 ოქტომბრის 1/კ-153 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - ქალაქ თბილისის #159 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომელიც შეესაბამება პანდემიის პირობებში კოვიდისაგან დაცვის საჭიროებას. ამავე დროს, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #1/კ-153 04.10.2016წ. „სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ. თუმცა ამ ბრძანებაში მოხსენიებული პასუხისმგებელი პირების ნაწილი მოსწავლეების სახით უკვე აღარ არისნ ამ სკოლის მოსწავლეები, შესაბამისად აღნიშნული ბრძანება არ არის რელევანტური. **საჭიროა ახალი პროცედურების დაწყება საგანგებო სიტუაციების გეგმის შესამუშავებლად და შესაბამის ორგანოსთან შესათანხმებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საჭიროებს ახალი გეგმის შემუშავებას და შეთანხმებას.**

შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების წესები, სკოლას დერეფნებში, ყოველი კიბის უჯრედის მიმდებარედ განთავსებული აქვს **ცეცხლმაქრები** დამუხტულ მდგომარეობაში, ცენტრალურ ფოიეში პირველ სართულზე კედლეზე დამონტაჟებულია სახანძრო სტენდი ორი ცეცხლმაქრით. ცეცლმაქრები არის კანცელარიაშიც. **სკოლას აქვს მიწერილობა შპს საგანგებო სიტუაციების** მართვის სამსახურთან #0000692444 13.06.2023წ, რომლითაც ითხოვს დასკვნის მომზადებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. ასევე **სკოლას აქვს მიწერილობა ლევან სამსახრაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან** შეისწავლონ სსიპ ქალაქ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისის N159 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მის შესაბამისად განსაზღვრონ მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოება (14.06.2023წ. წერილი #MES 7 23 0000691038).

თითოეულ დერეფანში ორ ადგილზე განთავსებულია **საევაკუაციო გეგმები,** რომლებიც შეესააბემება შენობის შესაბამისი ფლიგელის რეალურ მდგომარეობას. გეგმაზე მონიშნულია საევაკუაციო გასასვლელები კიბის უჯრედებში. შენობის ჭერზე დამონტაჟებულია შესაბამისი გასასვლელის მანიშნებლები.

სკოლაში დაწესებულია ასევე მასწავლებელთა **მორიგეობის გრაფიკი,** რომლის მეშვეობითაც დამატებით ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მორიგეობის ცხრილები გამოკრულია ყველა დერფანში თვალსაჩინო ადგილებზე. დერეფნის კედლებზე ასევე **გამოკრულია მანდატურების ტელეფონის ნომრები.** ასევე, სკოლას განსაზღვრული ჰყავს **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,** შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

სკოლას შემუშავებული აქვს **უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა,** რომლითაც განისაზღვრება უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა, საგანგებო შტაბი და ა.შ. სკოლის კუთვნილი ქონების დაცვის მიზნით შემუშავებულია **მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.**

სკოლას შემუშავებული აქვს **დარაჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია,** რომლის თანახმად განსაზღვრულია დარაჯის ვალდებულებულებები უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით.

„ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29.01. ბრძანების თანახმად შექმნილია **„სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო“.** სკოლას წარმოდგენილი აქვს მრჩეველთა საბჭოს ომების ნიმუშები.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც არ შეესაბემება. არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა და ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს დასკვნების მოპოვება შენობის სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგარდობის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას შემდეგი მექანიზმების საშუალებით. **ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო,** რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით ეწყობა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში ტარდება მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, ასევე, შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა. სკოლის შენობაში შესვლა გარეშე პირებისათვის ხდება საშვების სისტემის მეშვეობით. შვეიცარი აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს, სადაც ფიქსირდება ვიზიტორის ვინაობა და მონაცემები. სკოლას გააზრებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებბეის. **ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის კუთხით სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის ბრძანებით **განსაზღვრულია „ბავშთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი,** რომელიც ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს რეფერირებული მოსწავლე. ამასთანავე სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტები და ენისა და მეტყველების სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება **სადამრიგებლო საათის ფარგლებში** მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იგეგმება აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას შემუშავებული აქვს **„დამრიგებლის მუშაობის დებულება“,** რომლის თანახმად, სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას სკოლის დირექციასთან ერთად (მაგ. ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით).

სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, დამრიგებელი მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და სხვა.

ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და მანდატურის სამსახური, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გარდა სსსმ მოსწავლეებისა ის ემსახურება ტიპიური განვითარების მოსწავლეებსაც სხვადასხვა სირთულის გამოვლენის შემთხვევაში, რისი შემთხვევებიც პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო გახშირდა. ის სათანადო რეკომენდაციებს აძლევს მოსწვალეს და მასწავლებელს. **ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით შემუშავებულია ნორმების დაცვის შესაბამისი წესი, რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის სარგებლობაში არსებული ტერიტორიის დასუფთავება.

სკოლა ჰყავს 5 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს **დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია,** რომლის თანახმად, დამლაგებელს ევალება მუდმივად აკეთებდეს დეზინფექციას; უზრუნველყოფდეს მასზე განპირობებული ფართის სისუფთავეს სანიტარულ-ჰიგიენურ გამართულობას. დაწესებული განრიგით ხდება კედლების, სველი წერტილების და იატაკის დაგვა-დასუფთავება. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე, მათ შორის სველ წერტლებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. **დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები,** რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. აღნიშნულით დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მატერიალური თუ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მონაცემების დაცვის წესი შენობაში შესვლისა და გასვლის დროს მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული ფოსტისა, თუ ტელეფონის ნომრის გამოყენების დროს, ასევე განსაზღვრულია მონაცემების დაცვის წესი პირადი საქმეებისა თუ ელექტრონული ბაზების წარმოების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.

იმისათვის, რომ არ მოხდეს დაცულ მონაცემებთან უცხო პირთა მოხვედრა, **სკოლას განსაზღვრული ჰყავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები, მათი პასუხისმგებლობის ფორმები.** პერსონალური მონაცემების დაცვის წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-79 05.06.2023წ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი ასახულია შრომით ხელშეკრულებებში. მაგ. მასწავლებელთან ხელშეკრულების მე-10 მუხლი. **ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რაც გამოიხატება სკოლაში ორი დოკუმენტის არსებობით:** პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები და სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული მოსწავლის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება. მათი გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ნორმა, რომელიც არეგულირებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მშობელი/ კანონიერი წარმომადგენელი აცხადებს თანხმობას სკოლამ სასკოლო და არასასკოლო აქტივობების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი შვილის ფოტო, ვიდეო გადაღება /აუდიო ჩაწერა. ასევე მშობელი გამოხატავს თანხმობას მისი შვილის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები-/ინფორმაცია სკოლამ დამუშაოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ, კანონმდებლობით გაგდენილი წესით. **ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლას განსაზღვრული ჰყავს **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი მტუკ-ის სახით,** ასევე, შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას შექმნილი ჰყავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ჯგუფი, რომელთა ფუნქციებიც განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში. ასევე, სკოლას აქვს საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი პირი და მათი საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი. სკოლა, მომავალი 3 წლის განმავლობაში, განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარებით გეგმავს შესაბამისობაში მოიყვანოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა (სიგნალიზაცია, სხვა აუცილებელი სტანდარტული მოთხოვნები).

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის თანახმად განსაზღვრულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები:

- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა;
- საგანგებო შტაბი;
- მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება.

სკოლის პერსონალთან გასაუბრების, სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ ეტაპზე სკოლას არა აქვს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, თუმცა სკოლამ 2023 წლის 13 ივნისის წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და ითხოვა სსიპ- ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის შესაბამისობის შესწავლა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მომზადება. სკოლამ ასევე წარმოადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთვის 2023 წლის 14 ივნისს გაგზავნილი წერილი, სსიპ - ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მის შესაბამისად ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის მიზნით. სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ **ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სკოლის შინაგანაწესი;
2. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სკოლის საგანგებო შტაბის შექმნა;
3. მორიგეობა სართულების მიხედვით 2022-2023;
4. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
5. უსაფრთხოების პოლიტიკა;
6. დარაჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
7. მრჩეველთა საბჭოს ანგარიშის შესახებ;
8. მრჩეველთა საბჭოს ანგარიში;
9. რეფერირების-პროცედურების-განხ.-უფლებამოსილი-პირის-განსაზღვრ-შესახებ;
10. დამრიგებლის მუშაობის დებულება;
11. მრჩეველთა საბჭოს შექმნა;

11ა. მრჩეველთა საბჭოს ცვლილება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12. 159-ე სკოლა-დაცვა,ხელშეკრულება;
13. დარაჯის ხელშეკრულება;
14. მრჩეველთა საბჭოს ოქმი2, უსაფრთხოების დაცვაზე;
15. დამლაგებლის-თანამდებობრივი-ინსტრუქცია;
16. ხელშეკრულება მშობელთან;
17. მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
18. მიწერილობა შენობის მდგრადობის შესახებ;
19. პერსონალის მონაცემები;
20. ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით, რაც საჭიროა ბავშვთა ზღვრული რაოდენობისათვის (1250 მოსწავლე). მოცემული მომენტისათვის 2020-2021 ს/წლიდან სკოლის შენობაში შესახლებულია თბილისის #11 საჯარო სკოლა 846 მოსწავლით. **სკოლებს შორის გაფორმებულია შეთანხმება 2023 წლის 3 იანვარს კომუნალური გადასახდების გადახდის თაობაზე,** რომლითაც განსაზღვრულია კომუნალური გადასახადების გადახდის პირობები. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომუნალური გადასახდის გადახდის ქვითრები.

შენობა ოთხსართულიანია, აზომვითი ნახაზისა და ადგილზე დათვალიერების მიხედვით შენობის პირველი სართული ორი ფლიგელისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გადასასვლელი ფლიგელით. **პირველი სართულის ცენტრალურ ფლიგელში განთავსებულია** სამი საკლასო ოთახი პირველი კლასებისათვის, დამაკავშირებელ ფლიგელში - 3 დაწყებითი კლასის ოთახი. მეორე ფლიგელში კი - 6 დაწყებითი კლასის ოთახი, რომლებიც დატვირთულია ორ ცვლაში. პირველ სართულზეა განთავსებული დირექტორის კაბინეტი, ბუფეტი და სპორტული დარბაზი.

მეორე სართულის ოთახების განლაგება და წყობა პირველი სართულის იდენტურია. მე-2 სართულის ცენტრალურ ფლიგელში განთავსებულია მცირე დარბაზი (გადაცემულია #11 სკოლისათვის სარგებლობაში), ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, დამაკავშირებელ ფლილეგში - რესურს-ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და #11 სკოლისათვის გადაცემული ფართი. მე-2 ფლიგელში განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, რომლებიც დატვირთულია დილის ცვლაში და მანდატურების ოთახი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მესამე-მეოთხე სართულებზე ერთი ფლიგელია და განლაგებულია 8-8 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, საინფორმაციო მენეჯერის ოთახი. **სულ შენობაში არის 40 საკლასო ოთახი.** საკლასო ოთახები მოვლილი და კეთილმოწყობილია, მაღალი საფეხურის საკლასო ოთახების ცალკეულ შემთხვევებში კედლები დაპასტულია, რაც შენობაში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების შემოსვლით აიხსნება. ზოგიერთი ოთახის კარები დაზიანებულია. ოთახებში არის ელექტროგანათება.

შენობის პირველ სართულზე არის სპორტული დარბაზი 250 კვ.მ. რომელსაც აქვს გასახდელები ვაჟებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე. სპორტ-დარბაზის მიმდებარედ მოწყობილია მოქმედი სველი წერტილი. სპორტ-დარბაზში კედელზე დამონტაჟებულია შვედური კედელი და ასაწევი ბაგირი, სათავსოში განთავსებულია სპორტული ინვენტარი (ლეიბები და სხვა). დარბაზი მოვლილ მდგომარეობაშია იმის გათვალისწინებით, რომ ის მთელი დღის განმავლობაში დატვირთულია ორი სკოლის საგაკვეთილო პროცესით.

პირველ სართულზე არის დიდი დერეფანი და ფოიე, რომელიც ასრულებს სოციალიზაციისაათვის და დასვენებისათვის ხელშემწყობი სივრცის ფუნქციას შენობაში. დიდი და ნათელი დერეფნები არის შენობის სხვა სართულებზეც.

შენობის მეორე სართულზე მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტ-ქსელში ჩართული 25 კომპიუტერით, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორია და შემოწმდა ინტერნეტ-ქსელში ჩართულობა. **სველი წერტილები** განლაგებულია ყველა სართულზე. პირველ სართულზე, ისევე როგორც სხვა სართულებზე, მე-2 ფლიგელის ურთიერთსაპირისპირო მხარეებში მოწყობილია ორ-ორი სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის სხვადასხვა მხარეს. ერთ-ერთ სართულზე დამონტაჟებულია პისუარები ვაჟებისათვის, მოწყობილია ინდივიდულური კაბინები, რომლებიც იკეტება კარით. მოწყობილია ხელსაბანები. თუმცა სველი წერტილები შელახულია და საჭიროებს გარკვეულ რებილიტირებას, ონკანები და კაბინის კარებები ცალკეულ შემთხვევებში დაზიანებულია. სველი წერტილები 2015 წელს არის რეაბილიტირებული განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. პირველ სართულზე მოწყობილია ერთი ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის.

მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სადაც დამონტაჟებულია კარადები. წიგნადი ფონდი მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, მეთოდურ ლიტერატურას და შეადგენს 6400 წიგნს. სკოლამ წამოადგინა საინვეტარო აღწერილობა 01.01.2023წ. მდგომარეობით. ბიბლიოთეკში მოწყობილია ელექტრონული კატალოგი ანბანური პრინციპით, ადგილზე ვიზიტის დროს გავეცანით წიგნების დამუშავების წესს, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (წიგნები დანომრილი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშტამპულია სკოლის შტამპით). ბიბლიოთეკას არა აქვს სამკითხველო სივრცე ბიბლიოთეკაში სათანადო ფართის არარსებობის გამო. სკოლას შემუშავებული აქვს **ბიბლიოთეკის დებულება.**

მეორე სართულზე მდებარეობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც დამონტაჟებულია გამწოვი, აქვს ბუნებრივი განათება და ვენტილაცია. ლაბორატორია აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია- ლაბორატორიის კომპლექტის ცალკეული მასალებით. ქიმიური და ფიზიკური მოვლენების ამსახველი თვალსაჩინოებებით, ქიმიის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარით, რომლითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული ცდები. ბიოლოგიის ნაწილი აღჭურვილია ადამიანის ორგანოების მულაჟებით, მიკროსკოპით. ლაბორატორიაში არის ხელსაბანი. ლაბორატორიაში დგას საექსპერიმენტო მაგიდა. თუმცა ლაბორატორიისათვის განკუთვნილ სივრცეში მოწყობილია საკლასო ოთახი და ლაბორატორიის კომპლექტის მასალები მოთავსებულია ოთახის მომიჯნავე სათავოსში, საიდანაც მასწავლებლები იყენებენ საჭირო რესურსებს სხვადასხვა კლასებში. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

პირველ სართულზეა სამედიცინო კაბინეტი 15 კვ.მ. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით, მედიკამენტებით, სადაც ხორციელდება სამედიცინო მომსახურების გაწევა. კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომი, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ ინვენტარით, რომლითაც სკოლა მოამარაგა ინფრასტრუქტურის სააგენტომ.

შენობაში ყველა სართულზე მოწყობილია **საევაკუაციო გასასვლელები** და დამონტაჟებულია შესაბამისი მიმანიშნებლები.

სკოლის ეზოში არის ქვის ღობით გამოყოფილი ღია სპორტული მოედანი, რომელშიც მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები. მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის წინ მოწყობილი სპორტული მოედნით, რომელიც შემოღობილი და იზოლირებულია დასახლებული პუნქტისაგან. **სკოლას არ წარმოუდგენია სკოლის ეზოში მდებარე ღია სპორტული მოედნის სარეაბილტაციო სამუშაოების დამადასტურებელი მასალა.**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ხკოლის მისიით და მიზნებით განსაზღვრული და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად **სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის სასწავლო ინვენტარი - მერხები, სკამები, რაც შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი: კლასების უმეტესობაში მოსწავლეთა რიცხოვნება 29-ს უახლოვდება, შესაბამისად კლასების უმეტესობაში დგას 28-29 მერხი და სკამი. ყველა კლასში დამონტაჟებულია დაფა, დგას მასწავლებლის მაგიდა. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც გაწერილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიის, სპორტული ინფრასტრუქტურის, მუსიკის კაბინეტის, ბიბლიოთკისა და რესურს-ოთახის მასალებით სარგებლობის წესები. **მატერიალური რესურსების განკარგვის წესი** არეგულირებს სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიერ მატერიალური რესურსების განკარგვის პირობებს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

სკოლაში ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2022 წლის დეკემბერში - სკოლის დირექტორის ბრძანება #1/კ -137-ის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლაში ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის**. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც მოსწავლეებს, ამასთანავე მასწავლებლებს, შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერულ ლაბორატორიას საკუთარი ინიციატივების წარმოდგენისა და რეალიზებისათვის. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სპორტული დარბაზით ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ამასთანავე, სკოლის მატერიალური ბაზით. სკოლაში მოქმედებს მატერიალური რესურსებით, ლაბორატორიებით სარგებლობის წესები, ბიბლიოთკის დებულება, რაც საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოებას გამოიყენოს მატერიალური რესურების საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული დებულებების შესაბამისად. მოსწავლეები გაკვეთილებს შორის შესვენებების პერიოდში დასვენებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის სარგებლობენ შენობაში არსებული დერეფნებით. დერეფნებში განთავსებულია გრძელი სკამები, გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები. მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ეზოში არსებული მოსასვენებელი სივრცეებიით, ხოლო სპორტული მიზნების განხორციელებისათვის სპორტული დარბაზით. წესები საჯაროდაა გამოკრული და ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს.** კერძოდ, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მოსწავლე ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სასწავლო წიგნებით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, კეთილმოწყობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საპირფარეშოებით, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშოთი სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია მრავალფეროვანი სასწავლო თვალსაჩინოებებით. შენობას აქვს პანდუსი, რომლითაც უზრუნველყოფილია შეძრუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის შღწევა პირველ სართულზე საკლასო ოთახში. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **შენობაში და ეზოში საკმარისადაა თავისუფალი სივრცეები მოსწავლეთა შეხვედრებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობისათვის.** იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს მოქმედი **სააქტო დარბაზი (იჯარითაა გაცემული),** რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის, ამ დანიშნულებას ასრულებს საკლასო ოთახები და სკოლის დერეფანი. ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები, შეხვედრები და კინოჩვენებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს ერთი შიდა და ერთი გარე სპორტული მოედანი, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. გეგმავენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებსა და თამაშებს.

სკოლაში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები. სკოლაში არაა მოწყობილი სამკითხველო სივრცე, კერძოდ სკოლის ბიბლიოთეკაში, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებოდათ წაიკითხონ მათთვის საინტერესო წიგნები. თუმცა შენობაში დროებით შემოსახლებული თბილისის #11 სკოლის გასვლის შემთხვევაში სკოლაში გამოჩნდება თავისუფალი სივრცე სამკითხველო სივრცის მოსაწყობად. **ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5.. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები,** სკოლის აქვს ბიბლიოთეკა, რომლებშიც განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკებში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნიმუშები, დამხმარე და მხატრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჟურნალთან „ახალი განათლება“, რომელიც ეტაპობრივად წლის განმავლობაში მიეწოდება სკოლას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურების განკარგვის წესი.

2. ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

4. შენობა-ნაგებობის სქემა.

5. ბიბლიოთეკის დებულება.

6. ფოტო-მასალა (მატერიალური რესუსრები და ინფრასტრუქტურა).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კერძოდ, სკოლას აქვს 39 ლეპტოპი ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, 50 კომპიუტერი და 7 პროექტორი. გარდა ამისა, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც მობილიზებულია საჭირო რაოდენობის ტექნიკა, რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. სკოლის განცხადებით, მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პირადი პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძრითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში. მათ შორის რამდენიმე კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლა უზრუნველყოფილია ლეპტოპებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები (მაგ. კომპიუტერულ ლაბორატორიაში), რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული საბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ მოსწავლეებსაც სასწავლო მიზნებისათვის. **ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ლეპტოპები, ინტერნეტი, კომპიუტერები, ელექტრონული რესურსების გამოყენების განრიგი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოების წესის განხორციელების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ დოკუმენტის შესაბამისად. ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. **საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობით**, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება და ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც სპეციალურ საქაღალდეში. სკოლაში ცალ-ცალკეა გაყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები, სადაც რიგითობის მიხედვით ენიჭება თითოეულ ბრძანებას ინდივიდულური ნომერი. საკადრო ბრძანებები დანომრილია #1/კ პრინციპით, საერთო ბრძანებები #2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებული სპეციალური მოდულის მეშვეობით სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის Eflow-ს და Eschool-ის სისტემები და მისი წარმოების პროცედურები, რომელსაც ახორციელებს საქმისმწარმოებელი. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მშობლის განცხადება პირველ კლასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მიღებაზე. ასევე მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა.

მიზანშეწონილია ბრძანების სამართლებრივ საფუძველში მითითებული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა ასევე მითითებული იყოს მობილობის მარეგულირებელი ნორმაც - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის #193/ნ ბრძანება.

სკოლას აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/კ-71 05.06.2023წ. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია გასული და შიდა დოკუმენტაცია, დარეგულირებულია ბრძანების გამოცემის წესი, ასევე წერილის, ოქმის, მოხსენებითი ბარათის, ცნობის წარმოების წესები. ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ სკოლის მიერ წარმოებული აღნიშნული დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში, რითაც დადასტურდა მათი წარმოება სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად. თანამშრომლებთან გაფორმებული **შრომითი ხელშეკრულებები რეგისტრირდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში,** რომლის დათვალიერებაც მოხდა ადგილზე ვიზიტის დროს. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #113/ნ 2013 წლის 22.08. საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სკოლის საქმისწარმოების წესში. დირექტორის ბრძანებით #1/კ-214 06.12.20216წ. განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი საქმისმწარმოებლის სახით. **ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. კერძოდ, **საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით.** სამდივნოში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელსაც საქმისწარმოების დროს იყენებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში მოქმედებს Eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება ასევე, მოხსენებითი ბარათების ატვირთვა, იტვირთება თითოეული ბრძანება, რაც გამოიცემა სკოლაში. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცემების ასახვა, მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება, მაძიებელ მასწავლებელთათვის ინფორმაციის აღწერა, ტუტორის განსაზღვრა და ა.შ. eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. ადგილზე ვიზიტის დროს eschool-ის ბაზიდან ექსპერტთა ჯგუფმა ამოიღო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა. **ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი.** მასში სრულადაა ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე ასახულია სკოლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია. ასახულია მასწავლებლების მაძიებლისათვის განსაზღვრული ტუტორის შესახებ ინფორმაცია, საგაკვეთილო ცხრილები, არჩეული სახელმძღვანელოები, საგნების განაწილება მასწავლებლებზე და კლასებზე. პროფილის განახლება ხდება საჭიროებების შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში. **ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექტორი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ. ამასთანავე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს წერილი 10 დეკემბრის ანგარიშის შესახებ. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პრაქტიკა. **ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 10 დეკემბრის ანგარიში - საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ მონისტრისა და საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული ანგარიში.
2. საქმისწაროების წესი.
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ანგარიშის გაცნობაზე, დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლა მუდმივად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხით. ამჟამად სკოლას არ აქვს ვებგვერდი, მაგრამ აქვს სოციალური გვერდი, სადაც ხდება საჭირო ინფორმაციის განთავსება. მოქმედი ვებ-გვერდის არ ქონის გამო **ინდიკატორი 3.6.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მოცემულია სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 11 სექტემბრის ბრძანება N1/კ112 ვებგვერდის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

2. სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა იციან, თუ როგორ უნდა მოიპოვონ და გაავრცელონ სანდო და უტყუარი ინფორმაცია. ამ მიზნით მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი კიბერუსაფრთხოების შესახებ. სკოლას დამადასტურებელი მასალა არ წარმოუდგენია. **ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის განცხადებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ამის საილუსტრაციოდ სკოლას მოჰყავს სოციალურ გვერდზე გაკეთებული კომენტარები, გამოკითხვა, პირისპირ შეხვედრები მშობლებთან, რაც იძლევა საზოაგდოების მხრიდან საჭირო წინადადებების მიღების შესაძლებლობას. მაგ. უკუკავშირის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რო სკოლა სარგებლობს მოსწავლეთა ტრანსპორტირების არსებული პროგრამით. **ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.**

4. .სკოლას ამჟამად არ აქვს ვებგვერდი და სარგებლობს სოციალური გვერდით, რომელზეც თავსდება ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე საგანმანათლებლო პროცესების შესახებ. დაგეგმილია ვებ-გვერდის გაკეთება. **ინდიკატორი 3.6.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მოცემულია სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 11 სექტემბრის ბრძანება N1/კ112 ვებგვერდის შექმნის შესახებ პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

5. სკოლა გეგმავს ვებგვერდის შექმნას. რეკომენდირებულია სკოლამ განათავსოს სკოლის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროგრამები და მათზე ჩარიცხვის პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი 3.6.3.5. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილი აქვს ვებ გევრდის შექმნის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი კომუნიკაციის წარმართვა, ასევე ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ატვირთვის უზრუნველყოფა 30.11.2023წ. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით, ამასთანავე, აქვს ეკონომიკური შემოსავლები. კერძოდ, სკოლას იჯარით გაცემული აქვს კვების ობიექტი (ბუფეტი). მოიჯარესთან გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება #32 13.12.2022წ. 3 წლის ვადით. საიჯარო ფართი შეადგენს პირველ სართულზე არსებულ 38.80 კვ.მ. ფართს ინვენტარის გარეშე. ხელშეკრულების I მუხლის თანახმად, საკვების ნაწილი ადგილზე მზადდება, ნაწილი კი შემოტანილია მოიჯარის მიერ. ხელშეკრულებით განსაზღვრულია საიჯარო ქირა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მისი გადახდის პირობები. საიჯარო ქონებით სარგებლობის წლიური ღირებულება შეადგენს 18060.00 ლარს. თვეში 1806 ლარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საიჯარო გადასახადი წელიწადში 10 თვის განმავლობაში გარდა ივლის-აგვისტოსი, რადგან აღნიშნულ პერიოდში ბუფეტი არ ფუნქციონირებს. ხელშეკრულების დანართით გაწერილია საიჯარო გადასახადი 2022 წლის დეკემბრიდან 2025 წლის ბოლომდე. საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით. საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით სკოლის მხრიდან კონტროლს ახორციელებს სკოლის ბუღალტერი, რომელიც ყოველთვიურად სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს სკოლის დირექტორს იჯარასთან დაკავშირებული გადასახადების თაობაზე. **ასეთი სახის ბარათები სკოლას არ წარმოუდგენია.**

სკოლამ წარმოადგინა ბუფეტის გაიჯარების პროცედურების ამსახველი მასალები (ელექტრონული აუქციონის ჩატარებისა და მისის შედეგების დოკუმენტი, აუდიტის დასკვნა, შესაბამისი სამინისტროების თანხმობები).

სკოლაში ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი ფაქტობრივად დასრულების რეჟიმში იყო (15-16 ივნისი) და შესაბამისად ბუფეტი აღარ ფუნქციონირებდა და დაკეტილი იყო. ამიტომ ვერ მოხერხდა მისი დათვალიერება.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ბუღლტერს. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლა გადასულია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე, ბუღლერტმა გაიარა შესაბამისი ტრენინგი. **სკოლა** ფინანსურ საქმიანობას (ბიუჯეტირებისა და შესყიდვების პროცედურები) აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, მიზანშეწონილია ბუღალტერმა სკოლასთან პერიოდულად აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სამსახურებრივი ბარათების წარდგენის გზით არა მხოლოდ იჯარასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ შესყიდვების ოპერაციების განხორციელებისა და მისი მონიტორინგის პროცესში. ბუღალტრის სამსახურებრივი ბარათები განსახორციელებელი ან/და განხორციელბული შესყიდვების შესახებ უფრო მეტ გამჭვირვალობას შესძენს ფინანსების ხარჯვას.

სკოლას გარდა კვების ობიექტისა, გაიჯარებული აქვს სააქტო დარბაზი 218.98 კვ.მ., რომელიც მდებარეობს მე-2 სართულის ცენტრალურ ფლიგელში. მოიჯარესთან გაფორმებულია ხელშეკრულება #29 01.12.2022წ. 3 წლის ვადით 2025 წლის ბოლომდე. ხელშეკრულების დანართის მიხედვით განსზაღვრულია ნებადართული საქმიანობების ნუსხა, რომელიც მოიცავს სპორტული და შემოქმედებითი მიმართულების 14 სახეობას. ხელშეკრულებით განსაზღვრულია იჯარის წლიური ღირებულება 6010 ლარის ოდენობით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართით კი დაზუსტებულია საიჯარო გადასახადი თვეში, რაც შეადგენს 601 ლარს. დანართით გაწერილია იჯარის გადახდის პერიოდი 2022 წლის დეკემბრიდან 2025 წლის ბოლომდე შესაბამისი ჯამური ღირებულებით. გადასახადის გადახდა ხდება 10 თვის განმავლობაში გარდა ივლის-აგვისტოსი. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაიჯარების პროცედურის ამსახველი დოკუმენტაცია. კერძოდ, აუდიტორული დასკვნა 13.10.2022წ. ასევე eAuction.ge გამოცხადებული აუქციონის დამადასტურებელი მასალა, წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი #1405152 04.11. 2022წ. ასევე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი #5/62583 09.11.2022. და იჯარის ხელშეკრულება. **აღნიშნული მასალებით ირკვევა, რომ სკოლას სააქტო დარბაზის ფართის გაიჯარება განხორციელებული აქვს მოქმედი კანონდებლობის წესების დაცვით.**

სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს **ბიუჯეტს** რომელშიც განისაზღვრება შესასყიდი საქონლის შესახებ ინფორმაცია, ასევე არსებობის შემთხვევაში მატერიალური წახალისების შესახებ ინფორმაცია. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 31 დეკემბრისა სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. **სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტის მასალა** (თუმცა ბიუჯეტის ფორმა არ არის ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ).

სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული **შესყიდვების გეგმა,** რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი წლის 20 ნოემბრამდე. ასევე შემუშავებული აქვს შესყიდვების განხორციელების წესი, განსაზღვრული ჰყავს შესყიდვების კორდინატორი ბუღლტრის სახით, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებათან დაკავშირებული მოთხოვნების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება. ასევე, განსაზღვრულია გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირიც, ვინც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებასა და გეგმის კორექტირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულება - დირექტორის ბრძანებით #1/კ-123 18.11.2022წ. დამტკიცებული შესყიდვების განხორციელების წესი და წლიური ფორმა. შესყიდვების წესში აღწერილია შესყიდვების გეგმის შემუშავების ეტაპები, სკოლის საჭიროებებისა და მოცულობების განსაზღვრის მექანიზმები, შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევის პროცედურები, შესყიდვების გეგმის კორექტირების წესი და სხვა.
ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი შეუფერხებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შენობაში შემოსახლებული სხვა სკოლის გამო კომუნალური გადასახადების გადახდა ხდება წილობრივი პრინციპით. სკოლის დირექტორის განმარტებით, თბილისის #11 სკოლასა და #159 სკოლებს შორის გაფორმებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადების განაწილება. **სკოლამ წარმოადგინა ორივე სკოლის კომუნალური გადასახადების დოკუმენტაცია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა. კერძოდ სკოლას აქვს **დამტკიცებული ბიუჯეტი,** რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში ბიუჯეტის ზრდისა თუ შემცირების შემთხვევაში ხდება სათანადო ცვლილებების შეტანა სკოლის დირექტორის შემუშავებითა და წარდგინებით. სკოლის ბიუჯეტში ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

ამასთანავე, სკოლას აქვს შემუშავებული **სახელმწიფო შესყიდვების გეგმა.** აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრნულ ბაზაში EPLAN-ის ბაზაში ასახვა.

ამასთანავე, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება **ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია.** სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის ბრძანება #1/კ-131 6.12.2021წ. სკოლაში ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება,
2. სკოლის შესყიდვების განხორციელების შიდა წესი.
3. ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაციის ბრძანებები,
4. 2023 წლის ბიუჯეტი
5. კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები
6. ბუფეტის იჯარის ხელშეკრულება.
7. სააქტო დარბაზის იჯარის ხელშეკრულება.
8. აუდიტის დასკვნა ბუფეტის ფართის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. სამინისტროების თანხმობები.
10. აუქციონის მასალა.
11. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის 159 საჯარო სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა ვალდებულებები, მათი წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად მოსწავლე უფლებამოსილია ისარგებლის საბიბლიოთეკო რესურსით, ასევე მკითხველს უფლება აქვს:

- მიიღოს სრული ინფორმაცია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, ინფორმაციის წყაროს მოძიების, არჩევის და შერჩევის წესების შესახებ. მიიღოს კონსულტაციები და დახმარება ამ საკითხებთან დაკავშირებით;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიდან გაიტანოს ნებისმიერი დოკუმენტი ერთი ან ორი კვირის ვადით;
- უფასოდ ისარგებლოს ბიბლიოთეკის მომსახურებით;
- მიიღოს მონაწილეობა ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.
- გაასაჩივროს სკოლის ადმინისტრაციაში ბიბლიოთეკარის უკანონო ქმედებები, რომლებიც მკითხველთა უფლებებს არღვევს.

შემუშავებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლის თანახმად, თვითმმართველობა დასახული მიზნების მისაღწევად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას იღებს სამეურვეო საბჭოს მუშაობაში;
- შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოს წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშრებით;
- თანამშრომლობს დირექციასთან და სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ათანხმებს მასთან;
- იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის დირექციასთან;
- ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას;
- მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- შუამდგომლობას აყენებს სკოლის დირექტორთან გამორჩეული მოსწავლეების წახალისების საკითხთან დაკავშირებით;
- გეგმავს გამოფენებს სკოლის ტერიტორიაზე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით;
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესთან დაკავშირებით;
- დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
- სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქ-ოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;
- წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს და ირჩევს მათ ხელმძღვანელებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას იღებს დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში.

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედი რეგულაციებით უზრუნველყოფილია ისეთი გარემო, სადაც **მოსწავლეთა უსაფრთხოება პირველი რიგის ამოცანაა.** სკოლის შემოსასვლელიდან მკაცრად კონტროლდება უცხო პირების და მშობლების გადაადგილება, სკოლის შენობასა და ეზოში რეგულარულად გადაადგილდებიან მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, შესვენების პერიოდში კლასის დამრიგებლები უშუალო მეთვალყურეობას უწევენ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს, სკოლის ექიმი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლეების პირველად სამედიცინო დახმარებას, სასკოლო ექსკურსიებზე გასვლისას ჯგუფი უზრუნველყოფილია პირით, ვინც გადამზადებულია პირველადი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს საგნობრივი კურიკულუმებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები; **საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის ადამიანური რესურსის გათვალისწინებით შეთავაზებული არჩევითი საგნებიდან გააკეთონ არჩევანი.** 2022-2023 სასწავლო წელს მე-10 კლასში არჩევითი საგნებიდან არჩევანი გაკეთდა მესამე უცხოურ ენებზე ფრანგულსა და გერმანულზე, ხოლო მე-5 კლასში მეორე უცხოურ ენაებზე-რუსულსა და გერმანულზე; სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით, სკოლაში ტარდება მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნები, რომლის წევრებიც აქტიურად არის ჩართული არაფორმალური განათლების აქტივობებში. - **სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი უმაღლეს სასწავლებელთან,** რომლის ფარგლებშიც, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა პროფესიაში შესვლისას სწორი არჩევანის გასაკეთებლად ისარგებლონ უნივერსიტეტების სასწავლებლების საინტერესო შეთავაზებებით. განათლემის ხალმისაწდვდომობის და სკოლაში მოსწავლეთა უფლებების კანონიერი დაცვის მიზნით, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, აგრეთვე გათვალისწინებულია მშობლის ინტერესი. ამ მიზნით, სკოლის დირექტორის სამართლებრივი აქტით, 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ ჯგუფი. ისგ ჯგუფი აერთიანებს საგნის მასწავლებელს, მშობელს, დამრიგებელს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, ასისტენტს და საჭიროების შემთხვევაში, დირექციის წარმომადგენელს. ფორმალურ და არაფორმალურ სასკოლო აქტივობებზე შექმნილი ისეთი ფოტო და ვიდეო მასალის გავრცელება/გაზიარება, სადაც მოსწავლის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი, ხდება მშობელთან/მეურვესთან სიტყვიერი ან წერილობით შეთანხმების საფუძველზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის ეზო სუფთა, მოწესრიგებული და უსაფრთხოა; შენობაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. ***ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.***

2. **მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი შინაგანაწესი გამოკრულია** სკოლის თვალსაჩინო ადგილზე. ამასთანავე, კანონით გათალისწინებული უფლებების დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, შინაგანაწესს ასევე იცნობს სკოლის ყველა თანამშრომელი და მშობელი. მისი გაცნობა ხდება მშობლებისათვის დამრიგებლის მიერ გაცნობის აქტის მეშვეობით.

სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომლის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტაუციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა;
- სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების და სკოლის შენობის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. ***ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი,** სკოლის საქმიანობა, სკოლის ვალდებულებები, სკოლის უფლებამოსილება, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, მოსწავლის უფლებამოსილებები, მოსსწავლეთა ვალდებულებები, მოსწავლის პერსონალური გამოყენების წესი, სასწავლო დრო დასვენების დრო, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა.

„მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ“ სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ***ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფლებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

2. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

3. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ინივიდუალური სასწავლო გეგმა;

4. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;

5. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი დის.კომიტეტში წარდგენის შესახებ (17.10.2022);

6. თვითმმართველობის ოქმი, დისციპლინურ კომიტეტში წარმომადგენლის წარდგენის შესახებ (10.10.2022);

7. დისციპლინური კომიტეტის ოქმი 18.10.2022;

8. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;

9. მშობლის განცხადება პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;

10. ხელშეკრულება მშობელთან მოსწავლისათვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ;

11. გახანგრძლივებული წრის შექმნის შესახებ ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12. ხელშეკრულება გახანგრძლივებული წრის მასწავლებელთან;
13. სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
14. დამრიგებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით 2022-2023;
15. ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
16. სკოლის პერსონალთან ინტერვიუ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურა ახორციელებდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს მოსწავლეთა განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება მოსწავლეთა მობილობა. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრისN04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და მოსწავლეთათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ხდება მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ (თუ როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოხდება საფეხურის დაძლევა) ინფორმაციის მიწოდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. მოსწავლის მიერ ზედიზედ სასწავლო დღეების გაცდენის შემთხვევაში, დამრიგებელი ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, ამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზებთან დაკავშირებით. 20 სასწავლო დღის შემდეგ კი სკოლა მიმართავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკს. ხოლო ზედიზედ 45 სასწავლო დღის შემდეგ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უჩერებს სტატუსს. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე მოსწავლის მშობელის/კანონიერი წარმომადგენელისათვის ინფორმაციის მიწოდებას გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში და ინფორმაციის მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა მოსწავლის პირად საქმეში არსებული მასალა და სკოლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რითაც დგინდება, რომ სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის სათანადო წესი, შემუშავებული სკოლის მიერ. სასურველია სკოლამ შეიმუშავოს რეგულაცია, რითაც განისაზღვრება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დროს ხელმძღვანელობს მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული აღნიშნული პროცედურის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტი. სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, მოსწავლის პირადი საქმე, ბრძანებების საქაღალდე. შესწავლილ იქნა მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის რამდენიმე მაგალითი, რითაც დგინდება, რომ სკოლა იცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა არ აქვს შემუშავებული აღნიშნული საკითხების მარეგულირებელი შიდა სასკოლო მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ნიმუშის სახით წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის ამსახველი ცალკეული სამართლებრივი აქტები, რომელიც ცალკეული მოსწავლის შემთხვევაში იქნა გამოყენებული. მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს რეგულაცია, რითაც განისაზღვრება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი წესი/მექანიზმები. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.***

3. ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/ გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურებას წრეების სახით.

კერძოდ, **სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს გახანგრძლივებულ წრეს, კალათბურთის წრეს, ხალხური სიმღერისა და საკრავების წრეს, ქორეოგრაფიულ წრეს;** სკოლამ ასევე წარმოადგინა წრეების შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტები. დირექტორის სამართლებრივი აქტებით დადგენილია დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულებები. სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა ასევე განმარტა, რომ მოსწავლის მშობელსა და სკოლას შორის ფორმდებოდა ხელშეკრულება, რითაც განისაზღვრება მოსწავლისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პირობები. ასევე, წარმოდგენილ იქნა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში და მშობლის განცხადების ნიმუში მოსწავლის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების წრეში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. აღნიშნული დამატებითი მომსახურებების შესახებ მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებელი სასკოლო კრებებზე. ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ეცნობათ სასწავლო წლის დაწყებისას. ამასთანავე, დამატებითი მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ***ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.***

4. სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის პერსონალი პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს იცავს საქართველოს კანონმდებლობას. მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა აქტიურად ეცნობა და ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ასევე დათვალიერებულ იქნა სოციალური ქსელი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სერვისების, აქტივობების, ღონისძიებების, რესურსების და ა.შ., აღნიშნულის თანახმადაც დგინდება, რომ ინფორმაციას არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ***ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის 159-ე საჯარო სკოლის სასკოლო-სასწავლო-გეგმა-2022-2023 სასწავლო წელი;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
4. მშობლის განცხადება პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ;
5. მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;
6. მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
7. მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება;
8. გახანგრძლივებული წრის შექმნის შესახებ ბრძანება;
9. ხელშეკრულება წრის შექმნის შესახებ მასწავლებელთან;
10. გახანგრძლივებლი წრის ხელშეკრულება მშობელთან;
11. კალათბურთის წრის შექმნის შესახებ ბრძანება;
12. ხალხური წრის შექმნის შესახებ ბრძანება;
13. ხალხური წრის შექმნის შესახებ ბრძანება;
14. კალათბურთის წრეში ჩარიცხვაზე მშობლის განცხადება;
15. სადამრიგებლო პროგრამები;
16. მშობელთა კრების ოქმი-2022-2023;
17. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
19. ელექტრონული ჟურნალის გვერდის ანაბეჭდი;
სკოლის პერსონალთან ინტერვიუ.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ პედაგოგებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა არაფორმალური აქტივობებით ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეთ სასკოლო გარემოში ადაპტაციას. კერძოდ, ხდება ექსკურსიების, გასვლითი ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, ხდება მოსწავლეთა წაყვანა თეატრში და ა. შ. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდ. გეგმის შემუშავება ამასთანავე მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში ხდება კონკურსის გამოცხადების გზით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის აყვანა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორიცაა: ასისტენტი ფსიქოლოგი და ა.შ..სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის კლასთან მუშაობის დებულება, რომლითაც განისაზღვრება კლასთან მუშაობის ფორმები, დოკუმენტში აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს მოსწავლეების ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. ვიზიტის პერიოდში ასევე დათვალიერებულ იქნა სკოლის სოციალური ქსელი, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია, აქტივობები არის მრავალფეროვანი.

სკოლის პერსონალთან გასაუბრების, სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. **დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.1.1 ინდიკატორი.**

2. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტოვობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მათ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად საკლუბო აქტივობებისა დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. ამასთანავე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსითაც. კერძოდ სხვადასხვა ღონისძიებისთვის ხდება საჭირო ატრიბუტიკისთვის გამოიყოფა.

ექსპერტთა მიერ ასევე შესწავლილ იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის დამრიგებლის მუშაობის დებულება, დამრიგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სკოლის სოციალური ქსელი.

სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრების, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენიდან ზრუნავს, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, ***დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.1.2 ინდიკატორი.***

3. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ, მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები უზრუნველყოფენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფური ან და ინდივიდუალური გაკვეთილების ჩატარებას. ასევე ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, აღნიშნული უზრუნველყოფილია საშემოდგომო ან/და წლიური გამოცდების შემთხვევაში. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ასევე დგინდება, რომ მოსწავლის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ანალიზის შემუშავებაში და აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ინფორმაციის მიწოდებაში ჩარულია კლასის დამრიგებელი, ***დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.1.3 ინდიკატორი.***

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. კერძოდ, ხდება ინფორმაციის მიწოდება უწევთ თუ არა სემესტრული გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ჩაბარება., ასევე რა ვადაში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება, მიეწოდებათ ინფორმაცია მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ. ასევე, სკოლა დროულად აცნობებს მოსწავლეებს გაცდენის შედეგების შესახებ. აწვდის ინფორმაციას რომ შეუძლიათ სასკოლო ცხოვრებაში მიიღონ მონაწილეობა და ჩაერთონ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში. სკოლის თანამშრომლები, მუდმივად მზად არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებს ცოდნის გაღმავებაში და შედეგების გაუმჯობესებაში, სწორედ ამ მიზნით უწევენ მოსწავლეებს კონსულტაციებს სწავლასთან დაკავშირებით.

სკოლის საზოგადოებასთან გასაუბრების, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირები. ***დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.1.4. ინდიკატორი.***

5. სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები და ა.შ. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილლი პროცედურების დაცვით. მაგალითად სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. ***დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.1.5 ინდიკატორი.***

6. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სკოლა გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, რათა მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სკოლის პროგრამების, წრეებისა თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, რათა შეაფასონ წარმოდგენილი უკუკავშირის შესაბამისობა და გაზიარების შემთხვევაში დასახონ მისი გაუმჯობესების გზები და გაითვალისწინონ შემდგომ სასწავლო პროცესში.აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ასევე დასტურდება, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით. ***დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.1.5. ინდიკატორი.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის რესურს-ოთახის ამსახველი ფოტომასალა;

2. სკოლასა და უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები;

3. 2022 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საქველმოწმედო ღონისძიება; რეპორტაჟი;

4. უკრაინელი ბავშვების მხარდამჭერი აქცია; რეპორტაჟი;

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება

6. სადამრიგებლო პროგრამები;

7. მშობელთა კრების ოქმი-2022-2023;

8. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;

9. არაფორმალური ღონისძიების ფოტომასალა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. მშობელთა კრების ოქმის 19.9. 2022 წელი;

11. მშობელთა კრების ოქმის 10.10.2022 წელი

12. სამუშაო-განრიგი-რესურს-ოთახი-ინიციალებით

13. არაფორმალური აქტივობების ფოტომასალა;

14. დამრიგებლის-თანამდებობრივი-ინსტრუქცია;

15. დამრიგებლის მუშაობის დებულება;

16. ეკო კლუბი ,,კომორები'';

17. კლუბის-წესდება-განაცხადის-ფორმა,სამოქალაქო განათლება;

18. კლუბი ნეკერჩხალი;

19. ქიმიის-კლუბის-კონცეფცია.

სკოლის სოციალური ქსელი/facebook გვერდი;

სკოლის პერსონალთან ინტერვიუ.

1.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციულმა პერონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას. მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. აწყობს მათთან ერთად გასვლით ღონისძიებებს, სადაც უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ ხდება ინფორმაციის მოსწავლეებისათვის მიწოდება. იწვევს სხვადასვა პროფესიის ადამიანებს საჯარო ლექციის/სემინარის ჩატარების მიზნით.

ამასთანავე, დამრიგებლები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში უზრუნველყოფენ მოსწავლეთათვის მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

სკოლის სოციალური ქსელის, ფოტომასალის დათვალიერებისა და სკოლის ადმინისრაციასთან გასაუბრების თანახმად, დგინდება, რომ სკოლ ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროცესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას. ***დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.2.1 ინდიკატორი.***

მიზანშეწონილია სკოლამ გააფორმოს სხვადასხვა დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ უფრო მრავალფეროვანი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერა. მემორანდუმით/ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა.

2. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯებისა თუ უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომლის ერთ - ერთ მუშაობის ფორმატს წარმოადგენს ცნობილ ადამიანებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან სხვადასვა შეხვედრების მოწყობა; სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.2.2 ინდიკატორი.

3. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა გასაუბრებისას, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის დროს უზრუნველყოფს სკოლაში განხორციელებული პროცესებიდან ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისი ანალიზის საფუძელზე შეიმუშავებს მისი დაძლევის სტრატეგიებს აღნიშნულის გამოკვეთაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კათედრების ანგარიშები. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.2.3 ინდიკატორი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;

2. დამრიგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია;

3. სკოლასა და უსდ - შორის გაფორმებული მემორანდუმი;

4. კათედრის სხდომის ოქმი 2; 15.6.2022 წელი.

5. სკოლის სოციალური ქსელი/facebook გვერდი;

6. სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუ.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის პერიოდში სკოლის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვა, განვითარება, მონიტორინგი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №16/ნ-სა და ეროვნული სასწავლო გეგმის VIII თავს. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები; ზოგადი განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებით საფეხურზე, სწავლის დაწყებამდე, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება ხდება მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლის მხრიდან მულტიგუნდისათვის ინფორმაციის მიწოდების გზით; სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მშობლის/მეურვისა და მასწავლებლის/მასწავლებლების მომართვის საფუძველზე, სპეციალური მასწავლებლები ახდენენ პოტენციური სსსმ მოსწავლის შეფასებას, გაიწერება პირველადი მართვის გეგმა 1 თვის ვადით და იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ინტერვენცია არ იძლევა მოსწავლის სასწავლო შედეგების დამაკმაყოფილებლად ზრდის საშუალებას, სკოლა, მშობლის თანხმობით, მიმართავს მულტიგუნდს მოსწავლისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრის მიზნით სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა, თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება შესაბამისი ქულით სკოლას არ აქვს შინ სწავლების გამოცდილება, ამჟამადაც არც ერთი მოსწავლე არ სარგებლობს ამ სერვისით, თუმცა სკოლას აქვს მექანიზმი და იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების განრიგს, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. გარდა იმისა, რომ სსსმ მოსწავლის მშობელი ესწრება ისგ ჯგუფის შეხვედრებს, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 2ჯერ (2ზე მეტი საჭიროებისამებრ) ხდება მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ. ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს სპეციალური მასწავლებელი ან/და დამრიგებელი, ასევე საგნის მასწავლებელი საჭიროებისამებრ. ინფორმაციის მიწოდება ხდება როგორც სკოლის ფიზიკურ გარემოში, ასევე ონლაინ პლატფორმებსა ან/და სატელეფონო კავშირზე დაყრდნობით. სკოლა განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება მოსწავლეების, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას. ნებისმიერი სსსმ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია დაცულია და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული მოსწავლის ისგ ჯგუფში შემავალ წევრებს, მშობელს მასწავლებელს/მასწავლებელებს და სასწავლო პროცესში ჩართულ ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტებს (ფსიქოლოგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეტყველების თერაპევტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მათი არსებობის შემთხვევაში.) პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, როდესაც ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება, ან განხილვა მოსწავლეების მოხსენიება ხდება მათი ინიციალების მიხედვით.სკოლაში ყოველწლიურად ხორციელდება შიდა მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფს ადგენს სკოლის დირექტორი და შედგება სკოლის თანამშრომლებისგან, რომლებსაც არ აქვთ სსსმ მოსწავლეებთან შემხებლობა. 4 წევრისგან შემდგარი შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხდება: ისგ ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების შეფასება, სკოლის ინკლუზიური განათლების კულტურის შეფასება, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში; სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში; ადმინისტრაციის ჩართულობის შეფასება; ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და სკოლის შინაგანაწესით დადეგნილი მოთხოვნების შესრულების შეფასება; სკოლის ფიზიკური გარემოს შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ; რესურსოთახში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსების შეფასება; სსსმ მოსწავლეების სწავლებისათვის სკოლის ბიუჯეტიდან განხორციელებული ხარჯების/აქტივობების აღწერა და შეფასება. დოკუმენტი ასევე შეიცავს შიდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებს. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.3.1 ინდიკატორი.

2. სპეციალური მასწავლებლებლები და საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სპეციალური მასწავლებელი ეხმარება საგნის მასწავლებლს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას ნებისმიერი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებთან ერთად ასევე ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში: ინტენსიურად თანამშრომლობენ რესურსების შერჩევისა და მომზადების 59 მიზნით, განიხილავენ მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას და ერთობლივად გეგმავენ შემდგომ სამუშაო სტრატეგიებს. სპეციალური მასწავლებელი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ესწრება საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. გაკვეთილზე დასწრების მიზანი შესაძლებელია იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი, მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის შეფასება, ქცევაზე დაკვირვება. გაკვეთილზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკვირვების შედაგად მიღებული ინფორმაციის განხილვა ხდება კონკრეტული საგნის მასწავლებელთან. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელს აძლევს შესაბამის როგორც წერილობით, ასევე ვერბალურ რეკომენდაციებს. სპეციალური მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ადგენს ინტერვენციის გეგმას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს საგნობრივი მიზნების მიღწევაში. ინტერვენციის გეგმის შესაბამისად სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან რესურს ოთახში. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მათი შესრულების შესაძლებლობა როგორც კლასში, ასევე სახლში მშობლის/მეურვის მხარდაჭერით. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების ორგანიზებით ტარდება შეხვედრები ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. სსსმ მოსწავლეები ჩართული არიან სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში. ეფექტური ჩართულობის ხელშესაწყობად აქტიურად თანამშრომლობენ საგნისა და სპეციალური მასწავლებელებლები, რათა მოახდინონ პროექტის ფარგლებში განსახორციელებლი აქტივობების მოდიფიცირება კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებთან შესაბამისობაში. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან (საბავშვო ბაღიდან) სკოლაში ტრანზიციის გამოცდილება. მოსწავლის სკოლაში ეფექტური და მარტივი ადაპტირებისათვის ხდება მშობლის ინტერვიუირება მოსწავლის ძლიერი მხარეებსა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით. იგეგმება და მოსწავლე წინასწარ ეცნობა სკოლის გარემოს, დამრიგებელს, სპეციალურ მასწავლებელსა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს (საჭიროებისამებრ: ასისტენტი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი). საჭიროებიდან გამომდინარე, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები თანამშრომლობენ როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან, ასევე ყველა იმ ორგანიზაციის სპეციალისტთან, სადაც მოსწავლე იღებს თერაპიულ მომსახურებას) საბაზო საფეხურზე მყოფ სსსმ მოსწავლეებს და მათ მშობლებს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ. ინფორმაციას ღებულობს დამრიგებელისაგან, სპეციალური მასწავლებელისა და ასევე სკოლაში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. სურვილის შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებლების მიერ ხდება პროფესიული ორიენტაციის საკვლევი კითხვარის შევსება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლის სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიცის მექანიზმი, ტრანზიცია არ განხორციელებულა. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.3.2 ინდიკატორი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
2. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა;
3. ისგ შექმნის ბრძანება.
4. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი 1;
5. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი 2.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სთავაზობს დამატებით მომსახურებას. სკოლამ წარმოადგინა კვების ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება და აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის განმსაზღვრების დოკუმენტები. სკოლაში არის გახანგრძლივებული წრე, ხალხური საკრავებისა და სიმღერის წრე, ხალხური ცეკვების წრე, კალათბურთის წრე. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისათვის დამატებითი/არასავალდებულო მომსახურების ხელმისაწვდომობას. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.4.1 ინდიკატორი.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მისი მიღება შესაძლებელია ნებაყოფლობით მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საფუძველზე. მომსახურების გაწევამდე სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი პროცედურების განხორციელებას. მომსახურების ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, ასევე განსაზღვრულია მომსახურების საფასური. განცხადების საფუძველზე ხდება მოსწავლის ჩარიცხვა დამატებითი მომსახურების მისაღებად და მოსწავლის მშობელ/კანონიერ წარმონმადგენელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება დამატებითი მომსახურების გაწევის შესახებ. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არის გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღვრულია მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლება/მოვალეობები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.4.2 ინდიკატორი.

3. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწალისა და სკოლის ტერიტორიის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იცავს უსაფრთხოების ზოგადად არსებულ ნორმებს და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. დაკმაყოფილებულია მე-4 სტანდარტის 4.2.4.3. ინდიკატორი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. „2022-2023 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის 159 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ხალხური სიმღერისა და საკრავების წრის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის 1/კ-94 ბრძანება;
6. „2022-2023 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის 159 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით გახანგრძლივებული წრის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის 1/კ-95 ბრძანება;
7. 2022-2023 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის 159 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ხალხური ცეკვის წრის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის 1/კ-96 ბრძანება;
8. 2022-2023 სასწავლო წელს სსიპ - ქალაქ თბილისის 159 საჯარო სკოლაში მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით კალათბურთის წრის შექმნის შესახებ“ სკოლის დირექტორის 2022 წლის 7 ოქტომბრის 1/კ-109 ბრძანება;
9. მოსწავლის კალათბურთის წრეში მიღებასთან დაკავშირებით მშობლის განცხადება (6.10.2022 წელი;
10. გახანგრძლივებული წლის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება (15.9.2022 წელი);
11. „გახანგრძლივებული წრის მომსახურების შესახებ“ მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება (27.9.2022 წელი).
სკოლის სოციალური ქსელი/facebook გვერდი;
სკოლის პერსონალთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2 დაწყებითი საფეხური **სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი საფეხური)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლის მიერ მოწოდებულია ჩანაწერების ფაილი სახელწოდებით ,,რესურსი 12’, (სამდღიანი ქოუჩინგის მუშაობის ანგარიში), რომელშიც ასახულია ინფორმაცია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე მოხდა კოლეგების მიერ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარება და თანმშრომლობა, გარკვეულ საკითხებზე შეჯერება და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით არის ასევე ჩანაწერი. მაგ: რომ მომავალ სასწ. წელს აპირებენ მეტი კომპლექსური დავალების განხორციელებას, შეფასების სისტემის ცვლილებას, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, სადიაგნოსტიკო წერების შემოღებას და დანერგვას მომავალი სასწავლო წლიდან.

2.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; სასკოლო სასწავლო გეგმა მეთოდოლოგია ეყრდნობა ე.ს.გ.-ს მოთხოვნებს თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს ეროვნული კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გათვალისწინებული აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, სსმ მოსწავლეების შესაძლებლობები და ინტერესები,დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება სოციალური ქსელის, ინდივიდუალური შეხვედრებით და მშობელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრებების გზით. მშობელი ყოველთვისაა სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებული, კომპლექსური დავალების შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეების მოსაზრებებს. **ინდიკატორი 2.1.1. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრამ წარმოადინა კათედრის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაძლებელია მივიჩნიოთ როგორც მეთოდოლოგია, რადგან იგი იძლევა საშუალებას დავინახოთ კათედრა კურიკულუმის შემუშავების პროცესში რას და როგორ აკეთებს, როგორ აკონტროლებს და აფასებს, რომ მიზანი მიღწეულია. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე) ინტერესების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პასუხობს, გამოწვევებს, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების მოთხოვნებს უკავშირდება. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობა. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -წარმოდგენლ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ, უმარტავენ შეფასების რუბრიკებს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - სკოლას სასკოლო დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. არც კათედრის დონეზე მომხდარა მსგავსი ტიპის დოკუმენტის შემუშავება. ამ სახის ინფორმაცია ირიბად იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტ-ნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა -კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს, მაგრამ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმიდან, კათედრის მშობელთა კრების ოქმებიდან გამოჩნდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვა-ლისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, პედაგოგები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, სამომავლოდ კი გეგმავენ შექმნან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მასში მკაფიოდ გაწერონ მონაწილეთა როლი და ჩართულობის ხარისხი. **სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონია შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ამიტომ კურიკულუმის შემუშავების არსებული პრაქტიკა არასაკმარისია იმის დადგენა, რამდენად არის კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა.**

ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

სპორტი - კონკრეტულად გაწერილი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა ინტერვიუს დროს, აღმოჩნდა, რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომმავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). კურიკულუმში ასახული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმების ჩარჩო, რომელიც სწორად არის გააზრებული ,მხოლოდ მე-5-6 კლასებში. ხოლო პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოს ნაცვლად წარმოდგენილია მხოლოდ მატრიცა, მე-2,3,4 კლასების კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს ყურადღების გამახვილებას სწორად შევსებასთან მიმართებაში, როგორც ჩანს ბუნებისმეტყველების პედაგოგები საჭიროებენ დამატებით კონსულტაციებს, რათა გაიაზრონ სამიზნე ცნებები, კონტექსტ-მაგალითები, იდეები კომპლექსური დავალებებისთვის და ა.შ. შედეგების ანალიზის დოკუმენტი (რესურსი 12), რომელშიც ჩანს, რომ მოხდა კათედრის წევრების შეკრება და შესაბამისად ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტში გაწერილია, რომ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას მოახდენენ კათედრაზე ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე , რაც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმების შემუშავების პროცესში. საგნის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენაში. მაგ: კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე აკეთებენ სიტყვიერ გამოკითხვას: რა მოეწონათ, რას გაუმჯობესებდნენ და რამდენად იყო მათთვის ამ დავალებაზე მუშაობა საინტერესო. თუმცა შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, მხოლოდ სიტყვიერად არის აღნიშნული, რომ მომავალი სასწავლო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ასევე მოწოდებულ დოკუმენტაციაში არის მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, რის შესახებაც კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს, გაკვეთილზე დასწრებისას ერთმანეთს კოლეგები აძლევენ უკუკავშირს, მასწ. აკეთებს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. დაწყებითების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერიოდულად (კვირის ერთ-ერთ დღეს) ხვდებიან მშობლებს და იღებენ მათგან უკუკავშირს მიცემულ დავალებებთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულიმში (ჩვენი საქართველო და მე და საზოგადოება) ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.კურიკულუმზე მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნა თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. მშობლების ინტერესების გათვასალისწინებლად სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი ინსტრუმენტი-მშობლები ავსებენ კითხვარებს. კითხვარების საფუძველზე ხდება მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. სკოლას აქვს დამატებითი მომსახურება სხვადსხვა წრეები, დამატებით უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა,მაგ. გახანგრძლივებულის წრე, ცეკვისა და ხალხური სიმღერების წრე. დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით მასწავლებლები იყენებენ იდეების ყუთს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ სკოლაში განხორციელდა პროექტი გარემოს დაცვის შესახებ,რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, სადამრიგებლო პროგრამაში ჩაშენებულია პროექტით დაგეგმილი აქტივობები

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - წარმოდგენილი კათედრის სამოქმედო გეგმით, რომელშიც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავება, განვითარება, მონიტორინგისა და ვერიფიკაციის გზები, დგინდება, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები მეორე უცხოური ენის არჩევისას და მასწავლებელთა მოსაზრებები. ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და პრიორიტეტები. კერძოდ, წინარე ცოდნა, მოსწავლის/კლასის ინდივიდუალური შესაძლებლობები, რესურსები, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; ***ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა -მასწავლებლებთან ინტერიუშე გაირკვა, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების იდეების და კონტექსტ-მაგალითების შერჩევის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ***ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.***

ტექნოლოგიები -კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი შედგენილია საგნობრივი მიმართულებების, სამიზნე ცნებების მიხედვით, გაწერილია საკითხები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ნაწილობრივ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მასწავლებლები მზაობას გამოთქვამენ მომავალში სრულყოფილად იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებული.

სახელმწიფო ენა - სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან, კათედრის სხდომის ოქმებიდან და სხვა დოკუმენტაციებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. ***ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.***

სპორტი -შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები; ***ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.***

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ კათედრის წევრები. (დოკუმენტი - რესურსი 12); სადაც ჩანს, რომ 2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე პერიოდში იგეგმება შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება სავალდებულო თემების მიხედვით. ამ ეტაპზე არის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის მეტ-ნაკლები გამოცდილება, რაც საჭიროებს უკეთ გაანალიზებას, რადგან სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში პირველ კლასში წარმოდგენილია არა კურიკულუმის ჩარჩო, არამედ მატრიცა, მე-2,3,4 კლასების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული ცხრილის გრაფები არ არის შევსებული ან არასწორადაა შევსებული, იხ. მაგალითად , მე-2 კლასის კურიკულუმის ჩარჩო. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ მოსწავლეთა შედეგების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის კათედრის ანგარიში, რომელშიც არის ჩანაწერი, რომ ყველა კლასში ყველა საგნის პედაგოგმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავა თემატური გეგმები. ასევე აღნიშნულია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობაზე, ასეთი შეხვედრა ემსახურება კურიკულუმის როგორც მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების გზას. ***ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო კურიკულუმი მუშავდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე,შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მასწავლებლები,განიხილავენ თითოეულის მოსაზრებას და ასახავენ სასკოლო კურიკულუმში დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია კათედრის წევრთა მაქსიმალური ჩართულობით. კათედრაზე მსჯელობისა და განხილვის შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა თემის ფარგლებში ჩაეშენებიათ ერთი კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი), ვინაიდან პარალელური კლასების. მასწავლებლებს მიეცეთ საშუალება აირჩიონ მისთვის სასურველი კომპლექსური დავალება. ფუნქციების გადანაწილების მსგავსი მოდელი მათ კომპლექსური დავალებების განხორციელების რეალურ შესაძლებლობას აძლევთ. კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც იქნება წარმატებული და გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საფუძველი გახდება შეტანილი იქნება სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებს. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში აღწერილია ეტაპები რომლებსაც გადის სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შესადგენად.

სახელმწიფო ენა -სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ამდენად, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. თუმცა წარმოდგენილ V-VI კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული შუალედური მიზანები, V- კლასის ერთ-ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარალელის მოქმედმა მასწავლებელმა აღწერა მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით.
ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა - ინტერვიუდან გაირკვა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა მასწავლებელი, კერძოდ, პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად განსაზღვრავდნენ დასამუშავებელი თემების, საკითხების, რესურსების, დავალებების ჩამონათვალს. შემდგომ ეტაპზე, შემუშავებული კურიკულუმის განხილვა მოხდა კათედრაზე. დირექციას მიეწოდა ინფორმაცია სასწავლო წელს განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობის შესახებ. მომავალში კი სკოლა გეგმავს აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტები დასამტკიცებლად წარუდგინოს პედაგოგიურ საბჭოს.
ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

სპორტი -ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ მოწოდებულია კათედრის ანგარიში, რომელშიც ჩანს რომ კოლეგები ერთმანეთს უზუარებენ სასწავლო პროცესის ირგვლივ დადებით და უარყოფით კონტექსტებს. ასევე სკოლას აქვს ე.წ. დოკუმენტი მშობელთა კრების ოქმი 1 - 10.10.2022 დღის წესრიგი: სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო პროგრამების, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების გაცნობა სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან შეხვედრა. ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შემუშავებული კურიკულუმი განიხილება საზოგადოებრივი კათედრის მიერ, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შესახებ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მშობლებთან კომუნიკაციისათვის იყენებენ კითხვარს. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილება. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სასკოლო თემი ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმირება მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით, საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams). **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -წარმოდგენილ კათედრის სამოქმედო გეგმაში არ არის აღწერილი კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის კურიკულუმის ჩარჩოს გაზიარება მოხდება სასწავლო წლის დაწყებისთანავე. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ სასკოლო საჭიროების მიხედვით პროექტების დაგეგმვა, პროექტებში სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა, პროექტის პრეზენტაციის დროს. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები -კათედრებზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა. ასევე დაგეგმილია ინტერენტში კურიკულუმების გამოქვეყნება და გაცნობა სკოლის საზოგადოებისთვის როგორც იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრებიდან.

სახელმწიფო ენა -კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას დაწყებითის კლასებში დადასტურდა აღნიშნული. თუმცა *V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა.* **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -სასკოლო კურიკულუმი საზოგადოებას მიეწოდება მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების საშუალებით და საინფორმაციო დაფაზე, მშობლებთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 3 დღიანი ჰოუჩინგის ანგარიში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, ე.წ. ,,რესურსი 12') დაწყებითი კათედრის წლის ბოლო ანგარიში, მშობელთა კრების ოქმი
- კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- სასწავლო ნაწილის ანალიზი
- დაწყებითი კათედრის ანგარიში
- **უცხოური ენების კათედრის** სამოქმედო გეგმა.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.
- **კომპიუტერული ტექნოლოგიების** საგნობრივი კურიკულუმი.
- ინტერვიუ.
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმი;
- კათედრების სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სპორტი-5-6 კლასის კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი.
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში (კურიკულუმის ჩარჩო ბუნებისმეტყველება I-IV კლ. და ბუნებისმეტყველება V-VI კლ) თემები დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რადგან გათვალისწინებულია მრავალფეროვანი დავალებები კომპლექსური დავალებების სახით (რაც მოსწავლის ცალსახა ჩართულობას მოითხოვს); კურიკულუმში ასახულია შუალედური მიზნები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებებთან კავშირი; რაც შეეხება I-IV კლასების კურიკულუმებს, მასში არ არის გაწერილი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც კავშირში იქნება სამიზნე ცნებებთან, მაგ: კურიკულუმის ჩარჩო 1-ელ კლასში საერთოდ არ არის წარმოდგენილი სკოლის მიერ და მის ნაცვლად არის მატრიცა, რომელშიც არის აქტივობებით და ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი 1 კომპლექსური დავალება. მე-2 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მხოლოდ ერთი თემის ფარგლებშია წარმოდგენილი შევსებული ცხრილის გრაფები, რაც აუცილებლად საჭიროებს გუამჯობესებას. მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კი მოცემულია მხოლოდ თემების ჩამონათვალი და მისის შესაბამისი მთავარი თემა, არ ჩანს რა კავშირია სამზნე ცნებებთან მოცემული I_IV კლასების კურიკულუმები არ აკმაყოფი,ებენ მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შემუშავებულ კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზა(მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა,რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოიყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა ,მასწავლებლების მიერ შერჩეული პროდუქტებით- პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით ან სხვადასხვა სტატიებით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება,შემოქედებითი ,კრიტიკული აზროვნების უნარები
ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები -სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად, მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. თუმცა, არ ხდება სავალდებულო სამივე თემატური ბლოკის დაფარვა მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მე-4 კლასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თემატური ბლოკი. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა**

ტექნოლოგიები -წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში ასახულია კლასების მიხედვით შესაბამისი სამიზნე ცნებები, მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, მათი ნიმუშები, მოცემულია ნიმუშების ბმულები, კომპლექსური დავალებები ფარავს ყველა სამიზნე ცნებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -დაწყებითი საფეხურის *I -IV* კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. *V-VI კლასებში შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა.* ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ დაწყებით საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითა-რების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

სპორტი -სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასის წაროდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ესგ გრძელვადიან მიზნებს. (იხ. კურიკულუმების ჩარჩო) მაგ: მე-5 კლასში ბუნებისმეტყველების საგნის კურიკულუმში ჩადებულია კომპლექსური დავალება - წითელი წიგნის შექმნა. თემა -ეკოსისტემები დამუშავებულია სამიზნე ცნება: საკითხი - ეკოფაქტორები; კონტექსტ მაგალითი - ვაშლოვანის ეროვნული პარკი. ასეთი ტიპის დავალება მიმართულია შედეგზე და შესაბამისად მოსწავლე შეძლებს ორგანიზმთა ჯგუფების სასიცოცხლო თვისებებისა და საბინადრო / საარსებო გარემოს აღწერას ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროს შორის კავშირების დასადგენად. (ბუნ. დაწყ. (II).3). აღსანიშანავია, რომ ასეთი მიმართება არ ჩანს დაწყებითების სხვა კლასების კურიკულუმებში. მაგ: მე-2 და მე-3 კლასების კლასების კურიკულუმების ჩარჩოში არ ჩანს თუ რამდენად მიემართება ესგ გრძელვადიან მიზანს.
ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია;

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (ჩვენი საქართველო და მე და საზოგადოება) მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. შერჩეულია შუალედური მიზნები, ცნებათა იერარქიის დაცვით ,რაც ხელშემწყობია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად,მასწავლებლთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სავარაუდო აქტივობები , რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში განვითარდეს XXI საუკუნის ისეთი უნარები , როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. მასწავლებლები ითვალისწინებენ და ადგენენ, მოსწავლის განვითარების უახლოეს ზონას და შესაბამისად გეგმავენ აქტივობებს , რათა ბავშვი აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და ურთიერთდაკავშირებულად გამოიყენოს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარები. **ინდიკატორი 2. 1.2 2 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს)თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ყველა თემაზე ინტეგრირებულია კომპლექსური ტიპის დავალებები. კერძოდ: ინგლისური ენა I-VI კლასები, რუსული ენა V-VI კლასები, გერმანული ენა V-VI კლასი, ფრანგული ენა V-VI კლასები. რაც გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2. 1.2 2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) შესაბამისობაშია სტანდართთან.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ფუნქციური უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ უნარების გამომუშავებას. კომპლექსური დავალება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფუნქციური უნარების აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღწერა სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.). მიუხედავად ზემოთ ღნიშნული ხარვეზებისა შესაძლებელია დავასკვნათ რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები - საგნის კურიკულუმში გათვალისწინებულია როგორც უშუალოდ საგნობრივი სამიზნე ცნებები, ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს, საკითხები და ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

სახელმწიფო ენა -დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, *I -IV* კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს.
ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრზელვადიან მიზნებზე და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. **ინდიკატორი 2.1.2 2 დაკმაყოფილებულია**

სპორტი -წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი, რომლებიც პედაგოგებთან ერთად მუშაობენ სსსმ მოსწავლეების საჭიროებების განსაზღვრაზე. სკოლის მიერ მოწოდებული იყო მოსწავლის ინდ. გეგმა ბუნებისმეტყველებაში პირველი კლასის მოსწავლისთვის, ასევე მოწოდებულია ისგ ჯგუფის ოქმი N1 (21.09. 2022 წ), რომელშიც დღის წესრიგის მიხედვით 1-ლი კლასის მოსწავლისთვის ქართული, მათემატიკის და ბუნების საგნებში შემშავდეს ისგ გეგმები. დაწყებითი კლასების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ ჯგუფური სამუშაოების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ჯგუფების დაკომპლექტებისას ახდენენ დიფერენცირებას, ასევე კონკრეტული მოსწავლეებისთვის მიუცია დიფერენცირებული დავალებები. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობების შესახებ მატერიალური სახით არ არის მოწოდებული შესაბამისი მტკიცებულება;
ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი კათედრის კურიკულუმები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს (მაგ.კითხვა-პასუხი.დამოუკიდებელი სამუშაო და სხვ.სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა,აგრეთვე სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი,რომლის მიზანიცაა სსსმ მოსწავლეებისათვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა და სწავლა-სწავლების პროცესში მაქსიმალური ჩართულობა.ს სსმ მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლაში მიმდინარე პროექტებში,სასწავლო წლის დასწაყისში სკოლა ადგენს ინდ.გეგმებს,მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ თავიანთ კურიკულუმებში მოდიფიცირებას გაუკეთებენ კომპლექსურ დავალებებს,თანამშრომლობენ სპეცმასწავლებლებთან ,ერთობლივად არჩევენ რესურსებს სსსმ მოსწავლეებისათვის და ადგენენ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს.
ინდიკატორი2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები -2022-2023 საწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციფიკა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების რეგულაციები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ამ მიმართულებით პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები. სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება ხორციელდებოდეს არა მარტო სსსმ, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეებთან მიმართებითაც. **ინდიკატორი2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას სრულყოფილად არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები და სხვა), თუმცა, წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკუმებში განსაზრვულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტრიები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვან მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა) მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და მოყოლილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას. **დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიები -კურიკულუმში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში მეტ- ნაკლებად ასახულია და ჩაშლილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში. მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში იყენებენ სარემედიაციო პროგრამას.
ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

სპორტი -სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქალაქ თბილისის N 159 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მე-5 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ბოლოს წარმოდგენილია პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა. სკოლაში დაწყებითების კლასების პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იყენებენ მხოლოდ სიტყვიერ განამვითარებელ კომენტარებს, ასევე სემესტრის ბოლოს თითოეული მოსწავლისთვის იწერება შესაბამისი განმავითარებელი კომენტარი (იხ. მოსწავლის პირადი საქმეები). ცალკე ზოგადი ან კერძო შეფასების რუბრიკა დაწყებითების I-IV კლასებს არ ქონდათ წარმოდგენილი;
2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ კათედრაზე დაწყებით საფეხურზე(მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) ძირითადად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,იძლევა შესაძლებლობას რომ დავინახოთ შეფასება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ,აგრეთვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მზაობა შექმნან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ჩვენ საქართველოში მე-5 კლასის მეორე სემესტრისათვის და მე-6 კლასისათვის

ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გვაჩვენებს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იგი მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის, თუმცა იგი წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლით გათვალისწინებული განმსაზღვრელი შეფასების სწავლების მეორე მოდელისთვის, რაც ითვალისწინებს სემესტრული შეფასებისას მხოლოდ (ერთი თემის ფარგლებში) შემაჯამებელი დავალებების ქულების გათვალისწინებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუსას, უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა განმარტეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეფასების, სწორედ ამ ვარიანტის არჩევას გეგმავენ. უფრო ნათელი სურათისთვის, სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს განმავითარებელი და გამნსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ცალკე, კონკრეტულად დაწყებითი საფეხურისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებების სახით სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზრვრელი და განმავითერებლეი შეფასების ინტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით და მომავალ წელს გეგმავენ თემებთან მიმართებით კონკრეტული რუბრკების შექმნას. წარმოდგენილი დიკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამება.**

ტექნოლოგიები -დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე საგნის შეფასების რუბრიკა, რომელიც ჩაშლილია კომპონენტების მიხედვით, სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, სოლო ტაქსონომიას, აგრეთვე კურიკულუმში გაწერილია შეფასების რუბრიკების შემუშავება, რითიც სკოლა იხელმძღვანელებს შემდგომ პერიოდში, საგნობრივად.

სახელმწიფო ენა -დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, I -IV კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. რაც შეეხება V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ არის მითითებული როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებები რუბრიკები არის ზოგადი. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდაში შეფასების რუბრიკები, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებიდან. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისთვის კათედრის წევრები შეიკრიბნენ, შეიმუშავეს შესაბამისი დოკუმენტი (რესურსი 12) სამდღიანი ქოუჩინგის ანგარიში, რომელშიც არის ასახული ინფორმაცია, თუ რა ეტაპზე არიან ამჯერად (მაგ: კომპლექსური დავალებები უკვე შემუშავების პროცესშია და რას აპირებენ რომ უფრო მეტი დავალება შესთავაზონ მოსწავლეებს, . ასევე ჩვენს ხელთ არის მოწოდებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წლის ბოლო შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც არის ინფორმაცია, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თუ როგორ, რა შედეგები დაიდო მოსწავლეთა მხრიდან. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, გაითვალისწინებენ წლევანდელი სასწავლო წლის გამოცდილებას და დაგეგმავენ შესაბაამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწყებითების კათედრამ წარმოადგინა ანგარიში, თითოეული კლასის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მღწევების შესახებ.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების(მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუების შდეგად გამოიკვთა შემდეგი- წინარე გამოცდილების ანალიზისათვის იყენებენ შემდეგ აქტივობებ- შესასვლელი ბარათები,კარგი სკოლის სადიაგნოსტიკო ტესტები,მასწვლებელთა მიერ შედგენილი კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტესტ-მაგალითები , რაც იძლევა შესაძლებლობას დავინახოთ როგორ ააქტიურებენ წინარე ცოდნას და ქმნიან საფუძველს მოსწავლეებში ახალი ცოდნის მიღებასა და სიღრმისეულ გააზრებაზე. ნათლად გამოჩნდა დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ თავიანთი მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნა კეთედრის წევრების თანამშრომლობითა და ჩართულობით, კურიკულუმის აგება მოახდინეს ისეთი თემების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს. კათედრის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით ასევე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შედგენა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის პოგრამა, ხოლო, საკითხების შერჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმავე კლასის სხვა საგნების თემატიკიდან გამომდინარე, რათა გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭირეობების კვლევის ანალიზში სკოლა გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე წარმოაგდენს ინტერვენციების გზებს, კერძოდ, მასწავლებლებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები სასწავლო პროცესში. უნდა მოხდეს, ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, კომპლექსური დავალებებით მუშაობის გაძლიერება, შედეგების განხილვა დინამიკაში, გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში (მუსკიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) , ცხადყოფს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზანად და მიემართება საგნების სტანდარტს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ , რომ კათედრას **დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები - რადგანაც სკოლა წინა წლებში ქმნიდა ახალი ფორმატით საგნობრივ კურიკულუმებს, მუშაობდა კომპლექსურ დავალებებზე, მათ ახალი სასწავლო წლის პროგრამის შემუშავებაში გამოიყენეს წინა წლების გამოცდილება, რაც ასახულია კომპლექსურ დავალებებსა და მასწავლებელთა რეფლექსიებში.

სახელმწიფო ენა -გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითების კათედრის ანგარიში, ისგ ოქმი, მშობელთა კრების ოქმი, საბუნებისმეტყველო კათედრის წლის ბოლო ოქმი;

- ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების კურიკულუმი
- სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი
- სასწავლო ნაწილის ანგარიში
- დაწყებითი კათედრის ანგარიში
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- 1-2. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი
- 3-4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის მასწავლებლის პორტფოლიო;
- ინდ. გეგმა
- ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმები (1-4 და 5-6 კლ)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (5-6 კლასისთვის)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ისგ
- **სპორტი**-სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის 1-4 კლასის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას ადასტურებს სასკოლო პროექტი ესგ პრიორიტეტული თემის შესაბამისად ,,გარემოს დაცვა", რომელსაც ახორციელებდა პროექტის მართვის ჯგუფი, პროექტს ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი.

- პროექტის სათაური - „გარემოს დაცვას საკლასო ოთახიდან ვიწყებთ"(განხორციელების ვადები - 15/09/2022 - 15/06/2023)
- პროექტის სათაური - მწვანე მომავალი (პროექტის ხანგრძლივობა 1 თვე, 1-ლი კლასი) ბუნებისმეტყველების მიმართულებით;
- ასევე წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები; ბუნებისმეტყველებაში 1-ელ კლასში - ოთხივე სეზონის ამინდის პროგნოზის გასაცნობად მოაწყვე საინფორმაციო გამოშვება.
- ბუნებისმეტყველებაში მე-4 კლასში - ,,როგორ მოდის წვიმა";
- ბუნებისმეტყველებაში მე-5 კლასში - ,,ვაშლოვანი ეროვნული სავანა" წითელი წიგნის შექმნა;
- მესამე კლასის კურიკულუმში არ ჩანს მოსწავლის შემოქმებით პროცესში ჩართვა, რადგან თვით ჩარჩოს გრაფების შევსებული არ არის, როგორც ჩანს არის გარკვეული პრობლემა.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის (ჩვენი საქართველო და მე და საზოგადოება) წარმოდგენილი კურიკულმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალების იდეები, მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, რომ აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში , აგრეთვე სასკოლო პროექტებში მონაწილეობა და სკოლაში არსებული სხვადსხვა წრეები ,მოსწავლეების შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განაპირობებს
ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრამ, მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების დაწყებით საფეხურზე ყველა თემისთვის გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული ტიპის დავალებები. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა -კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე ორივე საგანში განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და **ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

ტექნოლოგიები -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დაწყებითი კლასების სხვადასხვა საგნის კომპლექსური დავალებების ნიმუშები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები, თუმცა მათ შორის არ იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების ნიმუშები, უშუალოდ სკოლის პედაგოგთან გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე მან ამომწურავად დაახასიათა მის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალების პირობები, აგრეთვე უშუალოდ საგნობრივ კურიკულუმში წარსადგენ ნიმუშებშიც ჩანს, რამდენად შემოქმედებითია სასწავლო პროცესი, მოსწავლეები კეთებით სწავლების ხელშემწყობი გარემოში მუშაობენ. წინა წელს განხორციელებული დავალებების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ სკოლაში მასწავლებელი აძლევდა საშუალებას შემოქმედებითად შეესრულებინათ დავალებები.
ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა -კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის დაწყებით საფეხურზე გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში ჩანს, რომ დავალება იძლევა საშუალებას მოსწავლე ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში და განუვითარდეს შესაბამისი უნარები. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

სპორტი -1-4 კლასის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია პრაქტიკული შინაარსის თემები. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კომპლექსური დავალებები, რომლებსაც ახორციელებენ საბუნებისმეტყველო საგნებში, ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, რადგან კომპლექსური დავალების მატრიცებში არის სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც წინარე ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლები (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად (მაგ. სადიაგნოსტიკო ტესტი, შესავლელი ბილეთები, შემაჯამებელი კითხვარი,) მოსწავლეთა გამოცდილების გათვალისწინება ასახულია , მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე მორგებულ საგნობრივი კურუკულუმებში, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემები,შერჩეულია საკითხთა კლასტერი და სამიზნე ცნებების მიხედვით წარმოდგენილია ,კომპლექსური დავალებები, კურიკულუმში არსებული კონტექსტ-მაგალითები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ცოდნის გაღრმავებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.კურიკულუმში იდეის დონეზე ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების კონკრეტული პროდუქტი,რაც მოსწავლემ უნდა შექმნას, პროდუქტები ისეა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილება. საკითხებისა და ქვესაკითხების სახით შექმნილი ჩარჩო კი ხელს უწყობს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები ,საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ ,სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს ,მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ასევე, უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ პერიოდულად განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის შედეგების ანალიზის მიხედვით მოხდება მოსწავლეთა არსებული ცოდნის ინდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების განხორიცელება არსებულ კურიკულუმში. ***ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა -ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), მასში ასახული აქტივობები. კათედრის ეგიდით განხორციელებული პროექტები, რომლებიც გულისხმობს ათვისებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენებას, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

ტექნოლოგიები -კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და საკითხები დალაგებულია თანმიმდევრობით, არის საკითხთა ჯაჭვი.

სახელმწიფო ენა - მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს. სწავლის სწავლას აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური. სწორედ ამ ორივე კომპონენტისკენ არის მიმართული საგნობრივ კურიკულუმებში ჩადებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელება მოსწავლისთვის როგორც გონებრივი, ასევე ემოციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურება; პედაგოგებთან გასაუბრების დროს სწორედ ამ ფაქტორზე გააკეთეს მასწავლებლებმა აქცენტი, რომ მოსწავლეები თავად აფასებენ ერთმანეთის ნამშევრებს, საუბრობენ როგორ განახორციელეს ესა თუ ის დავალება, რა სირთულეებს გადააწყდნენ და ა.შ. სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლეთა ურთიერთ შეფასების რუბრიკა. ერთმანეთის შეფასებას ახდენენ მხოლოდ სიტყვიერად; ***ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები ,საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ ,სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს ,მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. ***ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.***

უცხოური ენები - კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელება დაგეგმილია უცხოური ენების კათედრაზე შემავალი ყველა უცხოური ენისთვის, თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს თუ როგორ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად; წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). მაგ. ფრანგული ენის კურიკულუმს თან ერთვის ერთ-ერთ კომპლექსურ დავალება, რომელშიც სხვადასხვა ეტაპზე გათვალისწინებულია მსჯელობა შემდეგ მეტაკოგნიტურ კითხვებზე: რისი შესწავლა დაგჭირდება? რაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგჭირდება დახმარება? რამდენად ეფექტიანად გამოიყენე საჭირო ენობრივი საშუალებები და არავერბალური ხერხები? რომელმა სტრატეგიებმა შეგიწყო ხელი წინსვლაში? რომელი სტრატეგიები დაგეხმარება უკეთესი შედეგის მიღწევაში? და სხვა. *ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.*

ესთეტიკური აღზრდა -სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება, მაგრამ არ დასტურდება ეს მტკიცებულებების სახით. **სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისაობაში.**

ტექნოლოგიები - წარმოდგენილ მასალებში, მათ შორის თანდართულ საგნობრივ კურიკულუმში, აღწერილია ცოდნის სამ კატეგორიაზე გათვლილი ეტაპები, რომლებიც მოწმობს ამ პროცესების მხარდაჭერას სკოლაში.

სახელმწიფო ენა --მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა). *ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.*

სპორტი - სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. მასწავლებელთან იტერვიუს დროდ დასტურდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესზე დაკვირვების საშუალება არ გვქონია, თუმცა შესაძლებელია ვიმსჯელოთ მოწოდებული მასალების შესაბამისად, როგორიცაა კომპლექსური დავალებები, მაგალითად მე-2 კლასის ბუნებისმეტყველებაში - ,,როგორ მოდის წვიმა;;, მატრიცაში კომპლექსური დავალების ეტაპები არის გაწერილი და შესაბამისად სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად მოცემულია სამივე ტიპის ცოდნის შესაბამისი შეკითხვები; (იხ. კურიკულუმი ბუნებ მე-4 კლ. კომპლ. დავალება - როგორ მოდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წვიმა") და სხვა კომპლექსური დავალებები, ასევე სკოლაში განხორციელებული პროექტების აღწერები, თუ რა მიზანს ემსახურება ეს პროექტი, ვინ, როგორ არის ჩართული და რა საქმიანობით. მოწოდებულია სკოლის მიერ მტკიცებულების სახით არაფორმალური აქტივობების ფოტო მასალა;

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედული სასწავლო მიზნით,ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების შესახებ,აღნიშნეს ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით სრულყოფენ თავიანთ კურიკულუმებს , კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენის კათედრის მიერ შერჩეულ ძირითად რესურსზე (გრიფირებული სახელმძღვანელოები), წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან (დეკლარატიული ცოდნა), შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ცხოვრებისეულ ი კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება. *ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.*

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენ ებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისია. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ ტექნოლოგიების საგნის თემატური მატრიცით, ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ხდება ცოდნის ორგანიზება, თემები გამომდინარეობს ცნებებიდან.

სახელმწიფო ენა -წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა -ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო? (ცოდნის სამივე კატეგორია). ***ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.***

სპორტი -დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც უპირველესად იკვეთება კომპლექსური ტიპის დავალებებში. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ტიპის დავალებები. ასეთი დავალებები არის კარგად გაწერილი ორგანიზებული
ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი კათედრის დაწყებით საფეხურზე (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებისაკენ, ყველა კომპლექსური დავალება ეხება კონკრეტულ ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს. იგივე სამიზნე ცნებებს უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, რაც ხელ შეუწყობს მოსწავლეებში კავშირების დანახვას და გააზრებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას
ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია **მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**

ტექნოლოგიები -მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნისა და სხვა საგნების ინტეგრირება ხდება, ხორციელდება ერთობლივი პროექტები, მაგ. როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა კომპ. ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის პედაგოგმა დაგეგმეს და განახორციელეს ერთობლივი ინტეგრირებული გაკვეთილი. სამომავლოდაც სკოლაში იგეგმება სხვადასხვა ერთობლივი გაკვეთილები და პროექტები. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლებისას მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში და საგნობრივი სასწავლო კურიკულუმის განხორციელებისას იმუშავებენ ამ მიმართულებით.
სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისა (მათემატიკა-ისტი). **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდაში კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - დაწყებითი I-IV და V-VI

- მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები
- დაწყებითი კათედრის ანგარიში
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
- კურიკულუმი
- კომპლექსური დავალება
- თემატური მატრიცა
- მოსწავლის ნამუშევრები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების დამატებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სამიზნე ცნებების სრულ დაფარვას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია;**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას დაწყებით საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე დასაზოგადოება და ჩვენს საქართველოში) საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები -უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები. შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე, მოახდინოს დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება.

ესთეტიკური აღზრდა -

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები -წარმოდგენილ საგნის კურიულუმში გაწერილია როგორც სამიზნე ცნებები, ასევე საკითხები, თუმცა განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მხოლოდ იდეის დონეზე იყო წარმოდგენილი, რაც დავაზუსტე უშუალოდ გასაუბრების დროს, გასაუბრების შემდეგ კი მასწავლებლებმა წამროადგინეს დაზუსტებული იდეები თავისი შინაარსით.

სახელმწიფო ენა - თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. განსაკუთრებით, V-VI კლასის შემთხვევაში.
ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

მათემატიკა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მათემატიკა) კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე. ***ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.***

სპორტი - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივი საკითხების, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.
ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ნამდვილად ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ხშირად ატარებენ ჯგუფურ მუშაობებს, ასევე გეგმავენ ისეთი ტიპის აქტივობებს, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ წყვილებში. შემდეგ მოსწავლეები სიტყვიერად აფასებენ საკუთარ თავს (თუ რა გამოუვიდათ კარგად და რა არა) და ერთმანეთს, რაც მნიშვნელოვანი სოციო-ემოციური მხარდაჭერისთვის. აღსანიშნავია, სასკოლო პროექტის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები დაწყებით საფეხურზე. ასეთი აქტივობების დროს მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, **ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია არის შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. განმავითარებელი შეფასება ხდება SOLO ტაქსონომიის მიხედვით რომელიც იძლევა შესაძლებლობას წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები, ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები,რომლებიც ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წარმოდგენილ გრძელვადიან მიზნებს,მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს რომ,მათ მიერ გაკეთებული უკუკავშირი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესს ,ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებით. ***ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები- უცხოური ენების სამოქმედო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებულ თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მაგ: პოსტერი თემაზე „ძველი და ახალი თაობების მსგავსება/განსხვავება“; მსჯელობა თემაზე „რა გავლენას ახდენს ადამიანის ქმედება გარემოზე“ და სხვა. ***ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა -დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მოცემულ ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები - წარმოდგენილ საფეხურის კურიკულუმში მტკიცებულებების სახით თანდართულია სხვადასხვა საგნის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეკუთვნის ე.წ. სოლო ტაქსონომიით შეფასებას, აგრეთვე სკოლის სამუშაო გეგმაში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში.

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური დავალება სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლს ასრულებს და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა (ფუნქციურ-კომპონენტური უნარი). **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს ზოგად განმავითარებელვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და სხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითების კათედრაზე მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ I_IV კლასებში უმეტესად იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას. ასევე იყენებენ ზეპირად ურთიერთ შეფასებას და მეწყვილეს შეფასებას. ეს პროცესი მიმართულია ჰოლისტური განვითარებაზე და აღსანიშნავია, რომ აპირებენ მომავალ სასწავლო წელს განმავთარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. რაც შეეხება მე-5-6 კლასებს, იქაც მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. მათ იციან თუ როგორ გარდაქმნან ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად: კრიტერიუმების დაკონკრეტება საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით; თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონის (მაგ, 1 ქულა, 2 ქულა და სხვა) მინიჭება; თანამდევი კრიტერიუმები.კათედრის წევრები მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია, აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური).ამრიგად, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე რუბრიკის ნიმუში მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პედაგოგები ჩართულები არიან ამ პროცესებში, იაზრებენ და ანიჭებენ შესაბამის ქულას. ამიტომაც, **ვადასტურებ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებაზე;**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები,რომელთა გამოყენებაც ხდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს კათედრაზე შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა,რომელიც გამოიყენეს განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდგომ,სადაც კარგად ჩანს ჰოლისტური მიდგომა. ***ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.***

უცხოური ენები -მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული დიაგნოსტიკური შეფასებაც ასევე ემსაურება შემდეგ პრინციპებს: ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოვლენა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა; მოსწავლეთა მუშაობის პროცესზე ეტაპობრივი დაკვირვება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა ხარვეზების გამოსწორების მიზნით. ***ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა -2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცეში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწალებლთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე დასტურდება **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -სკოლაში შემუშავებული მიდგომების მიხედვით, რაც გასაუბრებიდან ჩანდა ყველა სასწავლო აქტივობა მიმართულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად.

სახელმწიფო ენა -შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, *I -IV* კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა* განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ *I -IV* კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები* ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ***ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი -სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს თუმცა არის ზოგადი. შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, რომელსაც ამუშავებენ კათედრაზე. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ 2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე პერიოდში შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება მოხდეს სავალდებულო თემების მიხედვით. ამ ეტაპზე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა მოხერხდა ერთი თემის ფარგლებში. 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება შეფასების რუბრიკების ბანკის შექმნა.მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში. ამ ეტაპზე სადიაგნოსტიკო წერის ჩატარების პრაქტიკა სკოლაში არ არსებობს. ზემოთ აღნიშნული ნაბიჯები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ პედაგოგები იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, **სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს კონკრეტული კომპლექსური დავალების შეფასებული ნამუშევარი, ჩვენ საქართველოში სტანდარტის შედეგებით, დავალების პირობით, სადაც განმავითარებელი შეფასების რუბრიკა და შესაბამისი დავალების პირობა იძლევა საშუალებას განისაზღვროს ობიექტურობა, სანდოობა და ვალიდურობა. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ასევე, წარმოდგენილი სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას პრეზენტაციისას, საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთივის, შეფასება არის ვალიდური და გამჭირვალე. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს მხოლოდ 6 ქულიან შეფასებას, როგორც მასწავლებლები განმარტავენ იგი მორგებულია მოსწავლის დადებით შეფასებაზე (5 დან ზემოთ), რასაც ემატება ის საბაზისო 4 უარყოფითი ქულა. სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შემუშავებული იყოს უფრო მეტი კონკრეტიკით. ***ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენლ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატრთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -სკოლის კურიკულუმში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია.

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. თუმცა კათედრის დონეზე მასწავლებლები კონკრეტული მტკიცებულებები ან დასაბუთება, როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდენენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში)შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. ***ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.***

სპორტი -მასწავლებლები ფლობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლას არ აქვს კონკრეტულად გაწერილი ვერიფიკაციის მექანიზმი,** რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებს, თუმცა სასკოლო ვიზიტის დროს სკოლის მხრიდან იყო მზაობა, და სწორი ხედვა იმისა, თუ როგორ აპირებენ შედეგების შემოწმებას. მაგ: განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში მე-5 მე-6 კლასებში იგეგმება სასკოლო წერები, რომელიც სკოლის მიერ იქნებ ორგანიზებული და გარკვეული შედეგის შემოწმებას ემსახურება. დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში ჯერჯერობით არ არის გააზრებული რა ფორმით მოხდება ვერიფიკაცია, თუმცა სასკოლო საზოგადოება -სკოლის დირექცია გამოხატავს ამ მიმართლებით მზაობას. ***ინდიკატორი 2.2.1.5. შეფასებული იყო არ შეესაბამება, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლის მიერ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე,თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -წარმოდგენილ, უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაში მოცემულია კათედრის მიერ შემუშავებული ვერიფიკაცია გულისხმობს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას, მოსწავლეთა შედეგენის ანალიზსა და მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის განსაზღვრას. სასურველია კათედრამ შეიმუშაოს დაგეგმილი ვერიფიკაციის განხორციელების გზები. ***ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას. შესაბამისად შეფასების სისტემა ადასტურებს, რომ პროფესიულ შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - **ზუსტი.ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოიძებნა,** თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუზე თქვეს რომ იცნობენ ვერიფიკაციის მექანიზმისათვის ბსაჭირო რამდენიმე ინსტრუმენტს და აპირებენ სამომავლოდ ამ ინსტრუმენტების გამოყენებას. ***ინდიკატორი 2.2.1.5. შეფასებული იყო არ შეესაბამება, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.***

ტექნოლოგიები - იქიდან გამომდინარე რომ შეფასების სისტემის შექმნა ხდება, სკოლის, კათედრების დონეზე, კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე.

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არაადეკვატურია. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს; ***ინდიკატორი 2.2.1.5. შეფასებული იყო არ შეესაბამება, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.***

მათემატიკა -წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით. სკოლის ფარგლებში იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციისა და განხორციელების მექანიზმის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი და ასახვა სამოქმედო გეგმაში. ***ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.***

სპორტი -ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვას არანაკლებ 3 წელი. მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების შენახვის ვადები სკოლამ უნდა განსაზღვროს სასკოლო გეგმით, ამჟამად სასკოლო გეგმაში ნამშევრების შენახვის ვადები არ არის გაწერილი. შეფასების მტკიცებულებები შესაძლოა იყოს დაკვირვების ფურცლები, „ჩეკლისტები“, რომელიც შეიძლება ესაჭიროებოდეს მასწავლებელს შედეგების ანალიზისათვის, ამიტომ მათი შენახვაც შიდა სასკოლო დოკუმენტის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, რაც ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი, თუმც სკოლის წარმომადგენელბთან გასაუბრებისას იყო მათი მხრიდან მზაობა, რომ აუცილებლად შეიმუშავებენ მტკიცებულებების შენახვის ვადებს და პირობებს. ***ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში. ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - ვინაიდან კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებასა და შეფასების ვერიფიკაციას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ასევე ახორციელებს მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტი „შეფასების სისტემის შესახებ“, სადაც განსაზღვრული იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის ვადა და პირობები.

ესთეტიკური აღზრდა - არ მოიძებნა შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის 3 წლის ვადით შენახვის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ასეთი დოკუმენტები ინახება კათედრის საბუთებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ტექნოლოგიები -სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, რაც მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა.

სახელმწიფო ენა -სკოლაში გამოიყენება შეფასების განმსაზღვრელი პირველი მოდელი, განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებთ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებს. მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა. **ინდიკატორი 2.2.1.6. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

სპორტი -დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- სკოლის სამოქმედო გეგმა.
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი
- დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- დანართი N74 არაფორმალური აქტივობების ამსახველი ფოტომასალა;
- დანართი N75 დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამაGH
- კურიკულუმები (1-4 და 5-6 კლასის მათემატიკაში)
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესზე დაკვირვების საშუალება სასწავლო წლის დასრულების გამო ვერ მოხერხდა, თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **მასწავლებელებს შორის** არის კარგი **თანამშრომლობითი ურთიერთობები**, **გამოცდილების გაზიარება**, **გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტები**სა **მათი საქმიანობის პროცესში**. **ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე**. ურთიერთობების და მიმღებლობის ღიაობა ნამდვილად დასტურდება დაწყებითების პედაგოგებს შორის. *ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია*

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში დაცულია თანასწორობის პრინციპი, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, წახალისების სხვადსხვა ფორმებს-ოლიმპიადებს, კონკურსებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის,მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სასწავლო კურიკულუმები მოსწავლის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა. მოსწავლის შეფასება განმავითარებელი კომენტარით ორიენტირებულია მოსწავლის განვიტარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მაჩვენებელია. კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოა, რადგან მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ ურთიერთმოსაზრებებს, თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე, იზიარებენ პასუხისმგებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა -

ტექნოლოგიები - ინტერვიუთი ვლინდება სკოლის თანამშრომლობითი გარემო.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე.წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, სასკოლო საზოგადოებასთან.

სპორტი -სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირებისეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი რომ მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად ადასტურებს რამდენიმე გარემობა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები გარემოს დაცვის მიმართლებით, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა საფეხურზე განხორციელდა და მასში ჩართლები იყვნენ დაწყებითების კლასების პედაგოგებიც.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო თუ სათემო პროექტები მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს ,ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -უცხოური ენის კათედრაზე თითქმის ყველა თემისთვის არის გათვალისწინებული კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებული სასკოლო პროექტები, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი არაფორმალური განათლების ტიპის აქტივობის გათვალისწინებასასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -საგნის კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, დავალებები შედგენილია ავთენტური იდეებით, არის ლოგიკურად დალაგებული და მიზანზე ორიენტირებული.

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -სასკოლო სასწავლო გეგმაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშორმლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სპორტი -სსიპ ქალაქ თბილისის N 159 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, როგორიცა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების ანგარიშები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ოქმები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კათედრის წევრებს შორის არის თანამშრომლობითი გარემო. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა პედაგოგების მიერ, რომ ყოველთვის ესაუბრებიან ერთმანეთს კომპლექსური დავალებების შედეგებზე. ***ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი) ,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი,,სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის,შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში(მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. **ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმიდან დგინდება, რომ კათედრის წარმომადგენლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგისადა შეფასების ეტაპზე. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა -

ტექნოლოგიები - თანამშროლობითი კულტურა ჩანს კათედრის ოქმებში, მასწავლებეთა პორტფოლიოს მასალებში, აგრეთვე ერთობლივად განხორციელებულ და დაგეგმილ მრავალ ინტეგრირებულ გაკვეთილსა თუ პროექტში.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -კათედრის სხდომის ოქმებიდან, ასევე სამუშაო შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ატარებენ მასაწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, განიხილავენ USAID ბსაბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ მასალებს და აქტივობებს.

სპორტი -სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დირექციასთან გასაუბრებისას და შემდეგ პედაგოგებთან გასაუბრებისას ჩანდა რომ სასკოლო გარემოში იყო პოზიტიური გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი დამლაგებელი, მანდატური, ექიმი ყველას საქმიანობა მიმართულია პოზიტიური კლიმატის შექმნისკენ. ***ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებიდან კარგად ჩანს ძლიერი თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის ,რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -

ესთეტიკური აღზრდა -

ტექნოლოგიები - წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მასწავლებლები ქმნიან ეფექტური სასწავლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა -უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე აღნიშნეს, რომ სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს თუ ფესტივალებს. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს.
შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- შეფასების მასალები;
- სკოლის შინაგანაწესი
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო
- 1-4. სასკოლო სასწავლო გეგმა, მასწავლებელთა პორტფოლიო, კათედრის ოქმები.
- ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმები
- კათედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მიმდინარე პროცესშიც და სასწავლო წლის ბოლოს. ამის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინდა კათედრის ოქმი, რომელშიც ერთ-ერთი საკითხი არის კურიკულუმების მონიტორინგი, გადახედვა. ამ ეტაპზე მტკიცებულების სახით მეთოლოგია არ წარმოუდგენია სკოლას, თუმცა გამოხატა მზაობა და მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინებენ. ასეთი რამ დასტურდება რესურსი 12-ში ასახული კოლეგების შეხვედრის ანალიზიდან და სასწავლო წლის ბოლო კათედრის ოქმიდან; ***ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში დაცულია თანასწორობის პრინციპი, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, წახალისების სხვადასხვა ფორმებს-ოლიმპიადებს, კონკურსებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის,მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ეტაპები. თუმცა დოკუმენტის სახით არ არის გაწერილი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სასურველია გაიწეროს მათი განხორციელების მექანიზმები. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მოცემულია კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მასში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ აზრს, მსჯელობენ გარკვეული კომპლექსური დავალების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, რესურსების ვალიდურობაზე, ეფექტიანობაზე. აგრეთვე, მათ წარმოადგინეს, მტკიცებულების სახით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები, რომლებსაც, თავისთავად, გამოიყენებენ საბაზო საფეხურის კურიკულუმის მონიტორინგის ინსტრუმენტად. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მოცემულია კურიკულუმის შემუშვების და განვითარების მეთოდოლოგია და მასში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა -მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ კათედრაზე აქვთ კურიკულუმის რევიზიის გამოცდილება, თუმცა ამის დამადასტურებელი მასალა არ აქვთ წარმოდგენილი. ასევე გამოთქვეს მზაობა რომ მომავალ სასწავლო წელსაც მასწავლებლები მოახდენენ კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ აქტიურად ჩაერთვებიან მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მოცემულია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და მასში გაწერილი მონიტორინგისა და შეფაების მექანიზმები. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამიოსობაშია.**

სპორტი -სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არ არის შემუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. **ინდიკატორი 2.2.3.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, თუმცა სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მოცემულია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და მასში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამიოსობაშია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, სასკოლო ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ პარალეურ კლასებში ყოველთვის ერთმანეთის მხარდაჭერით ამოწმებენ, რამდენად ეფექტურად წარიმართა პროცესი ამა თუ იმ კლასში ,ასევე მნიშვენლოვანია, რომ არსებობს საგაკვეთილო დასწრების ჩანაწერი. წლის ბოლო კათედრის ოქმში არის შესაბამისი მტკიცებულება, რომ მოხდა კურიკულუმების გადახედვა და შეფასება, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. ***ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო თუ სათემო პროექტები მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს ,ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული. **ინდიკატორი 2 2 3.2 დაკმაყოფიელბულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები -უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას, პრობლემების გამოკვეთასა და ხარვეზების აღმოფხვრას უკეთესი შედეგის მისაღწევად.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა, თუმცა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გათავისებული აქვთ მონიტორინგის შედეგების მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის კუთხით, რაც განსაზღვრავს სამომავლო ინტერვენციების ხასიათს და მიზნებს, მაგ. რამდენად ჩართული იყო სკოლო საზოგადოება გარკვეულ პროექტში და რა იყო ჩართულობის ამა თუ იმ ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს,

მათემატიკა -ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთბოლოვად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებში, ასევე გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -სკოლის ფიზიკური აღზრდის და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის წევრების შეხვედრისას (წარმოდგენილი წლის ბოლო ოქმი) დასტურდება, რომ იკვეთება კურიკულუმების ძიერი და სუსტი მხარეები, რაც გაუმჯობესების გარანტიაა. სასკოლო ვიზიტის დროს დაწყებითების კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ გააზრებული აქვთ კურიკულუმების გაუმჯობესების აუცილებლობა, რომ არსებული ფორმით კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის პრობლემა კათედრისთვის და შესაბამისად და მომავალ სასწავლო წელს განახლებული კურიკულუმების წარდგენა იქნება პრობლემის გადაჭრის საშუალება. ***ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი) ,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი,,სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის,შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში(მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს**. ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება, რომელიც განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასების გზით, მიზნად ისახავს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა, თუმცა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზის/საშუალების ძიების პროცესში. სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის, შეფასების შედეგების ანალიზის დანერგვას და მისი მეშვეობით გარკვეული დასკვნების გაკეთებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -- კათედრებისა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას

მათემატიკა -გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით იკვლევენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით.

სპორტი -სკოლის ფიზიკური აღზრდის და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N 76 დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
- დანართი N78 დაწყებითი კლასების კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საკოლო კურიკულუმი
- მშობელთა კრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია, რომ სკოლა იყენებს ესგ-ს მიხედვით შეფასების სისტემის პირველ მოდელს. დაწყებით კლასებში I-IV ძირითადად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რაზეც სასკოლო ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ეს არ არის საკმარისი და აუცილებლად გაითვალისწინებენ ჯგუფური მუშაობის ან წყვილებში მუშაობის დროს ურთიერთშეფასების რუბრიკებს. აღნიშნა შეხვედრისას ,რომ სიტყვიერად ასეთი ტიპის შეფასება ისედაც ხდება, თუმცა ამის მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. მე-5 და მე-6 კლასებში წარმოდგენილია განამვითარებელი შეფასების რუბრიკა (პრეზენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუბრიკა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ასევე ამ მიმართლებით პედაგოგებმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ ამ მიმართულებით გაუმჯობესებას და რუბრიკების გამრავალფეროვნებას; ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ,ისე სასკოლო დონეზე,რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები -უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი. ამ მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასება**;** მოსწავლეთა შედეგების ანალიზი **და** მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლის განსაზღვრა. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და სათანადოდ აღინიშნება მოცემულ **ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. გასაუბრებისას აღნიშენეს, რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, თუმცა სათანადოდ ვერ დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება სოლო ტაქსონომიით, დიფერენცირებული დავალების შეფასების ანალიზი, შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სხვა, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესის შესაფასებლად. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი -დაწყებითი საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ამ მიმართულებით პედაგოგები აუმჯობესებენ პრაქტიკას, რაც პირველ რიგში გამოიხატება მრავალფეროვანი დავალებებში . მაგ: მე-2 კლასში მოსწავლეთა სიტყვიერი შეფასება მოხდა განხორციელებული პროექტის ფარგლებშიც,მე-4 კლასშიც გარემოს დაცვითი მიმართულებით განხორციელებული იყო სასკოლ პროექტის ფარგლებში საინტერესო დავალება, რამაც მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია. ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. ***ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. . ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასება ორიენტირებულია ისე, რომ მოხდეს მოსწავლეთა შეფასება ინდივიდულაურად მის შესაძლებლობებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას; მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და განსაზღვრავს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლს. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი მექანიზმი სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ ინფორმაციის შეგროვება და შეფასება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. ***ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა - მასწავლებლები საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებზე, მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გვაძლევს სრულყოფილ სურათს. ***ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია***

სპორტი - სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდაში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით მოსწავლეთა შეფასება, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები დაწყებითების კათედრაზე არ არის წარმოდგენილი, თუმცა დოკუმენტი რესურსი 12-ში აღწერილია, რომ კათედრა უზრუნველყოფს მომავალ სასწავლო წელს სასკოლო წერების ჩატარებას. ***ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია;***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა 2022-20223 სასწავლო წელს იყენებდა შეფასების პირველ მოდელს .დაწყებით საფეხურზე საგან მე და საზოაგდოებაში გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასება,ხოლო საგან ჩვენ საქართველოში 5 კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი შეფასება,მეორე სემესრტიდან და 6 კლასში განმსაზღვრელი შეეფასება.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს მათ მირ შექმნილი განხორციელებული კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. ***ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია***

უცხოური ენები - - ცხოური ენების კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას; მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და განსაზღვრავს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლს. ***ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია***

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ისეთები როგორიცაა მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება სხვადასხვა რუბრიკებით, უშულად მოსწალეების მიერ აქტივობების განხორციელებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება და ა.შ. **სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -კ ათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. ***ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია***

მათემატიკა -როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით სკოლა ახდენს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ ხდება მისი დოკუმენტირება და არც წარმდგენილ დოკუმენტაციაში არის ნაჩვენები მონაცემთა მოპოვების რომელ მეთოდებს იყენებენ. გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ მოახდენენ შეფასების მიზნით მიღებული მონაცემების ანალიზს და ოფიციალური ჩანაწერების გაკეთებას. ***ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.***

სპორტი -სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღიშნეს, რომ სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. ***ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.***

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით მინდა ავღნიშნა სსსმ მოსწავლეთა შეფასებისას ფსიქოლოგის და სპეც მასწავლებლის ჩართულობა, რაც მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს და პედაგოგები ახორციელებენ ამ ფაქტორების გათვალისწინებას, ასევე სასკოლო ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხშირად ხვდებიან მშობლებს და მოსწავლეთა გარკვეულ საჭიროებებს ითვალისიწნებენ შეფასების დროს. ***ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტება აუცილებლად უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და ამის უზრუნველსაყოფად მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებლი აკეთებს სისტემატიურ ჩანაწერს მოსწავლეზე,იყენებენ სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკებს. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ავსებენ თავისი შვილების საინფორმაციო ანკეტას, ‘’ჩემი შვილი’’, მისი შვილის თავისებურებების შესახებ, რომელსაც თითოეული მასწავლებელი იყენებს და ითვალისწინებს. სკოლა გეგმავს სადიაგონსტიკო შეფასების დანერგვას. ***ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.***

უცხოური ენები -უცხოური ენების კათედრა კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგს ახორციელებს სადიაგნოსტიკო შეფასებითა და მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით.

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელებას უზრუნველყოფს კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი თემები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებს. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდაში მოსწავლეთა შეფასების დროს.
ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა
- დანართი N9 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- დანართი N80 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დაწყებითების კურიკულემებთან მიმართებაში კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკმენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნა ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარმოდგენილი I-IV კლასების კურიკულუმები აუცილებლად საჭიროებს დახვეწას. კონკრეტული დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი. კათედრის წლის ბოლო ოქმში არის საკითხი კურიკულუმების რევიზიასთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნილი ჯერჯერობით არ აქვთ. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით, სადიაგნოსტიკო შეფასებით, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენით. ხდება ხარვეზების გამოვლენა და მასზე რეაგირება. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ასეთი საბუთი არ მოიძებნა, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. სათანადოდ **აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება

მათემატიკა -სკოლას არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები მუშაობენ, რომ შეიმუშაონ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში გაითვალისწინებენ, შეიქმნება კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განხორციელების თითოეული ეტაპი. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს დაწყებითი საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ამ ინდიკატორის აღწერისას აღსანიშნავია, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის პედაგოგები გეგმავენ გაითვალისწინონ წლევანდელი სასწავლო წლის გამოცდილება, გაიაზრებენ პრობლემებს და გააუმჯობესებენ პრაქტიკას. ეს ყოველივე აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ ეტაპზე გადამუშავებული კურიკულუმები სკოლას ვერ ექნება წარმოდგენილი, რადგან ახალი სასწავლო წლისთვის მოხდება ამის მომზადება. ***ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია;***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები -სასკოლო სასწავლო გეგმაში მონიტორინგის შედეგად პრობლემის გადაჭრის საშუალებები მოცემულია რამდენიმე ასპექტში. კერძოდ: სსსმ მოსწავლესთან და შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიაში. ამ მიზნით კათედრის წევრები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ასეთი საბუთი არ მოიძებნა, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის, წინარე გამოცდილების და შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე, გეგმავენ კურიკულუმის გადამუშევებული ვერსიის შექმნას. სათანადოდ **აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

ტექნოლოგიები -

სახელმწიფო ენა -.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინები. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- დანართი N79 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლი სდაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- დანართი N80 სასკოლო სასწავლო პროექტი;
- დანართი N81 კომპლექსური დავალება;
- დანართი N63 უკრაინელი ბავშვების სოლიდარობის აქციის რეპორტაჟის ლინკი; დანართი N62 2022 წლის 1 ივნისის საქველმოქმედო აქციის რეპორტაჟის ლინკი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ მოწოდებულია ჩანაწერების ფაილი სახელწოდებით ,,რესურსი 12', (სამდღიანი ქოუჩინგის მუშაობის ანგარიში), რომელშიც ასახულია ინფორმაცია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე, მოხდა კოლეგების მიერ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარება და თანმშრომლობა, გარკვეულ საკითხებზე შეჯერება და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით არის ასევე ჩანაწერი. მაგ: რომ მომავალ სასწ. წელს აპირებენ მეტი კომპლექსური დავალების განხორციელებას, შეფასების სისტემის ცვლილებას, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, სადიაგნოსტიკო წერების შემოღებას და დანერგვას მომავალი სასწავლო წლიდან. ასევე მომავალ წელს გეგმავენ სასკოლო წერების შემოღებას. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრამ წარმოადინა კათედრის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაძლებელია მივიჩნიოთ როგორც მეთოდოლოგია, რადგან იგი იძლევა საშუალებას დავინახოთ კათედრა კურიკულუმის შემუშავების პროცესში რას და როგორ აკეთებს, როგორ აკონტროლებს და აფასებს, რომ მიზანი მიღწეულია. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე)ინტერესების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პასუხობს, გამოწვევებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების მოთხოვნებს უკავშირდება. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას. ინდიკატორტან მიმართებით **არის შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა - სკოლას სასკოლო დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. არც კათედრის დონეზე მომხდარა მსგავსი ტიპის დოკუმენტის შემუშავება. ამ სახის ინფორმაცია ირიბად იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. საბაზო კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც - არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს, მაგრამ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმიდან, კათედრის მშობელთა კრების ოქმებიდან გამოჩნდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვა-ლისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, პედაგოგები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, სამომავლოდ კი გეგმავენ შექმნან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მასში მკაფიოდ გაწერონ მონაწილეთა როლი და ჩართულობის ხარისხი. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც - არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - კონკრეტულად გაწერილი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია ვერ ვნახე, თუმცა ინტერვიუს დროს, აღმოჩნდა რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომმავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). კურიკულუმში ასახული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც - არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმების ჩარჩო და შედეგების ანალიზის დოკუმენტი (რესურსი 12), რომელშიც ჩანს, რომ მოხდა კათედრის წევრების შეკრება და შესაბამისად ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტში გაწერილია, რომ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას მოახდენენ კათედრაზე ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე , რაც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმების შემუშავების პროცესში. საგნის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენაში. მაგ: კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე აკეთებენ სიტყვიერ გამოკითხვას: რა მოეწონათ, რას გაუმჯობესებდნენ და რამდენად იყო მათთვის ამ დავალებაზე მუშაობა საინტერესო. თუმცა შესაბამისი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, მხოლოდ სიტყვიერად არის აღნიშნული, რომ მომავალი სასწავლო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ასევე მოწოდებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციაში არის მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, რის შესახებაც კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს, გაკვეთილზე გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ კოლეგები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, მასწ. აკეთებს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიასაც, რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. *ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.*

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - წარმოდგენილი კათედრის სამოქმედო გეგმით, რომელშიც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავება, განვითარება, მონიტორინგისა და ვერიფიკაციის გზები, დგინდება, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები მეორე უცხოური ენის არჩევისას და მასწავლებელთა მოსაზრებები. ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და პრიორიტეტები. კერძოდ, წინარე ცოდნა, მოსწავლის/კლასის ინდივიდუალური შესაძლებლობები, რესურსები, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერიუშე გაირკვა, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების იდეების და კონტექსტ-მაგალითების შერჩევის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. სტანდარტის მოთხოვნები **ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა -სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან , სხვა დოკუმენტაციებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

სპორტი - შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ კათედრის წევრები. (დოკუმენტი - რესურსი 12); სადაც ჩანს, თუ რომ 2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე პერიოდში იგეგმება შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება სავალდებულო თემების მიხედვით. ამ ეტაპზე არის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც გაანალიზებული აქვთ კათედრის წევრებს და აპირებენ მოსწავლეთა შედეგების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის კათედრის ანგარიში, რომელშიც არის ჩანაწერი, რომ ყველა კლასში ყველა საგნის პედაგოგმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავა თემატური გეგმები. ასევე აღნიშნულია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობაზე , ასეთი შეხვედრა ემსახურება კურიკულუმის როგორც მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია კათედრის წევრთა მაქსიმალური ჩართულობით. კათედრაზე მსჯელობისა და განხილვის შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა თავის ფარგლებში ჩაეშენებიათ ერთი კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი), ვინაიდან პარალელური კლასების. მასწავლებლებს მიეცეთ საშუალება აირჩიონ მისთვის სასურველი კომპლექსური დავალება. ფუნქციების გადანაწილების მსგავსი მოდელი მათ კომპლექსური დავალებების განხორციელების რეალურ შესაძლებლობას აძლევთ. კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც იქნება წარმატებული და გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საფუძველი გახდება, შეტანილი იქნება სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებს. ინდიკატორტან მიმართებით არის **შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა - სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. კურიკულუმი ჩარჩოშოში არ არის გამოკვეთილი გრეძლვადიანი მიზნები. საუბრობენ, რომ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. არ არის ჩაშენებული შუალედური მიზანები, თუმცა მასწავლებელებმა აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - ინტერვიუდან გაირკვა , რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა მასწავლებელი, კერძოდ, პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად განსაზღვრავდნენ დასამუშავებელი თემების, საკითხების, რესურსების, დავალებების ჩამონათვალს. შემდგომ ეტაპზე, შემუშავებული კურიკულუმის განხილვა მოხდა კათედრაზე. დირექციას მიეწოდა ინფორმაციას სასწავლო წელს განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობის შესახებ. მომავალში კი სკოლა გეგმავს აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის მონაწილეობით. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**.

სპორტი - ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ მოწოდებულია კათედრის ანგარიში, რომელშიც ჩანს რომ კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესის ირგვლივ დადებით და უარყოფით კონტექსტებს. ასევე სკოლას აქვს ე.წ. დოკუმენტი მშობელთა კრების ოქმი N1 - 10.10.2022 დღის წესრიგი: სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო პროგრამების, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების გაცნობა სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან შეხვედრა. ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - წარმოდგენილ კათედრის სამოქმედო გეგმაში არ არის აღწერილი კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის კურიკულუმის ჩარჩოს გაზიარება მოხდება სასწავლო წლის დაწყებისთანავე. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ სასკოლო საჭიროების მიხედვით პროექტების დეგეგმვა, პროექტებში სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა, პროექტის პრეზენტაციის დროს. ინდიკატორტან მიმართებით არის **შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა -კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას საბაზო კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**.

მათემატიკა - სასკოლო კურიკულუმი საზოგადოებას მიეწოდება მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების საშუალებით და საინფორმაციო დაფაზე, მშობლებთან კომუნიკაცია ხდება წინასწარ შეთანხმებული ფორმატით. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 3 დღიანი ჰოუჩინგის ანგარიში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა, ე.წ. ,,რესურსი 12’)

2. დაწყებითი კათედრის წლის ბოლო ანგარიში,

3. მშობელთა კრების ოქმი N

4. **უცხოური ენების კათედრის** სამოქმედო გეგმა.

5. **სახელმწიფო ენა:** დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

6. დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის კურიკულუმი;

7. დანართი N24 კათედრების სხდომის ოქმი ;

8. დანართი N15 ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება.

9. **მათემატიკა:** სასკოლო სასწავლო გეგმა;

10. სასკოლო კურიკულუმი;

11. მშობელთა კრების ოქმი;

12. **სპორტი**: 7-9 კლასის კურიკულუმები.

13. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი.

14. ინტერვიუ მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში (კურიკულუმის ჩარჩო ბიოლოგია VII-IX, ქიმია VIII-IX, ფიზიკა VII-IX კლასები. თემები დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რადგან გათვალისწინებულია მრავალფეროვანი დავალებები კომპლექსური დავალებების სახით (რაც მოსწავლის ცალსახა ჩართულობას მოითხოვს); კურიკულუმში ასახულია შუალედური მიზნები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებებთან კავშირი; **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფხეურის საზოგადოებრივი კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გამოიყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მასწავლებლების მიერ შერჩეული პროდუქტებით-პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით ან სხვადასხვა სტატიებით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად, მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად მოიაზრება და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითა-რების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ესგ გრძელვადიან მიზნებს. (იხ. კურიკულუმების ჩარჩო) მაგ: მე-9 კლასში ფიზიკის საგნის კურიკულუმში ჩადებულია კომპლექსური დავალება - კატაპულტა. თემა - მექანიკური მოვლენები დამუშავებულია სამიზნე ცნება: ენერგია - სხეულის ენერგია, მექანიკური ენერგია, ფიზიკური პროცესი - ფიზიკური პროცესის მახასიათებლები, ენერგიის შენახვა და გარდაქმნა, მექანიკური მუშაობა. საკითხი - კონტექსტ მაგალითი -კატაპულტი . ასეთი ტიპის დავალება მიმართულია შედეგზე და შესაბამისად მოსწავლე შეძლებს სამიზნე ცნების შესაბამისად შედეგზე გასვლას; ასევე ქიმიის საგნის კურიკულუმში მაგ: მე-9 კლასში დაგეგმილი კომპლექსური დავალება - **საინფორმაციო ბუკლეტის** საშუალებით წყლის შედგენილობის, თვისებების, მისი როლის და დაბინძურებისაგან დაცვის ღონისძიებების თვალსაჩინოდ წარმოჩენა, ძირითადი კონტექსტ მაგალითი - წყალი-სიცოცხლის წყარო; ხორციელდება თემა - წყალი და ხსნარები ფარგლებში; მუშავდება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები - **ნივთიერება ქვეცნება**-ქიმიური ფორმულა, მოლეკულა, ატომი, მასური წილი ნივთიერების ფიზიკური თვისება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური და ქიმიური მოვლენები **ქვეცნება-** აორთქლება, გაყინვა, გათხევადება, სუბლიმაცია **ქიმიური ბმა ქვეცნება-**ვალენტობა, წყალბადური ბმა. ასეთი მიმართებები ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ***ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი კურიკულუმები მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. შერჩეულია შუალედური მიზნები, ცნებათა იერარქიის დაცვით ,რაც ხელშემწყობია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად,მასწავლებლთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სავარაუდო აქტივობები , რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში განვითარდეს XXI საუკუნის ისეთი უნარები , როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმს.
ინიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - საბაზო საფეხურის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფეხურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. საბაზო საფეხურის კურიკულუმში ყველა თემაზე ინტეგრირებულია კომპლექსური ტიპის დავალებები. კერძოდ: ინგლისური ენა 7-9 კლასები, რუსული ენა 7-9 კლასები, ფრანგული ენა 7 კლასი. რაც გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული, თემატური ბლოკების/თემების გათვალისწინებით. კურიკულუმში ჩანს, რომ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მე-8 კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია, ვინაიდან თემა, საკითხი და კომპლექსური დავალება არ შეესაბამება თემატურ ბლოკს. თუმცა ინტერვიუს დროს ამ საკითხის განხილვისას მასწავლებლებმა სწორად წარმოადგინეს ეს საკითხი.

საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახლოციელებს კომპლექსურდ დავალებებს. მსგავის ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და **დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის , როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დროს.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრზელვადიან მიზნებზე და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას ჰყავს სპეც მასწავლებელი, რომლებიც პედაგოგებთან ერთად მუშაობენ სსსმ მოსწავლეების საჭიროებების განსაზღვრაზე. საგნების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჯგუფური სამუშაოების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ჯგუფების დაკომპლექტებისას ახდენენ დიფერენცირებას, ასევე კონკრეტული მოსწავლეებისთვის მიუცია დიფერენცირებული დავალებები. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობების შესახებ მატერიალური სახით არ არის მოწოდებული შესაბამისი მტკიცებულება; ***ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფხურის საზოგადოებრივი კათედრის(ისტორია,მოქალაქეობა და გეოგრაფია) მიერ წარმოდგენილის დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა შემდეგი- სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს (მაგ.კითხვა-პასუხი.დამოუკიდებელი სამუშაო და სხვ.სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა,აგრეთვე სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი,რომლის მიზანიცაა სსსმ მოსწავლეებისათვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა და სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების პროცესში მაქსიმალური ჩართულობა. სსსმ მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლაში მიმდინარე პროექტებში,სასწავლო წლის დასწაყისში სკოლა ადგენს ინდ.გეგმებს,მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა როგორ ახდენენ კომპლექსურ დავალებების მოდიფიცირებას სპეცმასწავლებლებთან თანამშრომლობით, არჩევენ რესურსებს სსსმ მოსწავლეებისათვის ადგენენ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - -2022-2023 საწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციფიკა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების რეგულაციები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ამ მიმართულებით პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები. სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება ხორციელდებოდეს არა მარტო სსსმ, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეებთან მიმართებითაც. ***ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.***

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზრვულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი.
ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით აქტივობების შერჩევას.
დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და **ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი მეტნაკლებად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. ასევე, ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით აკეთებენ კურიკულუმის ადაპტირებას, მსგავსი ტიპის გამოცდილება დოკუმენტის სახით დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში. მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების ერთწლიანი გეგმა. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქალაქ თბილისის N 159 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია და წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლაში პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იყენებენ მხოლოდ სიტყვიერ განამავითარებელ კომენტარებს, რომელიც ასახულია ელექტრონულ ჟურნალში.ქიმიის მასწავლებლების მიერ მოწოდებულია თემა: პოლიმერების ფარგლებში შემუშავებული შეფასებასთან დაკავშირებული მოლოდინების განსაზღვრის დოკუმენტი, რომელშიც არის ჩანს, თუ რა უნდა შეძლოს ან იცოდეს მოსწავლემ. თუმცა გასაუბრებისას აღინიშნა, პედაგოგების მიერ, რომ აპირებენ მომავალი სასწავლო წლისთვის რუბრიკების გამრავალფეროვნებას. ***ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის საზოგადოებრივ კათედრაზე (ისტორია,მოქალაქეობა,გეოგრაფია) აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,იძლევა შესაძლებლობას რომ დავინახოთ შეფასება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ,აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მზაობა შექმნან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გვაჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით.
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იგი მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის, თუმცა იგი წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლით გათვალისწინებული განმსაზღვრელი შეფასების სწავლების მეორე მოდელისთვის, რაც ითვალისწინებს სემესტრული შეფასებისას მხოლოდ (ერთი თემის ფარგლებში) შემაჯამებელი დავალებების ქულების გათვალისწინებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუსას, უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა განმარტეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეფასების, სწორედ ამ ვარიანტის არჩევას გეგმავენ. უფრო ნათელი სურათისთვის, სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს განმავითარებელი და გამნსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ცალკე, კონკრეტულად საბაზო საფეხურისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრას არ ჰქონდა წარმოდსგენილი განმავიტარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკები. თუმცა ინტერვიუზე მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს, თუ რა პრინციპებით მოახდენენ სამომავლოდ რუბრიკების შექმნას.

სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე არ იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს მცირე უზუსტობებით, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბეს ხედვა, როგორ ესახებათ განვავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე. რომელიც მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *კათედრას სამუშაო აქვს* განმსაზღვრელი შეფასების კუთხით. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *რაც შეეხება მოსწავლების მიღწევები* ფასდება, *როგორც განმავითარებელი ისე* განმსაზღვრელი შეფასებით. არ არის მითითებული როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი, ასევე საშინაო დავალებისა და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის, ასევე შეფასების სქემა კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით სადაც ნამდვილად ჩანს რომ განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოადგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის დონის განსაზღვრისთვის და აკვირდებიან მოსწავლის განვითარების დინამიკას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები არის ზოგადი. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტში შეფასების რუბრიკები რომელიც იქნება თემების მიედვით გაწერილი.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისთვის კათედრის წევრები შეიკრიბნენ, შეიმუშავეს შესაბამისი დოკუმენტი (რესურსი 12) სამდღიანი ქოუჩინგის ანგარიში, რომელშიც არის ასახული ინფორმაცია, თუ რა ეტაპზე არიან ამჯერად (მაგ: კომპლექსური დავალებები უკვე შემუშავების პროცესშია და რას აპირებენ რომ უფრო მეტი დავალება შესთავაზონ მოსწავლეებს, . ასევე ჩვენს ხელთ არის მოწოდებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წლის ბოლო შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც არის ინფორმაცია, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თუ როგორ, რა შედეგები დაიდო მოსწავლეთა მხრიდან. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, გაითვალისწინებენ წლევანდელი სასწავლო წლის გამოცდილებას და დაგეგმავენ შესაბაამისად. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ დაწყებითების კათედრამ წარმოადგინა ანგარიში, თითოეული კლასის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მღწევების შესახებ. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი კათედრა (ისტორია, მოქალაქეობა და გეოგრაფია) წინარე გამოცდილების ანალიზისათვის იყენებენ შემდეგ აქტივობებს - შესასვლელი ბარათები, კარგი სკოლის სადიაგნოსტიკო ტესტები, მასწავლებელთა მიერ შედგენილი კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტესტ-მაგალითები, რაც იძლევა შესაძლებლობას დავინახოთ როგორ ააქტიურებენ წინარე ცოდნას და ქმნიან საფუძველს მოსწავლეებში ახალი ცოდნის მიღებასა და სიღრმისეულ გააზრებაზე. ინტერვიუს დროს ნათლად გამოჩნდა დაწყებითი კლასების მასწავლებლები ...

უცხოური ენები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნა კეთედრის წევრების თანამშრომლობითა და ჩართულობით, კურიკულუმის აგება მოახდინეს ისეთი თემების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს. კათედრის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით ასევე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შედგენა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის პროგრამა, ხოლო, საკითხების შერჩევა იმავე კლასის სხვა საგნების თემატიკიდან გამომდინარე, რათა გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდა -სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ცხადყოფს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება მოიაზრება შუალედურ სასწავლო მიზანად და მიემართება საგნების სტანდარტს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი .
დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. **დაწყებითების კათედრის ანგარიში,**

2. ისგ ოქმი,

3. მშობელთა კრების ოქმი,

4. საბუნებისმეტყველო კათედრის წლის ბოლო ოქმი;

საზოგადეობრივი:
5. კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები;
6. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
7. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
8. სახელმწიფო ენა: დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის კურიკულუმი;
9. დანართი N67 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
10. დანართი N71 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის მასწავლებლის პორტფოლიო;
11. დანართი N11 ინდ. გეგმა
12. დანართი N 9 ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
13. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;
14. სასწავლო ნაწილის ანგარიში
15. უცხო ენები: საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
16. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
17. მათემატიკა: სასკოლო სასწავლო გეგმა
18. სასკოლო კურიკულუმები (7-9 კლ)
19. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (7-9 კლასისთვის)
20. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
21. ისგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

22. სპორტი: სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 7-9 კლასის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას ადასტურებს სასკოლო პროექტი ესგ პრიორიტეტული თემის შესაბამისად ,,გარემოს დაცვა", რომელსაც ახორციელებდა პროექტის მართვის ჯგუფი, პროექტს ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი.

- ფიზიკისა და ქიმიის ერთობლივი პროექტი მე-8 კლასში ,,ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემები".
- ასე საგნის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ცალსახად საჭიროებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქედებით პროცესებში ჩართვას. მაგ: ფიზიკის მიმართულებით იგეგმება მოდელების და ხელსაწყოების აწყობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღსანიშნავია, რომ პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აქტიურად იმუშავეს თსუ უნივერსიტეტთან, დაგეგმილი და განხორციელებულია ვიზიტი ლაბორატორიებში, ამ ფაქტს ადასტურებს სკოლის მიერ მოწოდებული ფოტო მასალა. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმოდგენილი კურიკულმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეების და (განხორციელებული კომპლექსური დავალებების) მიხედვით შესაძლებელია მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში, *გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები* , კარგად ჩანს,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო პროექტებში ,მაგ.მიმდინარე წელს განხორციელდა პროექტი გარემოს დაცვის მიმართულებით. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრამ, მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების საბაზო საფეხურზე ყველა თემისთვის გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული ტიპის დავალებები. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქედებით პროცესშია ჩართული. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში და სასკოლო პროექტში ჩანს, რომ დავალება იძლევა საშუალებას მოსწავლე ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში და განუვითარდეს შესაბამისი უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - 7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია პრაქტიკული შინაარსის თემები. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** -კომლექსური დავალებები, რომლებსაც ახორციელებენ საბუნებისმეტყველო საგნებში, ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, რადგან კომპლექსური დავალების მატრიცებში არის სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც წინარე ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) წევრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად (მაგ. სადიაგნოსტიკო ტესტი, შესავლელი ბილეთები, შემაჯამებელი კითხვარი,) მოსწავლეთა გამოცდილების გათვალისწინება ასახულია , მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე მორგებულ საგნობრივი კურუკულუმებში, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემები,შერჩეულია საკითხთა კლასტერი და სამიზნე ცნებების მიხედვით წარმოდგენილია ,კომპლექსური დავალებები, კურიკულუმში არსებული კონტექსტ-მაგალითები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ცოდნის გაღრმავებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.კურიკულუმში იდეის დონეზე ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების კონკრეტული პროდუქტი,პროდუქტები ისეა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილება. საკითხებისა და ქვესაკითხების სახით შექმნილი ჩარჩო კი ხელს უწყობს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას
ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ასევე, უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ პერიოდულად განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის შედეგების ანალიზის მიხედვით მოხდება მოსწავლეთა არსებული ცოდნის იდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების განხორიცელება არსებულ კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები, განხორციელებული პროექტები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობები. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიტან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

სახელმწიფო ენა -მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს. სწავლის სწავლას აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური. სწორედ ამ ორივე კომპონენტისკენ არის მიმართული საგნობრივ კურიკულუმებში ჩადებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელება მოსწავლისთვის როგორც გონებრივი, ასევე ემოციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურება; პედაგოგებთან გასაუბრების დროს სწორედ ამ ფაქტორზე გააკეთეს მასწავლებლებმა აქცენტი, რომ მოსწავლეები თავად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, საუბრობენ როგორ განახორციელეს ესა თუ ის დავალება, რა სირთულეებს გადააწყდნენ და ა.შ. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია გეოგრაფია,მოქალაქეობა) კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები ,საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, მასწავლებლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ ,სადაც აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს ,მოსწავლეების მიერ პროდუქტის პრეზენტაციისას დიდი ყურადღება ეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელება დაგეგმილია უცხოური ენების კათედრაზე შემავალი ყველა უცხოური ენისთვის, თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს თუ როგორ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად; წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). მაგ. ფრანგული ენის კურიკულუმს თან ერთვის ერთ-ერთ კომპლექსურ დავალება, რომელშიც სხვადასხვა ეტაპზე გათვალისწინებულია მსჯელობა შემდეგ მეტაკოგნიტურ კითხვებზე: რისი შესწავლა დაგჭირდება? რაში დაგჭირდება დახმარება? რამდენად ეფექტიანად გამოიყენე საჭირო ენობრივი საშუალებები და არავერბალური ხერხები? რომელმა სტრატეგიებმა შეგიწყო ხელი წინსვლაში? რომელი სტრატეგიები დაგეხმარება უკეთესი შედეგის მიღწევაში? და სხვა. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა წარმოადგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მომავალში მოსწავლეებში სწავლის, მრვალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება, მაგრამ არ დასტურდება ეს მტკიცებულებების სახით. **სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა). **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. მასწავლებელთან იტერვიუს დროდ დასტურდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესზე დაკვირვების საშუალება არ გვქონია, თუმცა შესაძლებელია ვიმსჯელოთ მოწოდებული მასალების შესაბამისად, როგორიცაა კომპლექსური დავალებები, მაგალითად მე-7 კლასის ბიოლოგიაში - შექმენი პოსტერი, სადაც „კოლხური ცურვის“ მაგალითზე ასახავ მოცურავის მოძრაობის სახეს და ამ მოძრაობის მახასიათებელ პარამეტრებს.მატრიცაში კომპლექსური დავალების ეტაპები არის გაწერილი და შესაბამისად სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისად მოცემულია სამივე ტიპის ცოდნის შესაბამისი შეკითხვები; (იხ. კურიკულუმი ფიზიკა მე-მე-9 კლ. კონტექსტ მაგალითი - ”) და სხვა კომპლექსური დავალებები, ასევე სკოლაში განხორციელებული პროექტების აღწერები, თუ რა მიზანს ემსახურება ეს პროექტი, ვინ, როგორ არის ჩართული და რა საქმიანობით. მოწოდებულია სკოლის მიერ მტკიცებულების სახით არაფორმალური აქტივობების ფოტო მასალა;
ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის (ისტორია,მოქალაქეობა, გეოგრაფია) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედული სასწავლო მიზნით,ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით როგორ მოხდება ცოდნიის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება , კომპლექსური დავალების მუშაობის გამოცდილება მათ დაეხმარება ამ პროცესების წარმართვაში
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - უცხოური ენის კათედრის მიერ შერჩეულ ძირითად რესურსზე (გრიფირებული სახელმძღვანელოები), წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან (დეკლარატიული ცოდნა), შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფიელბულია.**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. კურიკულუმების ჩარჩებისა და მასწავლებლების ინტერვიუების დროს მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ საბაზო საფეხურის მუსიკიასა და სხვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და **ინდიკატორთან შესაბამისობასია .**

სახელმწიფო ენა - წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული).

მათემატიკა - ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს , კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო? (ცოდნის სამივე კატეგორია). **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც უპირველესად იკვეთება კომპლექსური ტიპის დავალებებში. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ტიპის დავალებები. ასეთი დავალებები არის კარგად გაწერილი ორგანიზებული
ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი კათედრის მიერ (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებისაკენ, ყველა კომპლექსური დავალება ეხება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტულ ძირითად საკითხს, ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს. იგივე სამიზნე ცნებებს უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, რაც ხელ შეუწყობს მოსწავლეებში კავშირების დანახვას და გააზრებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: ისტორია, გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება, კულტურა, სპორტი და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-2024 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - მასწავლებლებთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლებისას მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში და საგნობრივი სასწავლო კურიკულუმის განხორციელებისას იმუშავებენ ამ მიმართულებით.
სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისა. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელის მიერ დაცულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები და კურიკულუმის ჩარჩო გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის VII- IX კლასებში. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები VII-IX კლასები

2. საზოგადოებრივი - ისტორიის,მოქალაქეობის,გეოგრაფიის კურიკულუმი;

3. სასწავლო პროექტები

4. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

5. **უცხო ენები:** საბაზო საფეხურის კურიკულუმი;

6. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა;

7. დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის კურიკულუმი;
8. დანართი N67 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
9. დანართი N71 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის მასწავლებლის პორტფოლიო;

10. **მათემატიკა**: კურიკულუმი

11. კომპლექსური დავალება

12. თემატური მატრიცა

13. მოსწავლის ნამუშევრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების დამატებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სამიზნე ცნებების სრულ დაფარვას. ***ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ კათედრაზე(ისტორია,მოქალაქეობა გეოგრაფია) შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები.
ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თააობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები. შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე, მოახდინოს დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით.
ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით **და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ,რიმ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საბაზოს საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მათემატიკა) კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ნამდვილად ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ხშირად ატარებენ ჯგუფურ მუშაობებს, ასევე გეგმავენ ისეთი ტიპის აქტივობებს, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ წყვილებში. შემდეგ მოსწავლეები სიტყვიერად აფასებენ საკუთარ თავს (თუ რა გამოუვიდათ კარგად და რა არა) და ერთმანეთს, რაც მნიშვნელოვანი სოციო-ემოციური მხარდაჭერისთვის. აღსანიშნავია, სასკოლო პროექტის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები დაწყებით საფეხურზე. ასეთი აქტივობების დროს მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. განმავითარებელი შეფასება ხდება SOLO ტაქსონომიის მიხედვით რომელიც იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარების გამოკვეთისა.რომლის საფუძველზეც მოსწავლეს ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები,რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წარმოდგენილ გრძელვადიან მიზნებს,მასწავლებლის მიერ გაკეთებული უკუკავშირი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესს, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმსაზღვრელი შეფასების მნიშვნელობაზე,მათთან საუბრისას გამოიკვეთა ,რომ აქვთ მზაობა შექმნან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ,რომელსაც გამოიყენებენ თემის შეჯამებისას ,ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების სამოქმედო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებულ თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მაგ: პოსტერი თემაზე „ დედამიწა საფრთხეშია“; ბლოგი თემაზე „თინეიჯერების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“; პრეზენტაცია თემაზე „ მნიშვნელოვანი ადამიანები და მათი დამსახურებები“; საუბარი თემაზე „ჩემი ქალაქის ისტორის, კულტურა და ტრადიციები“; სტატია თემაზე „ბუნებრივი კატასტროფები“ და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან -საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას- შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს, შესაბამის რუბრიკას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პროცესები მიმართულია ჰოლისტური განვითარებაზე და აღსანიშნავია, რომ აპირებენ მომავალ სასწავლო წელს დამატებით განმავთარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლა და შესაბამისად კათედრა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს იყენებს, თუმცა ფიქრობენ მეორე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდელის დანერგვაზე, რაც სამომავლო გეგმაა.ასე პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ მათ იციან თუ როგორ გარდაქმნან ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად: კრიტერიუმების დაკონკრეტება საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით; როგორ უნდა მოხდეს თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონის (მაგ, 1 ქულა, 2 ქულა და სხვა) მინიჭება; კათედრის წევრები მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია, აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევენ დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). ამრიგად, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე რუბრიკის ნიმუში მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პედაგოგები ჩართულები არიან ამ პროცესებში, იაზრებენ და ანიჭებენ შესაბამის ქულას. ამიტომაც, ვადასტურებ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებაზე; **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები,რომელთა გამოყენებაც ხდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს კათედრაზე შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა,რომელიც გამოიყენეს განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდგომ,სადაც კარგად ჩანს ჰოლისტური მიდგომა

უცხოური ენები - მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული დიაგნოსტიკური შეფასებაც ასევე ემსაურება შემდეგ პრინციპებს: ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა; მოსწავლეთა მუშაობის პროცესზე ეტაპობრივი დაკვირვება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა ხარვეზების გამოსწორების მიზნით

ესთეტიკური აღზრდა - 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. საბაზო საფეხურზე, კათედრის მიერ სასწავლო პროცესში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო აქტვობების განუყოფელი ნაწილია. მასწალებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს თუმცა არის ზოგადი. შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, რომელსაც ამუშავებენ კათედრაზე. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ 2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე პერიოდში შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება მოხდეს სავალდებულო თემების მიხედვით. ამ ეტაპზე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა მოხერხდა ერთი თემის ფარგლებში. 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება შეფასების რუბრიკების ბანკის შექმნა. მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში. ამ ეტაპზე სადიაგნოსტიკო წერის ჩატარების პრაქტიკა სკოლაში არ არსებობს. ზემოთ აღნიშნული ნაბიჯები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ პედაგოგები იძლევა იმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ასევე, წარმოდგენილი სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას პრეზენტაციისას, საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტულ საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთივის, შეფასება არის ვალიდური და გამჭირვალე. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს მხოლოდ 6 ქულიან შეფასებას, როგორც მასწავლებლები განმარტავენ, იგი მორგებულია მოსწავლის დადებით შეფასებაზე (5 დან ზემოთ), რასაც ემატება ის საბაზისო 4 უარყოფითი ქულა. სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შემუშავებული იყოს უფრო მეტი კონკრეტიკით. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ... შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების რუბრიკები არ არის წარმოდგენილი. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმებში სამომავლოდ მოიაზრებენ სამიზნე ცნებების და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებების. ინტერვიუს დროს მოსწავლეებელთა კომპეტენცია გვაძლევს საშუალებას, რომ **აღნიშნულ ინდიკიტრთან შესაბამისობა ავღნიშნოთ.**

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციი თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. თუმცა კათედრის დონეზე მასწავლებლები კონკრეტული მტკიცებულებები ან დასაბუთება, როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდენენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საბაზო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

სპორტი - მასწავლებელი ფლობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა, თუმცა ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში., რაც საშუალებას მისცემთ მოხდეს შეფასების შემოწმება და შესაბამისი მექანიზმების ამუშავება. ასევე გათვალისწინებული იქნება შეფასების გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი და ასახვა სამოქმედო გეგმაში.სკოლა ხედავს ამის საჭიროებას და აპირებს მომავალი სასწავლო წლიდან ამ მექანიზმის შექმნას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში (სასკოლო გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოზე) გათვალისწინებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ***ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - წარმოდგენილ, უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაში მოცემულია კათედრის მიერ შემუშავებული ვერიფიკაცია გულისხმობს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას, მოსწავლეთა შედეგენის ანალიზსა და მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის განსაზღვრას. სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს დაგეგმილი ვერიფიკაციის განხორციელების გზები. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქვთ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო ამის დადასტურება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში (სასკოლო გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოზე) გათვალისწინებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ***ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.***

სახელმწიფო ენა - ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არაადეკვატურია. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შეიმუშავებს სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს; ამ ეტაპისთვის დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში (სასკოლო გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოზე) გათვალისწინებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ***ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.***

მათემატიკა - წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით. სკოლის ფარგლებში იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციისა და განხორციელების მექანიზმის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი და ასახვა სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია

სპორტი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში, რის შესახებ ინფორმაცია არის სამ დღიანი ქოუჩინგის მუშაობის შედეგად შექმნილ დოკმენტში. რადგან სკოლა გეგმავს სასკოლო წერების ჩატარებას შესაბამისად მოხდება შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაციის შენახვა. სკლაში ვიზიტის დროს დირექტორის მოადგილემ, რომელიც არის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრი აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ექნებათ განსაზღვრული შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ვადები და პირობები. ***ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - ვინაიდან კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებასა და შეფასების ვერიფიკაციას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ასევე ახორციელებს მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დოკუმენტი „შეფასების სისტემის შესახებ“, სადაც განსაზღვრული იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის ვადა და პირობები. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონაცემებს ინახავენ 3 წელზე მეტი ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - სკოლაში გამოიყენება შეფასების განმსაზღვრელი პირველი მოდელი, განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებთ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებს. მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

სპორტი - საბაზო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უცხო ენები: საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
2. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
3. სახელმწიფო ენა: დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო კურიკულუმი;
4. დანართი N74 არაფორმალური აქტივობების ამსახველი ფოტომასალა;
5. დანართი N75 დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა
6. მათემატიკა: კურიკულუმები (7-9 კლასის მათემატიკაში)
7. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
8. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
10. სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესზე დაკვირვების საშუალება სასწავლო წლის დასრულების გამო ვერ მოხერხდა, თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **მასწავლებელებს შორის** არის კარგი **თანამშრომლობითი ურთიერთობები**, **გამოცდილების გაზიარება**, **გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებისა მათი საქმიანობის პროცესში**. **ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე**. ურთიერთობების და მიმღებლობის ღიაობა ნამდვილად დასტურდება საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს შორის. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში დაცულია თანასწორობის პრინციპი, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, წახალისების სხვადსხვა ფორმებს-ოლიმპიადებს, კონკურსებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილელია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის,მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.
ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სასწავლო კურიკულუმები მოსწავლის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა. მოსწავლის შეფასება განმავითარებელი კომენტარით ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მაჩვენებელია. კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოა, რადგან მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ ურთიერთმოსაზრებებს, თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე, იზიარებენ პასუხისმგებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები საუბრობდნენ სასწავლო პროცესის წარმართვისას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებაზე, გარკვეული პრობლემის გადაჭრისას, მოსწავლეების, სკოლისა საზოგადოების, მშობლების ჩართულობაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე.წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი რომ მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად ადასტურებს რამდენიმე გარემობა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები გარემოს დაცვის მიმართლებით, რომელიც სხვადასხვა საფეხურზე განხორციელდა და მასში ჩართლები იყვნენ საბუნებისმეტყველო საგნების სხვადასხვა საფეხურის კლასების პედაგოგებიც. ასევე ბიოლოგიის,ფიზიკის პედაგოგებს გააზრებული აქვთ და პრაქტიკაში ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლის მთავარი მიზანი მოსწავლეზე ორიენტირებულობაა. ***ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო თუ სათემო პროექტები მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს ,ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრმენეტებს, რათა დაინახონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეული მოსწავლის პროგრესი.მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - უცხოური ენის კათედრაზე თითქმის ყველა თემისთვის არის გათვალისწინებული კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი არაფორმალური განათლების ტიპის აქტივობის გათვალისწინება სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მიერ საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების განხორციელება, სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების გამოყენება. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული პროექტების განხორციელება უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - სასკოლო სასწავლო გეგმაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშორმლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სსიპ ქალაქ თბილისის N 159 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, როგორიცა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების ანგარიშები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ოქმები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კათედრის წევრებს შორის არის თანამშრომლობითი გარემო. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა პედაგოგების მიერ, რომ ყოველთვის ესაუბრებიან ერთმანეთს კომპლექსური დავალებების შედეგებზე. ***ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი) ,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი,,სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის,შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებშიმოქალაქეობა,ისტორია ,გეოგრაფია) წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს.
ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმიდან დგინდება, რომ კათედრის წარმომადგენლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედარეზე საკუთარი პრაქტიკის გაზიარებაზე, ურთიერთდახამარებაზე, ასევე საბაზო საფეხურზე გარკვეული პროექტების ერთად დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, ინტეგრირებულ პროექტებში სხვადასხვა საგნის პედაგოგების ჩართულობაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - კათედრის სხდომის ოქმებიდან, ასევე სამუშაო შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ კათედრის წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ატარებენ მასაწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი - სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის" მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დირექციასთან გასაუბრებისას და შემდეგ პედაგოგებთან გასაუბრებისას ჩანდა რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის იყო პოზიტიური გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი დამლაგებელი, მანდატური, ექიმი ყველას საქმიანობა მიმართულია პოზიტიური კლიმატის შექმნისკენ. ***ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებიდან კარგად ჩანს ძლიერი თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის .მაგ, მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - - მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ, ისინი ახერხებენ პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნას, კლასის დონეზე. თანასწავლების წახალისების მიზნით ითვალისწინებენ სხვადასხვა აქტივობებს საჭიროებიდან გამომდინარე. სასურველია კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რამდენად დაინტერესებულები, მოტივირებულები არიან საშუალო საფეხურის მოსწავლეები მათ გაკვეთილებზე, როგორი ენთუზიაზმით არიან ჩართულები გარკვეული პროექტების განხორციელების პროცესში, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კათედრა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე და ფიქსირდება აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**.

მათემატიკა - ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო, დაცულია თითოეული მოსწავლის უფლება, პედაგოგები ცდილობენ შექმნან მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა და განვითარება. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**.

სპორტი - სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებრივი: კურიკულუმი;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები
4. შეფასების მასალები;
5. სკოლის შინაგანაწესი
6. მშობელთა კრების ოქმები
7. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
8. **სახელმწიფო ენა:** დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
9. დანართი N20 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
10. დანართი N25 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი
11. **მათემატიკა:** სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12. კურიკულუმები
13. კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მიმდინარე პროცესშიც და სასწავლო წლის ბოლოს,. ამის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინდა კათედრის ოქმი, რომელშიც ერთ-ერთი საკითხი არის კურიკულუმების მონიტორინგი, გადახედვა. ამ ეტაპზე მტკიცებულების სახით მეთოლოგია არ წარმოუდგენია სკოლას, თუმცა გამოხატა მზაობა და მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინებენ. ასეთი რამ დასტურდება რესურსი 12-ში ასახული კოლეგების შეხვედრის ანალიზიდან და სასწავლო წლის ბოლო კათედრის ოქმიდან; ***ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში დაცულია თანასწორობის პრინციპი, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, წახალისების სხვადასხვა ფორმებს-ოლიმპიადებს, კონკურსებს. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის,მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას **ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ეტაპები. თუმცა დოკუმენტურად არ არის გაწერილი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. სასურველია გაიწეროს მათი განხორციელების მექანიზმები. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ აზრს, მსჯელობენ გარკვეული კომპლექსური დავალების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, რესურსების ვალიდურობაზე, ეფექტიანობაზე. აგრეთვე, მათ წარმოადგინეს, მტკიცებულების სახით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები, რომლებსაც, თავისთავად, გამოიყენებენ საბაზო საფეხურის კურიკულუმის მონიტორინგის ინსტრუმენტად. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. **ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასებული იყო - არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასდა როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა - მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ კათედრაზე აქვთ კურიკულუმის რევიზიის გამოცდილება, თუმცა ამის დამადასტურებელი მასალა არ აქვთ წარმოდგენილი. ასევე გამოთქვეს მზაობა რომ მომავალ სასწავლო წელსაც მასწავლებლები მოახდენენ კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით, ისინი აქტიურად ჩაერთვებიან მეთოდოლოგიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასებული იყო - არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასდა როგორც შესაბამისი.**

სპორტი - სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არ არის შემუშავებული, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში.
ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასებული იყო - არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდების დროს წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად ინდიკატორი 2.3.1.1. შეფასდა როგორც შესაბამისი.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, სასკოლო ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ პარალეურ კლასებში ყოველთვის ერთმანეთის მხარდაჭერით ამოწმებენ, რამდენად ეფექტურად წარიმართა პროცესი ამა თუ იმ კლასში ,ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებობს საგაკვეთილო დასწრების ჩანაწერი. წლის ბოლო კათედრის ოქმში არის შესაბამისი მტკიცებულება, რომ მოხდა კურიკულუმების გადახედვა და შეფასება, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. ***ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო თუ სათემო პროექტები მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მოსწალეთა საჭიროებების დადგენას, პრობლემების გამოკვეთასა და ხარვეზების აღმოფხვრას უკეთესი შედეგის მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა, თუმცა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გათავისებული აქვთ მონიტორინგის შედეგების მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის კუთხით, რაც განსაზღვრავს სამომავლო ინტერვენციების ხასიათს და მიზნებს, მაგ. რამდენად ჩართული იყო საკოლო საზოგადოება გარკვეულ პროექტში და რა იყო ჩართულობის ამა თუ იმ ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ **ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**.

მათემატიკა - ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთბოლივად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებში, ასევე გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**.

სპორტი - სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის წევრების შეხვედრისას (წარმოდგენილი წლის ბოლო ოქმი) დასტურდება, რომ იკვეთება კურიკულუმების ძიერი და სუსტი მხარეები, რაც გაუმჯობესების გარანტიაა. სასკოლო ვიზიტის დროს დაწყებითების კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ გააზრებული აქვთ კურიკულუმების გაუმჯობესების აუცილებლობა, რომ არსებული ფორმით კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის პრობლემა კათედრისთვის და შესაბამისად და მომავალ სასწავლო წელს განახლებული კურიკულუმების წარდგენა იქნება პრობლემის გადაჭრის საშუალება. ***ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი) ,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი,,სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ამლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის,შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში(მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. **ინდიკატორი2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება, რომელიც განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასების გზით, მიზნად ისახავს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას ხარვეზების გამოსწორების მიზნით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა, თუმცა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზის/საშუალების ძიების პროცესში. სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის, შეფასების შედეგების ანალიზის დანერგვას და მისი მეშვეობით გარკვეული დასკვნების გაკეთებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ **ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - კათედრებისა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მასწავლებლები კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით იკვლევენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. **ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.

2. **სახელმწიფო ენა:** დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. დანართი N 76 დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
4. დანართი N78 დაწყებითი კლასების კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს; E
5. **მათემატიკა:** სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6.Eსაკოლო კურიკულუმი
7. მშობელთა კრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია, რომ სკოლა იყენებს ესგ-ს მიხედვით შეფასების სისტემის პირველ მოდელს. აღსანიშანვია, რომ ბიოლოგიი, ქიმის და ფიზიკის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განამვითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ასევე ამ მიმართლებით პედაგოგეგბმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ ამ მიმართულებით გაუმჯობესებას და რუბრიკების გამრავალფეროვნებას; ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ,ისე სასკოლო დონეზე,რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ ,რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი,ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი. ამ მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასება; მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლის განსაზღვრა. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და სათანადოდ აღინიშნება მოცემულ **ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ,რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, თუმცა სათანადოდ ვერ დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

მათემატიკა - სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება სოლო ტაქსონომიით, დიფერენცირებული დავალების შეფასების ანალიზი, შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სხვა, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესის შესაფასებლად. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

სპორტი - საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ამ მიმართულებით პედაგოგები აუმჯობესებენ პრაქტიკას, რაც პირველ რიგში გამიხატება მრავალფეროვანი დავალებებში . ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლას არ ქონდა ცალკე ლაბორატორია, თუმცა რესურსრსების შესანახი ოთახი აქვთ და იყენებენ შესაბამის რესურსებს. კომპლექსური დავალებების პრაქტიკა საშუალებას იძლევა შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ***ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. . ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასება ორიენტირებულია ისე, რომ მოხდეს მოსწავლეთა შეფასება ინდივიდულაურად მის შესაძლებლობებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკ**მაყოფილებულია.

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას**;** მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და განსაზღვრავს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლს. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი მექანიზმი სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ ინფორმაციის შეგროვება და შეფასება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინი-სპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გვაძლევს სრულყოფილ სურათს.

სპორტი - სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდასა და სპორტსი საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით მოსწავლეთა შეფასება, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები დაწყებითების კათედრაზე არ არის წარმოდგენილი, თუმცა დოკუმენტი რესურსი 12-ში აღწერილია, რომ კათედრა უზრუნველყოფს მომავალ სასწავლო წელს სასკოლო წერების ჩატარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლა 2022-20223 სასწავლო წელს იყენებდა შეფასების პირველ მოდელს .დაწყებით საფეხურზე საგან მე და საზოაგდოებაში გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასება,ხოლო საგან ჩვენ საქართველოში 5 კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელი შეფასება,მეორე სემესტრიდან და 6 კლასში განმსაზღვრელი შეეფასება.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს მათ მირ შექმნილი განხორციელებული კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას**;** მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და განსაზღვრავს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლს.

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ისეთები როგორიცაა მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება სხვადასხვა რუბრიკებით, უშულად მოსწალეების მიერ აქტივობების განხორციელებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება და ა.შ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა - როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით სკოლა ახდენს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ ხდება მისი დოკუმენტირება და არც წარმდგენილ დოკუმენტაციაში არის ნაჩვენები მონაცემთა მოპოვების რომელ მეთოდებს იყენებენ. გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ მოახდენენ შეფასების მიზნით მიღებული მონაცემების ანალიზს და ოფიციალური ჩანაწერების გაკეთებას. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღიშნეს,რომ სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით მინდა ავღნიშნო სსსმ მოსწავლეთა შეფასებისას ფსიქოლოგის და სპეც მასწავლებლის ჩართულობა, რაც მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს და პედაგოგები ახორციელებენ ამ ფაქტორების გათვალისწინებას, ასევე სასკოლო ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის უწევთ მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროების გათვალისწინება. ***ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების სისტება აუცილებლად უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და ამის უზრუნველსაყოფად მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებლი აკეთებს სისტემატიურ ჩანაწერს მოსწავლეზე, იყენებენ სხვადსხვა აქტივობების შეფასების რუბრიკებს. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ავსებენ თავისი შვილების საინფორმაციო ანკეტას, ‘’ჩემი შვილი’’, მისი შვილის თავისებურებების შესახებ, რომელსაც თითოეული მასწავლებელი იყენებს და ითვალისწინებს. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვას.
ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგს ახორციელებს სადიაგნოსტიკო შეფასებით. მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელებას უზრუნველყოფს კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი თემები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა - პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებს.

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა შეფასების დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა
2. **სახელმწიფო ენა:** დანართი N9 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
3. დანართი N80 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო პროექტი
4. **მათემატიკა:** სასკოლო სასწავლო გეგმა
5. შეფასების რუბრიკები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებთან მიმართებაში აღსანშნავია, რომ წლის ბოლოს და ასე მიმდინარე პროცესში ამოწმებენ, ცვლიან, აუმჯობესებენ კურიკულუმებს, მოცემული თემების შესაბამისად აუმჯობესებენ კომპლექსურ დავალებებს, ეს ყოველივე კოლეგების ურთიერთ შეთანხმებით ხორციელდება. აღსანშანვია, რომ კათედრის წლის ბოლო ოქმში არის საკითხი კურიკულუმების რევიზიასთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი შექმნილი ჯერჯერობით არ აქვთ. ***ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით, სადიაგნოსტიკო შეფასებით, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენით. ხდება ხარვეზების გამოვლენა და მასზე რეაგირება. ***ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია;***

ესთეტიკური აღზრდა - ასეთი საბუთი არ მოიძებნა, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. სათანადოდ აღინიშნება **მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SVOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას. ***ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია***

მათემატიკა - სკოლას არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად

ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები მუშაობენ, რომ შეიმუშაონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში გაითვალისწინებენ, შეიქმნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განხორციელების თითოეული ეტაპი. ***ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.***

სპორტი - სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. ***ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია***

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.აღსანიშნავია, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის აპირებენ გაითვალისწინონ წლევანდელი სასწავლო წლის გამოცდილება, გაიაზრებენ პრობლემებს და გააუმჯობესებენ პრაქტიკას. ეს ყოველივე აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ ეტაპზე გადამუშავებული კურიკულუმები სკოლას ვერ ექნება წარმოდგენილი, რადგან ახალი სასწავლო წლისთვის მოხდება ამის მომზადება. ***ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია;***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში მონიტორინგის შედეგად პრობლემის გადაჭრის საშუალებები მოცემულია რამდენიმე ასპექტში. კერძოდ: სსსმ მოსწავლესთან და შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების შედეგად დანახული მიზნებები აისახება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიაში. ამ მიზნით კათედრის წევრები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

ესთეტიკური აღზრდა - ასეთი საბუთი არ მოიძებნა., თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის, წინარე გამოცდილების და შეფასესები შედეგების ანალიზის საფუძველზე, გეგმავენ კურიკულუმის გადამუშევებული ვერსიის შექმნას. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა. ***ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია;***

სახელმწიფო ენა - კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინები. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ***ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია;***

მათემატიკა - პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ***ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია;***

სპორტი - სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. ***ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია;***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. **უცხო ენები:** 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
3. **სახელმწიფო ენა:** დანართი N79 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლი საფეხურის კურიკულუმი;
4. დანართი N80 სასკოლო სასწავლო პროექტი;
5. დანართი N81 .კომპლექსური დავალება;
6. დანართი N63 უკრაინელი ბავშვების სოლიდარობის აქციის რეპორტაჟის ლინკი; დანართი N62 2022 წლის 1 ივნისის საქველმოქმედო აქციის რეპორტაჟის ლინკი;
7. სასკოლო სასწავლო გეგმა
8. კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლის მიერ მოწოდებულია ჩანაწერების ფაილი სახელწოდებით ,,რესურსი 12', (სამდღიანი ქოუჩინგის მუშაობის ანგარიში), რომელშიც ასახულია ინფორმაცია, რომ საბუნებისმეტყველო კათედრაზე, მოხდა კოლეგების მიერ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარება და თანმშრომლობა, გარკვეულ საკითხებზე შეჯერება და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით არის ასევე ჩანაწერი. მაგ: რომ მომავალ სასწ. წელს აპირებენ მეტი კომპლექსური დავალების განხორციელებას, შეფასების სისტემის ცვლილებას, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, სადიაგნოსტიკო წერების შემოღებას და დანერგვას მომავალი სასწავლო წლიდან. ასევე მომავალ წელს გეგმავენ სასკოლო წერების შემღებას. **ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები -უცხოური ენების კათედრამ წარმოადინა კათედრის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაძლებელია მივიჩნიოთ როგორც მეთოდოლოგია, რადგან იგი იძლევა საშუალებას დავინახოთ კათედრა კურიკულუმის შემუშავების პროცესში რას და როგორ აკეთებს, როგორ აკონტროლებს და აფასებს, რომ მიზანი მიღწეულია. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე)ინტერესების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. პასუხობს, გამოწვევებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების მოთხოვნებს უკავშირდება.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა - სკოლას სასკოლო დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. არც კათედრის დონეზე მომხდარა მსგავსი ტიპის დოკუმენტის შემუშავება. ამ სახის ინფორმაცია ირიბად იკითხება წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში. მაგ; სასკოლო გეგმაში, ხარისხის მართვისა და განვითარების და კათედრის ოქმებში. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობას, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. საბაზო კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა -კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს, მაგრამ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმიდან, კათედრის მშობელთა კრების ოქმებიდან გამოჩნდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვა-ლისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, პედაგოგები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, სამომავლოდ კი გეგმავენ შექმნან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მასში მკაფიოდ გაწერონ მონაწილეთა როლი და ჩართულობის ხარისხი. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი -კონკრეტულად გაწერილი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია ვერ ვნახე, თუმცა ინტერვიუს დროს, აღმჩნდა რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).კურიკულუმში ასახული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი 2.1.1.1. შეფასებული იყო, როგორც არ არის დაკმაყოფილებული. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის მოწოდებისას წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია შესაბამისად ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმების ჩარჩო და შედეგების ანალიზის დოკუმენტი (რესურსი 12), რომელშიც ჩანს, რომ მოხდა კათედრის წევრების შეკრება და შესაბამისად ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტში გაწერილია, რომ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას მოახდენენ კათედრაზე ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე , რაც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმების შემუშავების პროცესში. საგნის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენაში. მაგ: კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე აკეთებენ სიტყვიერ გამოკითხვას: რა მოეწონათ, რას გააუმჯობესებდნენ და რამდენად იყო მათთვის ამ დავალებაზე მუშაობა საინტერესო. თუმცა შესაბამისი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, მხოლოდ სიტყვიერად არის აღნიშნული, რომ მომავალი სასწავლო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. ასევე მოწოდებულ დოკუმენტაციაში არის მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების განრიგი, რის შესახებაც კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს, გაკვეთილზე გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ კოლეგები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, მასწ. აკეთებს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიასაც, რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი კათედრის (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულიმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.კურიკულუმზე მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნა თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, აღნიშნულ პროცესებში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია. დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. მშობლების ინტერესების გათვასალისწინებლად სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი ინსტრუმენტი-მშობლები ავსებენ კითხვარებს. კითხვარების საფუძველზე ხდება მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით,მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. სკოლას აქვს დამატებითი მომსახურება სხვადსხვა წრეების სახით-გახანგრძლივებულის წრე, ცეკვისა და ხალხური სიმღერების წრე. , მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა,მაგ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით მასწავლებლები იყენებენ იდეების ყუთს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ სკოლაში განხორციელდა პროექტი „გავხდეთ ბუნების მეგობრები“,რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი საშუალო საფეხურის მოსწავლეები, სადამრიგებლო პროგრამაში ჩაშენებულია პროექტით დაგეგმილი აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -წარმოდგენილი კათედრის სამოქმედო გეგმით, რომელშიც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავება, განვითარება, მონიტორინგისა და ვერიფიკაციის გზები, დგინდება, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა პრიორიტეტები და მასწავლებელთა მოსაზრებები. ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და პრიორიტეტები. კერძოდ, წინარე ცოდნა, მოსწავლის/კლასის ინდივიდუალური შესაძლებლობები, რესურსები, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას; **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერიუშე გაირკვა, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების იდეების და კონტექსტ-მაგალითების შერჩევის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. სტანდარტის მოთხოვნები ინდიკატორთან მიმართებით არის **შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა -სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა -როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან , სხვა დოკუმენტაციებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები;

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ კათედრის წევრები. (დოკუმენტი - რესურსი 12); სადაც ჩანს, თუ რომ 2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე პერიოდში იგეგმება შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება სავალდებულო თემების მიხედვით. ამ ეტაპზე არის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც გაანალიზებული აქვთ კათედრის წევრებს და აპირებენ მოსწავლეთა შედეგების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის ანგარიში, რომელშიც არის ჩანაწერი, რომ ყველა კლასში ყველა საგნის პედაგოგმა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავა თემატური გეგმები. ასევე აღნიშნულია კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობაზე , ასეთი შეხვედრა ემსახურება კურიკულუმის როგორც მოსწავლის სწავლის პროცესის განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასკოლო კურიკულუმი მუშავდება საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია,მოქალაქეობა,გეოგრაფია)კათედრაზე,შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მასწავლებლები,განიხილავენ და ითვალისწინებენ თითოეულის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს .**ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია კათედრის წევრთა მაქსიმალური ჩართულობით. კათედრაზე მსჯელობისა და განხილვის შედეგად, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა თემის ფარგლებში ჩაეშენებიათ ერთი კომპლექსური დავალება (შუალედური სასწავლო მიზანი), ვინაიდან პარალელური კლასების. მასწავლებლებს მიეცეთ საშუალება აირჩიონ მისთვის სასურველი კომპლექსური დავალება. ფუნქციების გადანაწილების მსგავსი მოდელი მათ კომპლექსური დავალებების განხორციელების რეალურ შესაძლებლობას აძლევთ. კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც იქნება წარმატებული და გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საფუძველი გახდება, შეტანილი იქნება სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებს. ინდიკატორტან მიმართებით არის **შესაბამისობაში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე, კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. კურიკულუმი ჩარჩოში არ არის გამოკვეთილი გრეძლვადიანი მიზნები. საუბრობენ, რომ შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. არ არის ჩაშენებული შუალედური მიზანები, თუმცა მასწავლებელებმა აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავოს შუალედური მიზნებით. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -ინტერვიუდან გაირკვა , რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა მასწავლებელი, კერძოდ, პარალელური კლასების მასწავლებლები ერთობლივად განსაზღვრავდნენ დასამუშავებელი თემების, საკითხების, რესურსების, დავალებების ჩამონათვალს. შემდგომ ეტაპზე, შემუშავებული კურიკულუმის განხილვა მოხდა კათედრაზე. დირექციას მიეწოდა ინფორმაციას სასწავლო წელს განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობის შესახებ. მომავალში კი სკოლა გეგმავს აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტები დასამტკიცებლად წარუდგინოს პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. **ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ მოწოდებულია კათედრის ანგარიში, რომელშიც ჩანს რომ კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესის ირგვლივ დადებით და უარყოფით კონტექსტებს. ასევე სკოლას აქვს ე.წ. დოკუმენტი მშობელთა კრების ოქმი N1 - 10.10.2022 დღის წესრიგი: სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო პროგრამების, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების გაცნობა სხვადსხვა საგნის პედაგოგებთან შეხვედრა. ეს დოკუმენტი ადასტურებს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შემუშავებული კურიკულუმი განიხილება საზოგადოებრივი კათედრის მიერ ,სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მშობლებთან კომუნიკაციისათვის იყენებენ კითხვარს. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილება. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო თემი ინფორმირებულია საგნობრივი კურიკულუმების შესახებ. წლის დასაწყისში დამრიგებელი მშობლებს უგზავნის წლის განმავლობაში ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების შესახებ ინფორმაციას მშობლის ბარათების საშუალებით, ასევე ინფორმცია მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელით, პირადი შეხვედრებით, საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams). **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - წარმოდგენილ კათედრის სამოქმედო გეგმაში არ არის აღწერილი კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოებისთვის კურიკულუმის ჩარჩოს გაზიარება მოხდება სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ სასკოლო საჭიროების მიხედვით პროექტების დეგეგმვა, პროექტებში სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა, პროექტის პრეზენტაციის დროს. ინდიკატორტან მიმართებით არის **შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა - კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. ასევე სკოლის ცალკეული მასწავლებელი გვევლინება მშობლის სტატუსით. კოლეგები მათ აწვდიან შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას საბაზო კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი მეტწილად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით და სკოლის სოციალურ გვერდზე და ვებგვერდზე ვრცელდება ინფორმაცია კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ. სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ყოველდღიურად ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. **ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 3 დღიანი ჰოუჩინგის ანგარიში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა,ე.წ. ,,რესურსი 12') დაწყებითი კათედრის წლის ბოლო ანგარიში, მშობელთა კრების ოქმი N1კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში;
- მშობელთა კრების ოქმები
- სასწავლო ნაწილის ანგარიში
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის კურიკულუმი;
- დანართი N24 კათედრების სხდომის ოქმი ;
- დანართი N15 ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმი;
- მშობელთა კრების ოქმი;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში (კურიკულუმის ჩარჩო ბიოლოგია, ქიმია , ფიზიკა X კლასები. თემები დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რადგან გათვალისწინებულია მრავალფეროვანი დავალებები კომპლექსური დავალებების სახით (რაც მოსწავლის ცალსახა ჩართულობას მოითხოვს); კურიკულუმში ასახულია შუალედური მიზნები, გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებებთან კავშირი; **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია,მოქალაქეობა და გეოგრაფია) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საგნის კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახთ). ისტორიის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები, ინტერვიურების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ მოქალაქეობის კურიკულუმში ასახული საკითხთა კლასტერების სწავლება მოიაზრება კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებით, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ინტერესებზე. სკოლას ასევე აქვს გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის და კომპლექსური ბუნების დავალებების ადაპტირების, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამება. **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად, მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი. **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკაში, თუმცა მტკიცებულებების სახით არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და ასევე არ აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ 2022-2023 წელს სასწავლო პროექტი ხორციელდება მუსიკაში მეათე კლასში. პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებული იყო მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექტებსა და პირად გამოცდიებაზე. სკოლამ ჩართულია პროექტში კუტურული მემკვიდრეობა, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნა მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგიმილი იქნა მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. ელოდებიან მე-11 კლასის სახელმძღვანელოს, ამიტომაც ამ კლასის კურიკულუმის ჩარჩო არ იყო წარმოდგენილი. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითა-რების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სპორტი -სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10 კლასის წარმოდგენილი კურიკულუმი შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ესგ გრძელვადიან მიზნებს. (იხ. კურიკულუმების ჩარჩო) მაგ: მე-10 კლასში ქიმიის საგნის კურიკულუმში ჩადებულია კომპლექსური დავალება (კონტექსტ მაგალითი -საკვების ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრა კალორიმეტრული მეთოდით,. თემა - ქიმიური კინეტიკა დამუშავებულია სამიზნე ცნება: ქიმიური ბმა; ქვეცნება - სითბური ეფექტი ბმის ენერგია ნივთიერების რაოდენობრივი მახასიათებლები. ასეთი ტიპის დავალება მიმართულია შედეგზე და შესაბამისად მოსწავლე შეძლებს სამიზნე ცნების შესაბამისად შედეგზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასვლას; ასეთი მიმართებები ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შექმნილი კურიკულუმები(ისტორია ,მოქალაქეობა,გეოგრაფია) მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. შერჩეულია შუალედური მიზნები,ცნებათა იერარქიის დაცვით ,რაც ხელშემწყობია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად,მასწავლებლთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სავარაუდო აქტივობები , რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში განვითარდეს XXI საუკუნის ისეთი უნარები , როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. მასწავლებლები ითვალისწინებენ და ადგენენ, მოსწავლის განვითარების უახლოეს ზონას და შესაბამისად გეგმავენ აქტივობებს ,რათა მოსწავლე აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და ურთიერთდაკავშირებულად გამოიყენოს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - საშუალო საფეხურის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს)თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. საშუალო საფეხურის კურიკულუმში ყველა თემაზე ინტეგრირებულია კომპლექსური ტიპის დავალებები. კერძოდ: ინგლისური ენა X-XII კლასები, რუსული ენა X-XII კლასები, გერმანული ენა X კლასი, ფრანგული ენა X კლასი. რაც გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს განხორციელებულ პროექტზე, მათი მსჯელობიდან გამოიკვეთა ის, რომ აღნიშნული პროექტი და სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი „კულტურული მრკვიდრეობა“ ხელს უწყობს მოსწავლეები მიერ სამიზნე ცნებების გააზრებას, ფუნქციური უნარებს გამომუშავებას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა**

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

სპორტი -წარმოგდენილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას ჰყავს სპეც მასწავლებელი, რომლებიც პედაგოგებთან ერთად მუშაობენ. საგნების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჯგუფური სამუშაოების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ჯგუფების დაკომპლექტებისას ახდენენ დიფერენცირებას, ასევე კონკრეტული მოსწავლეებისთვის მიუციათ დიფერენცირებული დავალებები. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური მუშაობების შესახებ მატერიალური სახით არ არის მოწოდებული შესაბამისი მტკიცებულება; **ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდეგნილი დოკუმენტაციისადა მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა ,რომ ითვალისწინებენ დიფერენცირენულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთ აქტივობებს (მაგ.კითხვა-პასუხი.დამოუკიდებელი სამუშაო და სხვ.სადაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა,აგრეთვე სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი,რომლის მიზანიცაა სსსმ მოსწავლეებისათვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნა და სწავლა-სწავლების პროცესში მაქსიმალური ჩართულობა.ს სსმ მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლაში მიმდინარე პროექტებში,სასწავლო წლის დასწაყისში სკოლა ადგენს ინდ.გეგმებს,მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ თავიანთ კურიკულუმებში მოდიფიცირებას გაუკეთებენ კომპლექსურ დავალებებს,თანამშრომლობენ სპეცმასწავლებლებთან ,ერთობლივად არჩევენ რესურსებს სსსმ მოსწავლეებისათვის და ადგენენ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - 2022-2023 საწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების სპეციფიკა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და შედგენის პროცედურები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების რეგულაციები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს ამ მიმართულებით პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები. სასურველია, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება ხორციელდებოდეს არა მარტო სსსმ, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეებთან მიმართებითაც. **ინდიკატორი2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს განხორციელებულ პროექტზე, მათი მსჯელობიდან გამოიკვეთა ის, რომ აღნიშნული პროექტი და სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი „კულტურული მრკვიდრეობა“ ხელს უწყობს მოსწავლეები მიერ სამიზნე ცნებების გააზრებას, ფუნქციური უნარებს გამომუშავებას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას. **ინდიკატორი2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა - მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების ერთწლიანი გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქალაქ თბილისის N 159 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბიოლოგიის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია და წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. სკოლაში პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იყენებენ მხოლოდ სიტყვიერ განამავითარებელ კომენტარებს, რომელიც ასახულია ელექტრონულ ჟურნალში .ქიმიის მასწავლებლების მიერ მოწოდებულია თემა: პოლიმერების ფარგლებში შემუშავებული შეფასებასთან დაკავშირებული მოლოდინების განსაზღვრის დოკუმენტი, რომელშიც არის ჩანს, თუ რა უნდა შეძლოს ან იცოდეს მოსწავლემ. თუმცა გასაუბრებისას აღინიშნა, პედაგოგების მიერ, რომ აპირებენ მომავალი სასწავლო წლისთვის რუბრიკების გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაკამყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - -საზოგადოებრივ კათედრაზე საშუალო საფეხურზე(ისტორია,მოქალაქეობა,გეოგრაფია) გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება.სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობით და სასკოლო სასწავლო გეგმით დასტურდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების მრავლფეროვანი რუბრიკები, რომელიც ორიენტირებულია ცალკეული აქტივობების განხორციელების შეფასებაზე, ხოლო კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით განხორციელდება განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმით და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი და შედეგების გაუმჯობესების საშუალებაა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,იძლევა შესაძლებლობას რომ დავინახოთ შეფასება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ ,იგეგმება თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიმართებით განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების, სკოლის მიერ წარმოდგენილი ,აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მათ აქვთ მზაობა შექმნან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გვაჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იგი მჭიდრო კორელაციას გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის, თუმცა იგი წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლით გათვალისწინებული განმსაზღვრელი შეფასების სწავლების მეორე მოდელისთვის, რაც ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სემესტრული შეფასებისას მხოლოდ (ერთი თემის ფარგლებში) შემაჯამებელი დავალებების ქულების გათვალისწინებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინტერვიუსას, უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებმა განმარტეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეფასების, სწორედ ამ ვარიანტის არჩევას გეგმავენ. უფრო ნათელი სურათისთვის, სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს განმავითარებელი და გამნსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ცალკე, კონკრეტულად საშუალო საფეხურისთვის. **ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული, შემოქმედებიით პროდუქტები და მათი შეფასება ამ ინდიკატორთან მიმართებით მსჯელობა ძნელია. თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პროექტში მონაწილე მოსწავლეები შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით, ასევე პროექტის მსვლელობისას ისინი ყველა გაკვეთილზე მოსწავლეებს აძლევდნენ განმავითარებელ კომენტარს, რომლებიც ეხმარებოდათ მოსწავლეებს პროგსების საწარმოებლად. ყოველივე ზემოთქმულით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს **და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურზე არ იყო წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს მცირე უზუსტობებით, მაგრამ საბოლოო ჯამში ჩამოაყალიბეს ხედვა, როგორ ესახებათ განვავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე. რომელიც მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *კათედრას სამუშაო აქვს* განმსაზღვრელი შეფასების კუთხით. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *რაც შეეხება მოსწავლების მიღწევები* ფასდება, *როგორც განმავითარებელი ისე* განმსაზღვრელი შეფასებით. არ არის მითითებული როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი, ასევე საშინაო დავალებისა და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის, ასევე შეფასების სქემა კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით სადაც ნამდვილად ჩანს რომ განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოადგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის დონის განსაზღვრისთვის და აკვირდებიან მოსწავლის განვითარების დინამიკას. **ინდიკატორი2.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები არის ზოგადი. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტში შეფასების რუბრიკები რომელიც იქნება გაწერილი თემების მიედვით.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისთვის კათედრის წევრები შეიკრიბნენ, შეიმუშავეს შესაბამისი დოკუმენტი (რესურსი 12) სამდღიანი ქოუჩინგის ანგარიში, რომელშიც არის ასახული ინფორმაცია, თუ რა ეტაპზე არიან ამჯერად (მაგ: კომპლექსური დავალებები უკვე შემუშავების პროცესშია და რას აპირებენ რომ უფრო მეტი დავალება შესთავაზონ მოსწავლეებს, . ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩვენს ხელთ არის მოწოდებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წლის ბოლო შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც არის ინფორმაცია, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თუ როგორ, რა შედეგები დაიდო მოსწავლეთა მხრიდან. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, გაითვალისწინებენ წლევანდელი სასწავლო წლის გამოცდილებას და დაგეგმავენ შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწყებითების კათედრამ წარმოადგინა ანგარიში, თითოეული კლასის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მღწევების შესახებ. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წინარე გამოცდილების ანალიზისათვის იყენებენ შემდეგ აქტივობებ-შესასვლელი ბარათები,კარგი სკოლის სადიაგნოსტიკო ტესტები,მასწვლებელთა მიერ შედგენილი კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტესტ-მაგალითები , რაც იძლევა შესაძლებლობას დავინახოთ როგორ ააქტიურებენ წინარე ცოდნას და ქმნიან საფუძველს მოსწავლეებში ახალი ცოდნის მიღებასა და სიღრმისეულ გააზრებაზე.ინტერვიუს დროს ნათლად გამოჩნდა მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ თავიანთი მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - წარმოდგენილ დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნა კეთედრის წევრების თანამშრომლობითა და ჩართულობით, კურიკულუმის აგება მოახდინეს ისეთი თემების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს. კათედრის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით ასევე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შედგენა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის პროგრამა, ხოლო, საკითხების შერჩევა იმავე კლასის სხვა საგნების თემატიკიდან გამომდინარე, რათა გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სავალდებულო პროექტის და აგრეთვე პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. ამის მტკიცებულება წარმოდგენილია პროექტ „კულტურულ მეკვდრეობაში“, თუმცა საალდებულო პროექტის ფარგლებში კათედრას არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, **დგინდება ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა -მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების , შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას.

სპორტი - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობის კურიკულუმი
- სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი
- სასწავლო ნაწილის ანგარიში
- განხორციელებლი კომპლექსური დავალებები
- განმავითარებეკლი შეფასების რუბრიკები
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის კურიკულუმი;
- დანართი N67 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
- დანართი N71 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის მასწავლებლის პორტფოლიო;
- დანართი N11 ინდ. გეგმა
- დანართი N 9 ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები (10 და 12 კლ)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (10-12 კლასისთვის)
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ისგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას ადასტურებს სასკოლო პროექტი ესგ პრიორიტეტული თემის შესაბამისად ,,გარემოს დაცვა", რომელსაც ახორციელებდა პროექტის მართვის ჯგუფი, პროექტს ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი.

- ასე საგნის ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ცალსახად საჭიროებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქედებით პროცესებში ჩართვას. მაგ: ფიზიკის მიმართულებით იგეგმება მოდელების და ხელსაწყოების აწყობა;
- აღსანიშნავია, რომ პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ აქტიურად იმუშავეს თსუ უნივერსიტეტთან, დაგეგმილი და განხორციელებულია ვიზიტი ლაბორატორიებში, ამ ფაქტს ადასტურებს სკოლის მიერ მოწოდებული ფოტო მასალა.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის(ისტორია,მოქალაქეობა და გეოგრაფია) წარმოდგენილი კურიკულმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალების იდეებით მიხედვით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ,რომ აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში, სასკოლო პროექტებში მონაწილეობა და სკოლაში არსებული სხვადასხვა წრეები მოსწავლეებს შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განაპირობებს. **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრამ, მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების საშუალო საფეხურზე, თითქმის ყველა თემისთვის გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული ტიპის დავალებები. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქედებით პროცესშია ჩართული.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, თუმცა რა შემოქმედებითი პროდუქტები შექმნეს, ამის მასალა არ არის წარმოდგენილი. სათანადო მტკიცებლება წარმოდგენილია „კულტურული მემკვიდრეობის“ პროექტის ფარგლებში, სადაც იკვეთება მოსწავლეთა აქტიური, შემოქმედებითი ჩართულობა სათანადო აქტივობებში. **ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - კათედრის მიერ საფეხურის დონეზე წარმოდგენილი კურიკულუმები ჩარჩოების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გასაუბრებისას მასწავლებლები გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ავტორიზაციის თვითშევასების კითხვარში მიუთითებენ, რომ ამისთვის გეგმავენ პროექტული სწავლების გაძლიერებას.

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში და სასკოლო პროექტში ჩანს, რომ დავალება იძლევა საშუალებას მოსწავლე ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში და განუვითარდეს შესაბამისი უნარები. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -10 კლასის საშუალო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია პრაქტიკული შინაარსის თემები. თემის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი გეგმავს შიდა სასკოლო ფესტივალს. ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კომლექსური დავალებები, რომლებსაც ახორციელებენ საბუნებისმეტყველო საგნებში, ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, რადგან კომპლექსური დავალების მატრიცებში არის სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც წინარე ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

საზოგადოებრივი კათედრის საშუალო საფეხურის მასწავლებლები(ისტორია,მოქალაქეობადა გეოგრაფია) დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად (მაგ. სადიაგნოსტიკო ტესტი, შესავლელი ბილეთები, შემაჯამებელი კითხვარი,) მოსწავლეთა გამოცდილების გათვალისწინება ასახულია , მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე მორგებულ საგნობრივი კურუკულუმებში, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემები,შერჩეულია საკითხთა კლასტერი და სამიზნე ცნებების მიხედვით წარმოდგენილია ,კომპლექსური დავალებები, კურიკულუმში არსებული კონტექსტ-მაგალითები და შედარება მაგალითები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ცოდნის გაღრმავებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.კურიკულუმში იდეის დონეზე ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების კონკრეტული პროდუქტი,რაც მოსწავლემ უნდა შექმნას, პროდუქტები ისეა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილება. საკითხებისა და ქვესაკითხების სახით შექმნილი ჩარჩო კი ხელს უწყობს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ასევე, უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ პერიოდულად განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის შედეგების ანალიზის მიხედვით მოხდება მოსწავლეთა არსებული ცოდნის იდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების განხორიცელება არსებულ კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა -სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმეტაცია არ აქვს წარმოდგენილი, არ აქვს აგრეთვე წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თუმცა ინტევიუს დროს მასწავლებლები მსჯელობდნენ, რომ იგივე პროექტის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ მოსწავლეების მიერ იმ ათვსებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ სათანადო პროექტებს განხორციელებაში. ახალი ცოდნის კონსტრუირება საშუალო საფეხურზე ხორციელდება წინარე **ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა - მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება სარეკომენდაციო თემების ფარგლებში.. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მიერ და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სწავლის სწავლა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს. სწავლის სწავლას აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური. სწორედ ამ ორივე კომპონენტისკენ არის მიმართული საგნობრივ კურიკულუმებში ჩადებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხორციელება მოსწავლისთვის როგორც გონებრივი, ასევე ემოციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურება; პედაგოგებთან გასაუბრების დროს სწორედ ამ ფაქტორზე გააკეთეს მასწავლებლებმა აქცენტი, რომ მოსწავლეები თავად აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, საუბრობენ როგორ განახორციელეს ესა თუ ის დავალება, რა სირთულეებს გადააწყდნენ და ა.შ. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია,მოქალაქეობა,გეოგრაფია) სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარის და მასწავლებელთა ინტერვიურების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები -კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელება დაგეგმილია უცხოური ენების კათედრაზე შემავალი ყველა უცხოური ენისთვის, თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს თუ როგორ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად; წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა ითვალისწინებს სქემებისა და დიაგრამების აგებას სწავლის თუ საბოლოო პროდუქტის მომზადების პროცესში. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაჟღერდა 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები. შესრულებული პროექტისა და ამ სამომავლო გეგმების ანალიზის საფუძველზე **სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისობაში.**

სახელმწიფო ენა -მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა). **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. მასწავლებელთან იტერვიუს დროდ დასტურდება, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესზე დაკვირვების საშუალება არ გვქონია, თუმცა შესაძლებელია ვიმსჯელოთ მოწოდებული მასალების შესაბამისად, როგორიცაა კომპლექსური დავალებები, ასევე სკოლაში განხორციელებული პროექტების აღწერები, თუ რა მიზანს ემსახურება ეს პროექტი, ვინ, როგორ არის ჩართული და რა საქმიანობით. მოწოდებულია სკოლის მიერ მტკიცებულების სახით არაფორმალური აქტივობების ფოტო მასალა; **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია,მოქალქეობა და გეოგრაფია) სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, რადგან კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. თავის მხრივ კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და კვლავ გეგმავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებას.
შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან **2.2.1.4.** მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - ცხოური ენის კათედრის მიერ შერჩეულ ძირითად რესურსზე (გრიფირებული სახელმძღვანელოები), წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან (დეკლარატიული ცოდნა), შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშა. ობის ეტაპი ეხმარება. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები და ყოველივე ეს ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციიდან დასტურდება. საშუალო საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული **და** პირობისეული) **და ინდიკატორთან შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული).

მათემატიკა -. ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს , კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო? (ცოდნის სამივე კატეგორია). **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

სპორტი - სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. მასწავლებელთან იტერვიუს დროდ დასტურდება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც უპირველესად იკვეთება კომპლექსური ტიპის დავალებებში. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ტიპის დავალებები. ასეთი დავალებები არის კარგად გაწერილი ორგანიზებული **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, გეოგრაფია,მოქალაქეობა) სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ყველა საგნის კურიკულუმი დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, ქვეცნებები და საკითხები, ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას და მოსწავლეს აძლევს ფიქრის საშუალებას, გამოყოს პრობლემა და თავი მოუყაროს ყველა იმ ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია.
შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან **2.2.1.5**. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის პროექტით სწავლების ფარგლებში სკოლამ განახორციელა პროექტი მუსიკაში. მასწავლებლებთან ინტერვიუდან საუბრისას ირკვევა რომ პროექტის განხორციელებისას განისაზღვრა სასწავლო მიზნები, თემები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხები, სწავლების სტრატეგიები, რომელიც დაფუძნებულია ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრების, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებასთან. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -მასწავლებლებთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სწავლებისას მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში და საგნობრივი სასწავლო კურიკულუმის განხორციელებისას იმუშავებენ ამ მიმართულებით.
სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისა. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კურიკულუმი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელის მიერ დაცულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები და კურიკულუმის ჩარჩო გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის 10 -12 კლასებზე. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისტორიის ,მოქალაქეობის,გეოგრაფიისკურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- უცხოური ენების საშუალო საფეხურის კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა;
- დანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის კურიკულუმი;
- დანართი N67 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის სასკოლო პროექტები
- დანართი N71 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის მასწავლებლის პორტფოლიო;
- მათემატიკის კურიკულუმი
- კომპლექსური დავალება
- თემატური მატრიცა
- მოსწავლის ნამუშევრები
- ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები VII-IX კლასები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ თემის ფარგლებში კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებების დამატებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სამიზნე ცნებების სრულ დაფარვას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას საშუალო საფეხურზე(ისტორია,გეოგრაფია,მოქალაქეობა) საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. საგნობრივ კურიკულუმში სამიზნე ცნებებს აზუსტებს ქვეცნებები, რომელთა საშუალებით დაზუსტებულია კონკრეტული საკითხები და ქვესაკითხები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის.
შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან **2.2.2.1**. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები. შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე, მოახდინოს დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლქსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა - თვითშეფასების და გასაუბრების ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, აცნობიერებენ,რიმ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საშუალო საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (მათემატიკა)კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს განხორციელებული კომპლექსური დავალება და ისაუბრეს გამოწვევებზე და მიღწევებზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ნამდვილად ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ხშირად ატარებენ ჯგუფურ მუშაობებს, ასევე გეგმავენ ისეთი ტიპის აქტივობებს, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ წყვილებში. შემდეგ მოსწავლეები სიტყვიერად აფასებენ საკუთარ თავს (თუ რა გამოუვიდათ კარგად და რა არა) და ერთმანეთს, რაც მნიშვნელოვანი სოციო-ემოციური მხარდაჭერისთვის. აღსანიშნავია, სასკოლო პროექტის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები დაწყებით საფეხურზე. ასეთი აქტივობების დროს მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. განმავითარებელი შეფასება ხდება SOLO ტაქსონომიის მიხედვით რომელიც იძლევა შესაძლებლობას წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები, ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები,რომლებიც ემსახურება ესგ-ის მიხედვით წარმოდგენილ გრძელვადიან მიზნებს,მასწავლებლის მიერ გაკეთებული უკუკავშირი ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესს ,ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებით
ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია

უცხოური ენები - უცხოური ენების სამოქმედო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტით გათვალისწინებულ თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მაგ: ესე თემაზე „საკლასო ოთახში მობილურის გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები“; მსჯელობა თემაზე „რეკლამის საინტერესო ასპექტები და ფსიქოლოგიური ხრიკები“; დოკუმენტური ფილმი თემაზე „ტანსაცმლისადმი დამოკიდებულებები“; სარეკომენდაციო წერილი ჟურნალის ადრესატს , თემაზე „როგორ გადალახოს პრობლემები მშობლებთან ურთიერთობისას“; მოხსენება თემაზე „ჯანსაღი გარემო ჩვენს ირგვლივ“ და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლქსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომაგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელ ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი,აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

სპორტი - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია**

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს, შესაბამის რუბრიკას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს პროცესები მიმართულია ჰოლისტური განვითარებაზე და აღსანიშნავია, რომ აპირებენ მომავალ სასწავლო წელს დამატებით განმავთარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლა და შესაბამისად კათედრა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს იყენებს, თუმცა ფიქრობენ მეორე მოდელის დანერგვაზე, რაც სამომავლო გეგმაა.ასე პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ მათ იციან თუ როგორ გარდაქმნან ინდიკატორები შეფასების კრიტერიუმებად: კრიტერიუმების დაკონკრეტება საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით; როგორ უნდა მოხდეს თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონის (მაგ, 1 ქულა, 2 ქულა და სხვა) მინიჭება; კათედრის წევრები მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია, აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევენ დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). ამრიგად, საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე რუბრიკის ნიმუში მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პედაგოგები ჩართულები არიან ამ პროცესებში, იაზრებენ და ანიჭებენ შესაბამის ქულას. ამიტომაც, ვადასტურებ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებაზე; **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - -წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (გეოგრაფია,მოქალაქეობა,ისტორია) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით თვალნათელია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. (სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული რუბრიკები). თვითშეფასების და მასწავლებელთა ინტერვიურების თანახმად საშუალო საფეხურზე იგეგმება გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით განმავითარებელი რუბრიკების და თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით განმსაზღვრელი შეფასების წარმოება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. იგეგმება ასევე სტანდარტის შედეგების მიღწევების ტაქსონომიის (SOLO ტაქსონომის) გამოყენება განმავითარებელი შეფასებისთვის.
შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან **2.2.2.3** მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული დიაგნოსტიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებაც ასევე ემსაურება შემდეგ პრინციპებს: ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოვლენა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა; მოსწავლეთა მუშაობის პროცესზე ეტაპობრივი დაკვირვება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა ხარვეზების გამოსწორების მიზნით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - მეათე კლასის პროექტული სწავლების დროს, რომელიც 2022-2023 წელს განხორციელდა მუსიკაში, მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასებით, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ასახულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ პროექტული სწავლება შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა -შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საშუალო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; *ბუნდოვანი დარჩა* განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. *V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები* ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

სპორტი -სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს თუმცა არის ზოგადი. შეფასების რუბრიკა საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა რომ შეთანხმებული და გაზიარებული შეფასების ხედვაა სასკოლო საზოგადოების მხრიდან, რომელსაც ამუშავებენ კათედრაზე. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია ელექტრონულ ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ 2023 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე პერიოდში შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება მოხდეს სავალდებულო თემების მიხედვით. ამ ეტაპზე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნა მოხერხდა ერთი თემის ფარგლებში. 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება შეფასების რუბრიკების ბანკის შექმნა.მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში. ამ ეტაპზე სადიაგნოსტიკო წერის ჩატარების პრაქტიკა სკოლაში არ არსებობს. ზემოთ აღნიშნული ნაბიჯები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ პედაგოგები იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია,მოქალაქეობა,გეოგრაფია) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას. ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია წინასწარ თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ.
შესაბამისად მოცემულ ინდიკატორთან **2.2.2.4**. მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ასევე, წარმოდგენილი სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას პრეზენტაციისას, საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთივის, შეფასება არის ვალიდური და გამჭირვალე. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს მხოლოდ 6 ქულიან შეფასებას, როგორც მასწავლებლები განმარტავენ იგი მორგებულია მოსწავლის დადებით შეფასებაზე (5 დან ზემოთ), რასაც ემატება ის საბაზისო 4 უარყოფითი ქულა. სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შემუშავებული იყოს უფრო მეტი კონკრეტიკით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - არ არის წარმოდგენილი პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ **აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობაა.**

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. თუმცა კათედრის დონეზე მასწავლებლები კონკრეტული მტკიცებულებები ან დასაბუთება, როგორ და რა მეთოდიკური ორიენტირებით მოახდენენ შეფასების კონცეფციისა და მიდგომის შემუშავებას მკაფიოდ ვერ წარმოაჩინეს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკამაყოფილებულია**

სპორტი -მასწავლებელი ფლობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკამაყოფილებულია**

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი საწყის ეტაპზე წარმოდგენილი არ ყოფილა, თუმცა ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში, რაც საშუალებას მისცემთ მოხდეს შეფასების შემოწმება და შესაბამისი მექანიზმების ამუშავება. ასევე გათვალისწინებული იქნება შეფასების გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი და ასახვა სამოქმედო გეგმაში.სკოლა ხედავს ამის საჭიროებას და აპირებს მომავალი სასწავლო წლიდან ამ მექანიზმის შექმნას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და პედსაბჭოს ოქმი #7, რომელშიც მოცემულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთ, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების გარე ვერიფიკაციის სისტემა და ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. რომელთა შედეგების ანალიზს იყენებენ არსებული გამოწვევების და პრობლემის იდენტიფიცირებისთვის. ასევე იგეგმება სკოლამ დაამკვიდროს სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა წელიწადში ორჯერ. რისთვისაც შერჩეული აქვთ სკოლის დონეზე დიაგნოსტიკის ინსტრუმენტები. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები - წარმოდგენილ, უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაში მოცემულია კათედრის მიერ შემუშავებული ვერიფიკაცია გულისხმობს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას, მოსწავლეთა შედეგენის ანალიზსა და მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის განსაზღვრას. სასურველია კათედრამ შეიმუშაოს დაგეგმილი ვერიფიკაციის განხორციელების გზები. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას. შესაბამისად შეფასების სისტემაადასტურებს, რომ პროფესიულ შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.ვერიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოიძებნა, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუზე თქვეს რომ იცნობენ ვერიფიკაციის მექანიზმისათვის ბსაჭირო რამდენიმე ინსტრუმენტს და აპირებენ სამომავლოდ ამ ინსტრუმენტების გამოყენებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და პედსაბჭოს ოქმი #7, რომელშიც მოცემულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, როგორც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლები მიმართავენ სკოლის დირექციას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რადგან მიაჩნიათ, რომ მიღებული სემესტრული შეფასება არაადეკვატურია. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგების ანალიზი ხდება შემაჯამებელ სამუშაოებზე დაყრდნობით. სკოლის ფარგლებში იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციისა და განხორციელების მექანიზმის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების გეგმა, პროცესის აღწერა, შედეგების ანალიზი და ასახვა სამოქმედო გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი -ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია**

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მომდევნო სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო წერებით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში, რის შესახებ ინფორმაცია არის სამ დღიანი ქოუჩინგის მუშაობის შედეგად შექმნილ დოკმენტში. რადგან სკოლა გეგმავს სასკოლო წერების ჩატარებას შესაბამისად მოხდება შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაციის შენახვა. სკლაში ვიზიტის დროს დირექტორის მოადგილემ, რომელიც არის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრი აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ექნებათ განსაზღვრული შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ვადები და პირობები. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - ვინაიდან კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებასა და შეფასების ვერიფიკაციას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ასევე ახორციელებს მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. სასურველია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს დოკუმენტი „შეფასების სისტემის შესახებ“, სადაც განსაზღვრული იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვის ვადა და პირობები. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკამაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - არ მოიძებნა შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის 3 წლის ვადით შენახვის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუმცა მასწავლებლებმა აღნშნეს, რომ ასეთი დოკუმენტები ინახება კათედრის საბუთებში.

სახელმწიფო ენა - სკოლაში გამოიყენება შეფასების განმსაზღვრელი პირველი მოდელი, განმსაზღვრელი შეფასებით ვაფასებთ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებს. მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკამაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკამაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი- საშუალო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმიGG G
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- Hდანართი N66 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო კურიკულუმი;
- დანართი N74 არაფორმალური აქტივობების ამსახველი ფოტომასალა;
- დანართი N75 დაწყებითი კლასის მასწავლებლის სადამრიგებლო პროგრამა
- კურიკულუმები (10 და 12 კლასის მათემატიკაში)
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი
-

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესზე დაკვირვების საშუალება სასწავლო წლის დასრულების გამო ვერ მოხერხდა, თუმცა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელებს შორის **არის კარგი** თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებისა მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. ურთიერთობების და მიმღებლობის ღიაობა ნამდვილად დასტურდება საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს შორის. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებული**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული სტრატეგიები და სასწავლო კურიკულუმები მოსწავლის პიროვნული ზრდის შესაძლებლობას იძლევა. მოსწავლის შეფასება განმავითარებელი კომენტარით ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მაჩვენებელია. კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი გარემოა, რადგან მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ ურთიერთმოსაზრებებს, თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე, იზიარებენ პასუხისმგებლობას.

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები საუბრობდნენ სასწავლო პროცესის წარმართვისას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებაზე, გარკვეული პრობლემის გადაჭრისას, მოსწავლეების, სკოლისა საზოგადოების, მშობლების ჩართულობაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე.წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უნდა უზრუნველყოფდეს. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, სასკოლო საზოგადოებასთან.

სპორტი -სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი რომ მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად ადასტურებს რამდენიმე გარემობა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები გარემოს დაცვის მიმართლებით, რომელიც სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურზე განხორციელდა. ასევე მოსწავლეზე ორიენტირებულია კომპლექსური დავალებები, რომლებსაც ნერგავენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგები. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენის კათედრაზე თითქმის ყველა თემისთვის არის გათვალისწინებული კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესების დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი არაფორმალური განათლების ტიპის აქტივობის გათვალისწინება. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მიერ საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებების განხორციელება, სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების გამოყენება. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული პროექტების განხორციელება უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -სასკოლო სასწავლო გეგმაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშორმლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებული**

სპორტი -სსიპ ქალაქ თბილისის N 159 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, როგორიცა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრების ანგარიშები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ოქმები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კათედრის წევრებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შორის არის თანამშრომლობითი გარემო. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა პედაგოგების მიერ, რომ ყოველთვის ესაუბრებიან ერთმანეთს კომპლექსური დავალებების შედეგებზე. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმიდან დგინდება, რომ კათედრის წარმომადგენლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების, განვითარების, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე.

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედარეზე საკუთარი პრაქტიკის გაზიარებაზე, ურთიერთდახამარებაზე, ასევე საბაზო საფეხრზე გარკვეული პროექტების ერთად დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, ინტეგრირებულ პროექტებში სხვადასხვა საგნის პედაგოგების ჩართულობაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებული**

სახელმწიფო ენა -სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებული**

მათემატიკა -სასკოლო სასწავლო გეგმაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშორმლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მიგნებებს, გეგმავაენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებული**

სპორტი -სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში კურიკულუმის დანერგვის პროცესის მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - დირექციასთან გასაუბრებისას და შემდეგ პედაგოგებთან გასაუბრებისას ჩანდა რომ სასკოლო გარემოში იყო პოზიტიური გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი დამლაგებელი, მანდატური, ექიმი ყველას საქმიანობა მიმართულია პოზიტიური კლიმატის შექმნისკენ. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ, ისინი ახერხებენ პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნას, კლასის დონეზე. თანასწავლების წახალისების მიზნით ითვალისწინებენ სხვადასხვა აქტივობებს საჭიროებიდან გამომდინარე. სასურველია კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებული**

ესთეტიკური აღზრდა - ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რამდენად დაინტერესებულები, მოტივირებულები არიან საშუალო საფეხურის მოსწავლეები მათ გაკვეთილებზე, როგორი ენთუზიაზმით არიან ჩართულები გარკვეული პროექტების განხორციელების პროცესში, რაც გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კათედრა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე და ფიქსირდება აღნიშნულ ინდიკატორთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებული**

სახელმწიფო ენა -უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებული**

მათემატიკა -სასკოლო სასწავლო გეგმაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის წევრები თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებული**

სპორტი -სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დანართი N20 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დანართი N25 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმის შეფასება ხორციელდება მიმდინარე პროცესშიც და სასწავლო წლის ბოლოს,. ამის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინდა კათედრის ოქმი, რომელშიც ერთ-ერთი საკითხი არის კურიკულუმების მონიტორინგი, გადახედვა. ამ ეტაპზე მტკიცებულების სახით მეთოლოგია არ წარმოუდგენია სკოლას, თუმცა გამოხატა მზაობა და მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინებენ. ასეთი რამ დასტურდება რესურსი 12-ში ასახული კოლეგების შეხვედრის ანალიზიდან და სასწავლო წლის ბოლო კათედრის ოქმიდან; ***ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ეტაპები. სასურველია გაიწეროს მათი განხორციელების მექანიზმები.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნეპედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ აზრს, მსჯელობენ გარკვეული კომპლექსური დავალების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, რესურსების ვალიდურობაზე, ეფექტიანობაზე. აგრეთვე, მათ წარმოადგინეს, მტკიცებულების სახით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები, რომლებსაც, თავისთავად, გამოიყენებენ საბაზო საფეხურის კურიკულუმის მონიტორინგის ინსტრუმენტად. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა -სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. ინდიკატორი შფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის დროს **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მოცემულია კურიუკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ის ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა -მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ კათედრაზე აქვთ კურიკულუმის რევიზიის გამოცდილება, თუმცა ამის დამადასტურებელი მასალა არ აქვთ წარმოდგენილი. ასევე გამოთქვეს მზაობა რომ მომავალ სასწავლო წელსაც მასწავლებლები მოახდენენ კურიკულუმების და განხორციელებული კომპლექსურების რევიზიას და ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით, ისინი აქტიურად ჩაერთვებიან მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში. ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც შუსაბამო, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის დროს **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მოცემულია კურიუკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ის ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი -სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არ არის შემუშავებული, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. ინდიკატორი შფასებული იყო როგორც შეუსაბამო. თუმცა არგუმენტირებული პოზიციის დროს **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მოცემულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ის ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, სასკოლო ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ პარალეურ კლასებში ყოველთვის ერთმანეთის მხარდაჭერით ამოწმებენ, რამდენად ეფექტურად წარიმართა პროცესი ამა თუ იმ კლასში ,ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებობს საგაკვეთილო დასწრების ჩანაწერი. წლის ბოლო კათედრის ოქმში არის შესაბამისი მტკიცებულება, რომ მოხდა კურიკულუმების გადახედვა და შეფასება, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მოსწალეთა საჭიროებების დადგენას, პრობლემების გამოკვეთასა და ხარვეზების აღმოფხვრას უკეთესი შედეგის მისაღწევად.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა, თუმცა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გათავისებული აქვთ მონიტორინგის შედეგების მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის კუთხით, რაც განსაზღვრავს სამომავლო ინტერვეციების ხასიათს და მიზნებს, მაგ. რამდენად ჩართული იყო საკოლო საზოგადოება გარკვეულ პროექტში და რა იყო ჩართულობის ამა თუ იმ ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა -სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიოტირნგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოცენილი ხარვეზების მითითეხა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება.ს. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებლებელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას.

მათემატიკა -ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთბოლოვად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებში, ასევე გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას.

სპორტი -სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდისა და სპრტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კათედრის წევრების შეხვედრისას (წარმოდგენილი წლის ბოლო ოქმი) დასტურდება, რომ იკვეთება კურიკულუმების ძიერი და სუსტი მხარეები, რაც გაუმჯობესების გარანტიაა. სასკოლო ვიზიტის დროს დაწყებითების კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ გააზრებული აქვთ კურიკულუმების გაუმჯობესების აუცილებლობა, რომ არსებული ფორმით კურიკულუმები არის პრობლემა კათედრისთვის და შესაბამისად და მომავალ სასწავლო წელს განახლებული კურიკულუმების წარდგენა იქნება პრობლემის გადაჭრის საშუალება. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება, რომელიც განხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასების გზით, მიზნად ისახავს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებები არ მოიძებნა, თუმცა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ მონიტორინგის და შეფასების მნიშვნელობა პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის გზის/საშუალების ძიების პროცესში. სამომავლოდ გეგმავენ მონიტორინგის, შეფასების შედეგების ანალიზის დანერგვას და მისი მეშვეობით გარკვეული დასკვნების გაკეთებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ აღნიშნულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა --კათედრებისა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მისი აღმოფხვრა. კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას

მათემატიკა - ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებში, ასევე გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას.

სპორტი - სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- დანართი N1 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N 76 დაწყებითი კლასების კათედრის ოქმი;
- დანართი N78 დაწყებითი კლასების კათედრის ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს; E
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საკოლო კურიკულუმი
- მშობელთა კრების ოქმები
-

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია, რომ სკოლა იყენებს ესგ-ს მიხედვით შეფასების სისტემის პირველ მოდელს. შესაბამისად საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები და წარმოდგენილი აქვთ ნიმუშის სახით რუბრიკა. ასევე პედაგოგებმა სასკოლო ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან აპირებენ ამ მიმართულებით გაუმჯობესებას და რუბრიკების გამრავალფეროვნებას; ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი. ამ მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასება; მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლის განსაზღვრა. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.

სახელმწიფო ენა -გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ,რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან, თუმცა სათანადოდ ვერ დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

მათემატიკა -სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები: კომპლექსური დავალების შეფასება სოლო ტაქსონომიით, შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების რუბრიკა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სხვა, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესის შესაფასებლად. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

სპორტი -საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; ამ მიმართულებით პედაგოგები აუმჯობესებენ პრაქტიკას, რაც პირველ რიგში გამიხატება მრავალფეროვანი დავალებებში . მაგ: მე-2 კლასში მოსწავლეთა სიტყვიერი შეფასება მოხდა განხორციელებული პროექტის ფარგლებშიც,მე-4 კლასშიც გარემოს დაცვითი მიმართულებით განხორციელებული იყო სასკოლ პროექტის ფარგლებში საინტერესო დავალება, რამაც მოსწავლეთა დაინტერესება გამოიწვია. ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები. **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას; მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და განსაზღვრავს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლს. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი მექანიზმი სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა იმ ინფორმაციის შეგროვება და შეფასება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. ***ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია***

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან **შესაბამისობა.**

სახელმწიფო ენა - მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინი სპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს.

მათემატიკა -ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გვაძლევს სრულყოფილ სურათს.

სპორტი -სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდასა და სპორტსი საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები დაწყებითების კათედრაზე არ არის წარმოდგენილი, თუმცა დოკუმენტი რესურსი 12-ში აღწერილია, რომ კათედრა უზრუნველყოფს მომავალ სასწავლო წელს სასკოლო წერების ჩატარებას. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია;**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა ახორციელებს მოსწავლეთა მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტების შეფასებას; მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და განსაზღვრავს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლს.

ესთეტიკური აღზრდა - მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ისეთები როგორიცაა მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება სხვადასხვა რუბრიკებით, უშუალად მოსწალეების მიერ აქტივობების განხორციელებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება და ა.შ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.

სახელმწიფო ენა -კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია;**

მათემატიკა - როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით სკოლა ახდენს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. თუმცა უმეტეს შემთხვევაში არ ხდება მისი დოკუმენტირება და არც წარმდგენილ დოკუმენტაციაში არის ნაჩვენები მონაცემთა მოპოვების რომელ მეთოდებს იყენებენ. გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ მოახდენენ შეფასების მიზნით მიღებული მონაცემების ანალიზს და ოფიციალური ჩანაწერების გაკეთებას. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია;**

სპორტი - სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღიშნეს, რომ სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია;**

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით მინდა ავღნიშნა სსსმ მოსწავლეთა შეფასებისას ფსიქოლოგის და სპეც მასწავლებლის ჩართულობა, რაც მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს და პედაგოგები ახორციელებენ ამ ფაქტორების გათვალისწინებას, ასევე სასკოლო ვიზიტის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ხშირად ხვდებიან მშობლებს და მოსწავლეთა გარკვეულ საჭიროებებს ითვალისიწნებენ შეფასების დროს. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

უცხოური ენები - უცხოური ენების კათედრა კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგს ახორციელებს სადიაგნოსტიკო შეფასებითა და მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით.

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელებას უზრუნველყოფს კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი თემები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის შესახებ. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან **შესაბამისობა. ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია;**

სახელმწიფო ენა -კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია;**

მათემატიკა -პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას პედაგოგები ითვალისწინებენ ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებს.

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა შეფასების დროს. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენების კათედრა კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგს ახორციელებს სადიაგნოსტიკო შეფასებითა და მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით.
- დანართი N9 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დანართი N80 სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის 2021-2022 სასწავლო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საშუალო საფეხურზე კურიკულემებთან მიმართებაში კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკმენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნა ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, კათედრის წლის ბოლო ოქმში არის საკითხი კურიკულუმების რევიზიასთან დაკავშირებით, თუმცა კონკრეტული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნილი ჯერჯერობით არ აქვთ. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებით, სადიაგნოსტიკო შეფასებით, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენით. ხდება ხარვეზების გამოვლენა და მასზე რეაგირება. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - ასეთი საბუთი არ მოიძებნა, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.

სახელმწიფო ენა - დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SVOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტაპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -სკოლას არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის გადასინჯვისა და რევიზიას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები მუშაობენ, რომ შეიმუშაონ რეკომენდაციების პაკეტი, რომელსაც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში გაითვალისწინებენ, შეიქმნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განხორციელების თითოეული ეტაპი.

სპორტი -სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა შეფასების დროს. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. ამ ინდიკატორის აღწერისას დავეყრდნობი პედაგოგებთან გასაუბრებას და ავღნიშნავ, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის აპირებენ გაითვალისწინონ წლევანდელი სასწავლო წლის გამოცდილება, გაიაზრებენ პრობლემებს და გააუმჯობესებენ პრაქტიკას. ეს ყოველივე აისახება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ ეტაპზე გადამუშავებული კურიკულუმები სკოლას ვერ ექნება წარმოდგენილი, რადგან ახალი სასწავლო წლისთვის მოხდება ამის მომზადება. **ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია;**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში მონიტორინგის შედეგად პრობლემის გადაჭრის საშუალებები მოცემულია რამდენიმე ასპექტში. კერძოდ: სსსმ მოსწავლესთან და შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებით. უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიაში. ამ მიზნით კათედრის წევრები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა - ასეთი საბუთი არ მოიძებნა, თუმცა მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის, წინარე გამოცდილების და შეფასესების შედეგების ანალიზის საფუძველზე, გეგმავენ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. სათანადოდ აღინიშნება მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობა.

სახელმწიფო ენა -კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინები. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა -პედაგოგებმა ინტერვიუზე განაცხადეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

სპორტი -სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურუკულუმები რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.
- სსიპ ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლი საფეხურის კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო პროექტი;
- კომპლექსური დავალება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უკრაინელი ბავშვების სოლიდაროზის აქციის რეპორტაჟის ლინკი; დანართი N62 2022 წლის 1 ივნისის საქველმოქმედო აქციის რეპორტაჟის ლინკი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: